საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№45 (327)
9 - 15 დეკემბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

2 «ექსპერტთა დასკვნით, ზურაბ ჟვანიას, სავარაუდოდ, ბლაგვი საგნით მიაყენეს დაზიანება»

## «უმაკო» ქვეყანაში თინას აყეფებენ 5

## «ზაქარეიშვილი ჩამოყალიბებული ბრიყვია, მაგრამ, ვინც დანიშნა თანამდებობაზე, ისიც პასუხისმგებელია!» 8





თამაზ მეჭიაური: 12

## თუ სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე პასუხისმგებლობას არავინ დაიკისრებს და საფრთხის შემთხვევაში არავის ექნება ჩვენი დაცვის ვალდებულება, მაშინ გამოდის, ნატოს წევრობა მხოლოდ ხელისუფლების რაღაც ჯგუფის დასაცავად ყოფილა საჭირო

## «დემონტრაკია» ევროპულად ანუ ჰეროდე ევროპაში აღსდგა




6

ევროპული «კომპეტენტური ორგანო»:

„პირი შენს სახეზე, საშო — შენი გენიტალიების რაიონში არის გამოქვაბული, რომელშიც შეგიძლია დააპატიჟო „პენისი“ და სხვა „სტუმრები“ და მათთან ითამაშო“. ხსენებული „ინსტრუქცია“ კიდევ მრავალ რჩევას იძლევა ანალური სექსის თაობაზე, ასევე, თუ როგორ შეიძლება დაიყოლიო მეგობრები სექსზე...

## დამანგრეველი დემოკრატია, «აღმაშენებელი» ჩერნოვეცკი და «მაინ კამპფი» ბავარიულად 4



## დერატიზაცია «ნაციონალურ მოძრაობაში»



Ладо Габашвили



Гока Габашвили

## ვის უწოდებს გოკა გაბაშვილი გიჟს და ვის — პრ.ჟს 7

# ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## 1 ქართველი და 10 უკრაინელი 13 ტონა ნარკოტიკით დააკავეს...

**ევროპოლმა, ესპანური პოლიციის მეშვეობით, იტალიური, ბერძნული და თურქული პოლიციის ჩართვით, ხმელთაშუა ზღვაზე დააკავა გემი, რომელსაც 13 ტონამდე ნარკოტიკული ნივთიერება გადაჰქონდა...** ევროპოლის განცხადებით, ოპერაცია 2 დეკემბერს ხმელთაშუა ზღვაზე, იტალიურ კუნძულ პანტელერიასგან 15 კმ-ის მოშორებით ჩატარდა... დაკავებულ იქნა გემი „მუნზური", რომელსაც 500 ტომარაში დაფასოებული 13 ტონამდე ჰაშიში გადაჰქონდა. გემი ბადრაგის თანხლებით, იტალიურ კუნძულ სიცილიაზე გადაიყვანეს. დაკავებულია ეკიპაჟის თერთმეტივე წევრი, რომელთაგან 1 საქართველოს მოქალაქეა, 10 — უკრაინის.



### გოგლა ჟვანია:

## ექსპერტთა დასკვნით, ზურას, სავარაუდოდ, ბლაგვი საგნით მიაყენეს დაზიანება

**„ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიება ჩიხში არ შესულა, პირიქით, ძალიან საინტერესო დეტალები იკვეთება და საქმის გასახსნელად ინტენსიური მუშაობა გრძელდება", — განაცხადა ყოფილი პრემიერმინისტრის — ზურაბ ჟვანიას ძმამ, დეპუტატმა გოგლა ჟვანიამ, რომელიც ელოდება, რომ ძალიან მალე სერიოზული ძვრები მოხდება და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა.**

„ეფ-ბი-აის" დასკვნის ექსპერიმენტული ნაწილი უმნიშვნელოვანესია. ის ადასტურებს, რომ იქ უბედური შემთხვევა არ მომხდარა. შეფასებით ნაწილში კი ორაზროვანი ფრაზებია. ვფიქრობ, მთავარი მაინც ექსპერიმენტული ნაწილია. ამ დასკვნაში შავით თეთრზე წერია, რომ, სანამ ექსპერიმენტი დაიწყებოდა, დაათვალიერეს გამათბობელი და მასზე ვერ აღმოაჩინეს მურის კვალი, რომელიც არასრული წვის მანიშნებელი იქნებოდა. არადა, „ცე-ო" სწორედ არასრული წვის პროდუქტია", — ამბობს გოგლა ჟვანია.

მისივე ინფორმაციით, მნიშვნელოვანი მოწმეებიც არსებობენ; ერთ-ერთი სიახლე ისიც არის, რომ აღმოჩენილია ფირი, რომელზეც ჩანს ზურაბ ჟვანიას თავზე დაზიანებები.

„ეს ფირი განადგურებას შემთხვევით გადაურჩა, რადგან უამრავ მასალას შორის მას კარგად არ დააკვირდნენ. ის გადაიღო შსს-ს ოპერატორმა, რომელიც ცოცხალი მოწმეა. შედგა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც უკვე საქმეშია. ცხადია, წინა ხელისუფლების დროს არც ეს ფირი და არც შესაბამისი დოკუმენტი საქმეში არ იყო. ამ ფირზე კარგად ჩანს ტრეპანაციისას ძვლის ქვეშ არსებული დაზიანებები, ტვინის გარსზე სისხლჩაქცევები და სხვ. ექსპერტებმა ნახეს ფირი და ოფიციალური დასკვნაც დაწერეს. ამ დასკვნაში წერია ის, რომ ზურას, სავარაუდოდ, ბლაგვი საგნით მიაყენეს დაზიანება", — განაცხადა გოგლა ჟვანიამ გაზეთ „კვირის პალიტრისთვის" მიცემულ ინტერვიუში.




## რელიგიური სიწმინდეებისა და ღვთისმსახურის შეურაცხყოფისთვის, შესაძლოა, ჯარიმა დაწესდეს

**კანონპროექტი რელიგიური სიწმინდეებისა და ღვთისმსახურის შეურაცხყოფისთვის ფულადი ჯარიმების დაწესების შესახებ პარლამენტში უკვე ინიცირებულია.**

ცვლილებების მიხედვით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს" ახალი მუხლი ემატება, რომლის მიხედვით, რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის და მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა ან ისეთი მასალის გამოქვეყნება, ჩვენება, რომელიც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით.



ამავე პროექტით, რელიგიური შენობებისა და სხვა რელიგიური სიწმინდეების წაბილწვა, მასზე ნებისმიერი წარწერის გაკეთება ან დაზიანება, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

„კანონპროექტის მიღების მიზეზი ბოლო პერიოდში გახშირებული მოქალაქეთა რელიგიური გრძნობების, არსებული რელიგიებისა და სასულიერო პირების შეურაცხყოფაა", — აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.



### გოგი თოფაძე:

## სურსათის კუთხით საქართველო ერთ დიდ ნაგავსაყრელს დაემსგავსა

**პარლამენტის წევრ გოგი თოფაძის თქმით, საზღვრებს გარედან შემოსული ლამაზად შეფუთული პროდუქციის უკან რეალურად უვარგისი პროდუქცია იმალება; არ არის თვალსაჩინო წარწერა გენმოდიფიცირებულ პროდუქტზე. ამასთანავე, თოფაძის თქმით, არასწორია, რომ გენმოდიფიცირებული და ნატურალური პროდუქცია დახლებზე გვერდიგვერდ დევს.**

„კანონს, რომელიც პროდუქციაზე შესაბამისი გამაფრთხილებელი წარწერის გამოტანას ავალდებულებს, რეალურად, არავინ ემორჩილება და პრაქტიკულად, უმოქმედოა. კანონში პირდაპირ წერია, რომ წარწერა „გმო" თვალსაჩინო უნდა იყოს. ამას არ ასრულებენ და ისეთი წვრილი შრიფტით აწერენ, ლუპითაც ვერ დაინახავ. ნებისმიერ პროდუქტში გმოს შემცველობა 0.9 %-ს არ უნდა აღემატებოდეს, ჩვენთან კი პროდუქტში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველობა 40 %-ს აჭარბებს, რაც კატასტროფაა. უსერიოზულესი პრობლემის წინაშე ვდგავართ და სასწრაფო ზომების მიღება გვმართებს", — განაცხადა თოფაძემ გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის" მიცემულ ინტერვიუში. პარლამენტარი ამბობს, რომ განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის შესაბამისად, აუცილებელია, საქართველოშიც გაიხსნას ლაბორატორია, რომელიც ქვეყანაში შემოსულ პროდუქციას შეამოწმებს.

## ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხისა და შემადგენლობის ნორმების დარღვევაზე ჯარიმები წესდება



**ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხისა და შემადგენლობის ნორმების დარღვევაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წესდება. ამას ითვალისწინებს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დაგეგმილი ცვლილებების პროექტი, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მოამზადა და მთავრობამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა.**

პროექტის მიხედვით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს" ახალი მუხლი ემატება, რომლის მიხედვით, იმპორტი ისეთი ბენზინისა და დიზელის საწვავისა, რომლის ხარისხიც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივ ნორმებს ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმებს ვერ აკმაყოფილებს, გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

ამავე პროექტით, ისეთი ბენზინის ან დიზელის საწვავის საქართველოს ტერიტორიაზე წარმოება, რომლის ხარისხიც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს, გამოიწვევს დაჯარიმებას 9 000 ლარის ოდენობით, ხოლო ასეთი ბენზინისა და დიზელის საწვავის შენახვა, განთავსება ან მიწოდება გამოიწვევს დაჯარიმებას 8 000 ლარის ოდენობით.



## «ეკა გიგაურს 7 ნოემბრის აქციის დარბევის შემდეგ კაპიტნის წოდება ვადაზე ადრე მიენიჭა»

**„უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორის — ეკა გიგაურისთვის კაპიტნის წოდების მინიჭების შესახებ დოკუმენტს აქვეყნებს. მასში აღნიშნულია, რომ შს იმჟამინდელმა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა გიგაურს კაპიტნის წოდება ვადაზე ადრე მიანიჭა.** „2007 წლის 7 ნოემბრის აქციის შემდეგ, 13 ნოემბერს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის ბრძანებით კაპიტნის წოდება ვადაზე ადრე მიენიჭა", — აღნიშნავს მჟავანაძე.



## დოდო აფრასიძე გიორგი ბარამიძის დასჯას ითხოვს

**„იმედი მაქვს, ირაკლი შოთაძე შეძლებს იმას, რაც ვერ შეძლო მისმა ვერც ერთმა წინამორბედმა", — ამბობს ომეხ აფრასიძის დედა, დოდო აფრასიძე, გაზეთ „ასავალ-დასავალთან" ინტერვიუში. მისი თქმით, აფრასიძეების საქმეში მთავარი დამნაშავე გიორგი ბარამიძე დაკითხულიც არ არის.**

„დავუშვათ, სააკაშვილი ქვეყნიდან გაქცეულია და ხელში ვერ ჩაიგდეს, მაგრამ ბარამიძე ხომ აქ არის? ყოველდღე გამოდის და გვმოძღვრავს მართალი და პატიოსანი კაცივით. ვთხოვ ბატონ შოთაძეს, დასაჯოს გიორგი ბარამიძე. იმ ბარბაროსობის შემდეგ, რომელიც მან ჩაიდინა, სახლ-კარიც აღარ გაგვაჩნია. 12 წელია, მის დასჯას ველოდები და იმედია, ეს ახლა მაინც მოხდება", — განაცხადა დოდო აფრასიძემ.




## ნატო ჩერნოგორიის მაფიას უჭერს მხარს

**ნატომ თავის 29-ე წევრად ბალკანეთის ქვეყანა ჩერნოგორია მიიწვია. დასავლეთმა, რომელიც გამუდმებით მიუთითებს სხვა ქვეყნების დემოკრატიული ღირებულებების დაცვაზე, არად ჩააგდო, რომ ჩერნოგორიის პრემიერმინისტრ მილო ჯუკნოვიჩის პოლიტიკას საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასა და კანონიერებასთან.** არსებობს ბევრი სამხილი, რომლებიც მიუთითებს, რომ პირადად ჯუკანოვიჩი და მისი ოჯახის წევრები გარეული არიან მაფიოზურ გარიგებებში. ლაპარაკია არა მხოლოდ „ჩვეულებრივ" კონტრაბანდაზე, რომლითაც ბალკანეთზე ვერავის გააკვირვებ, არამედ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაზე, მაგრამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნები ამაზე თვალს ხუჭავენ. მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, მეზობელ სერბეთს ზღვაზე გასასვლელი არ ჰქონდეს და ჩერნოგორიის საზღვაო ყურე ნატომ გააკონტროლოს.

ჩერნოგორიის პრემიერის კრიმინალური წარსული დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი კოზირია. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ხომ ისეთი წევრები სჭირდება, რომლებსაც ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი აზრის გამოხატვის ეშინიათ და ხმას მხოლოდ „ზევიდან" მითითებით აძლევენ. ჯუკანოვიჩს კი კრინტის დაძვრის ნებისმიერი მცდელობისას წარსულში ჩადენილ ცოდვებს გაუხსენებენ.



## გაერო გაჭირვებულთა დასახმარებლად 20,1 მლრდ დოლარს ითხოვს

**„2016 წელს 125 მლნ-ზე მეტ ადამიანს დასჭირდება ჰუმანიტარული დახმარება. მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას, გამოყოს 20,1 მლრდ დოლარი ყველაზე გაჭირვებული 87,6 მლნ ადამიანის დასახმარებლად. ეს არის თანხა, რომელიც 5-ჯერ აღემატება ჩვენს 10 წლის წინანდელ მოთხოვნას. ეს არის ყველაზე დიდი მოწოდება, რომელიც კი ოდესმე გაკეთებულა“, — განაცხადა ჰუმანიტარულ საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ სტივენ ო'ბრაიენმა.** ჩამონათვალში იმ ქვეყნებისა, რომლებსაც გაერო 2016 წელს უნდა დაეხმაროს, არის 37 სახელმწიფო. მათ შორის ყველაზე მეტად უჭირს სირიას, ერაყს, სამხრეთ სუდანსა და იემენს.

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რით ემუქრება ევროპას ლე პენის გამარჯვება

**აშკარად ჩანს შეშფოთება და უნდობლობა ევროკავშირის მიმართ, და არამხოლოდ ფრანგების, სულ უფრო მეტი ბრიტანელი ფიქრობს იმაზე, საერთოდ, რისთვის სჭირდებათ ევროკავშირი.**



ბრიუსელის გავლენის შესუსტებას აქტიურად მოითხოვს ბრიტანეთის პრემიერმინისტრი დევიდ კემერონი, რომელიც ევრობიუროკრატებს რეგულარულად ემუქრება რეფერენდუმის ჩატარებით ევროკავშირიდან გამოსვლის საკითხზე და გაერთიანებული სამეფოსთვის მეტ სუვერენიტეტს მოითხოვს. პრინციპით „ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა“ მოქმედებენ უნგრეთი და სლოვენია, რომლებმაც თავიანთ ქვეყნებში ახლოაღმოსავლელი ლტოლვილების შეღწევისგან თავის დასაცავად ბეტონის კედლები ააგეს.

**რადიკალურად განწყობილი მემარჯვენეების ლიდერმა მარინ ლე პენმა, როგორც ჩანს, შეუძლებელი შეძლო: საფრანგეთის რეგიონულ არჩევნებში, რომელშიც 45 მლნ ადამიანი მონაწილეობდა, გაუსწრო არა მხოლოდ რესპუბლიკელებს, სარკოზის ხელმძღვანელობით, არამედ მთავარ სახელისუფლო ძალასაც — სოციალისტებს, ოლანდის მეთაურობით.**

„ნაციონალური ფრონტის“ გამარჯვებას საფრანგეთის 13 საარჩევნო ოლქიდან 7-ში და ამომრჩეველთა ხმების მესამედის მოგროვებას ექსპერტებმა გამაოგნებელი უწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ წინ მეორე ტურია (13 დეკემბერს), ლე პენი უპირობო ლიდერივით იქცევა.

„ნაციონალური ფრონტი“ ამჟამად საფრანგეთის პირველი პარტიაა. ჩვენ ერთადერთი ვართ, ვისაც შეუძლია საფრანგეთის რესპუბლიკის, მისი ნაციონალური ინტერესების, ცხოვრების სტილისა და ტრადიციების დაცვა“, — განაცხადა მარინ ლე პენმა.



რეგიონული არჩევნების შედეგები არ იყო უბრალოდ საპროტესტო განწყობის გამოძახილი. ფრანგებმა, როგორც ჩანს, საბოლოოდ შეიცვალეს თვალსაზრისი საერთო ევროპული სახლის მიმართ, თავიანთ ადგილზე ევროპაში და მიგრაციულ პოლიტიკაზე, რომლის გამკაცრების მოთხოვნითაც გამოდიან მემარჯვენეები. ნოემბრის ტერაქტებმა „ნაციონალური ფრონტი“ უფრო პოპულარული გახადა, როცა გაირკვა, რომ, სულ ცოტა, ორი თავდამსხმელი ლტოლვილის სტატუსით ჩავიდა პარიზში ახლო აღმოსავლეთიდან.

**„ნაციონალური ფრონტის“ მხარდამჭერით ფრანგები მიანიშნებენ, რომ მათ ასეთი ინტეგრაცია არ სურთ და ევროკავშირის ინტერესებზე პრიორიტეტული საკუთარი ნაციონალური ინტერესებია. ფრანგმა ამომრჩეველმა მხარი დაუჭირა ძალას, რომელიც გამოხატავს შეშფოთებას საფრანგეთის დამოკიდებულებისადმი საერთო ევროპის მიმართ.**

მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური ფრონტის“ ტრიუმფი საბოლოო გამარჯვება არ არის და პოლიტიკური ვექტორის შეცვლაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია, აშკარად ჩანს შეშფოთება და უნდობლობა ევროკავშირის მიმართ, და არამხოლოდ ფრანგების, სულ უფრო მეტი **ბრიტანელი** ფიქრობს იმაზე, საერთოდ, რისთვის სჭირდება ევროკავშირი. ბრიუსელის გავლენის შესუსტებას აქტიურად მოითხოვს ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **დევიდ კემერონი**, რომელიც ევრობიუროკრატებს რეგულარულად ემუქრება რეფერენდუმის ჩატარებით ევროკავშირიდან გამოსვლის საკითხზე და გაერთიანებული სამეფოსთვის მეტ სუვერენიტეტს მოითხოვს. პრინციპით „ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა“ მოქმედებენ **უნგრეთი** და **სლოვენია,** რომლებმაც თავიანთ ქვეყნებში ახლო აღმოსავლელი ლტოლვილების შეღწევისგან თავის დასაცავად ბეტონის კედლები ააგეს. ამ ფონზე საფრანგეთში ჩატარებული რეგიონული არჩევნების შედეგები ლოგიკურად ასახავს ევროპის საერთო განწყობას.



## Die Welt-ი: პუტინს აქვს ერდოღანის დაჩოქების შანსი

**კრემლს აქვს შანსი, ერდოღანი კუთხეში მიიმწყვდიოს და დააჩოქოს კიდეც, — წერს გერმანული გამოცემა Die Welt-ი. ამით მოსკოვი არა მხოლოდ შურს იძიებს შელახული რეპუტაციის გამო, არამედ სამიზნეში ამოიღებს ნატოს ყველაზე სუსტ წერტილს, — ასეთია სტატიის ავტორის, რიჰარდ ჰერცინგერის, თვალსაზრისი.**

„უკვე დიდი ხანია, დასავლურ ალიანსს აღარ გამოსდის თავისი ფასეულობების შეთავსება თურქეთის რელიგიურ-ნაციონალურ კურსთან. დასავლეთს ერდოღანი მკაფიო საზღვრებში ჯერ კიდევ მაშინ უნდა მოექცია, როცა ის „ჰამასს“ მფარველობდა და არ მალავდა თავის სიძულვილს ისრაელის მიმართ, ამჟამად კი დასავლეთს უწევს თავისი „არც ისე მომხიბვლელი“ პარტნიორის გამოქომაგება რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების ხარჯზე, რომელთანაც ცოტა ხნის წინათ თანამშრომლობას აპირებდა სირიის საკითხებზე. აქედან გამომდინარე, პუტინის გლობალური სტრატეგია, გახლიჩოს და გაანეიტრალოს დასავლური ბლოკი, დასავლეთისთვის სულ უფრო სახიფათო ხდება“, — წერს Die Welt-ის მიმომხილველი.



## ავსტრიის ქალაქში შუქნიშნებიდან გეები მოაშორეს

**ავსტრიის ქალაქ ლინცში უარი თქვეს შუქნიშნებზე, რომლებზეც ერთნაირსქესიანი წყვილებია გამოსახული.**

„შუქნიშნები საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვისაა საჭირო და არა იმისათვის, რომ გასცეს რჩევები, როგორ უნდა იცხოვროთ“, — ასე განმარტა ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილება ქალაქის საბჭოს დეპუტატმა „თავისუფლების პარტიიდან“ — **მარკუს ჰაინმა.** მისი თქმით, ავსტრიაში ისედაც ბევრი უფლება აქვს ადამიანს. მწვანეთა პარტიის წარმომადგენლებმა კი გეიშუქნიშნებზე უარის თქმას სამარცხვინო გადაწყვეტილება უწოდეს. „ბი-ბი-სი“ იუწყება, რომ, ბევრი ინტერნეტმომხმარებლის აზრით, ეს გადაწყვეტილება ლინცს იმიჯს შეულახავს.

ავსტრიის სხვა ქალაქებში, მაგალითად, დედაქალაქ ვენაში, აგრეთვე, ზალცბურგში გეიშუქნიშნები კვლავ მუშაობს. ვენაში ასეთი შუქნიშანი პირველად 2015 წლის მაისში დადგეს, მუსიკალური კონკურსის — „ევროვიზიის“ დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე.

ავსტრიაში აკრძალულია გეიქორწინებები, თუმცა 2010 წლიდან ლგბტ თემის წარმომადგენლებს შეუძლიათ, „სამოქალაქო პარტნიორობა“ გააფორმონ.

# დასავლური კოალიციის მორიგი «შეცდომა»



**სააგენტო „ფრანს პრესის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საერთაშორისო კოალიციის ძალებმა, აშშ-ის მეთაურობით, პროვინცია დეირ ეზ-ზორში სირიის არმიის საბრძოლო მასალების საწყობი დაბომბეს. დაიღუპა სირიის არმიის 4 ჯარისკაცი, დაიჭრა — 16.**

ფრანგული სააგენტო ამტკიცებს, რომ კოალიციის ჯარებმა სირიის არმიის საწყობი შეცდომით დაბომბეს, მაგრამ ეს შეცდომა პირველი ხომ არ არის?

აშშ, თავდაპირველად, ბომბავდა უდაბნოს და ვერ ამჩნევდა რეალურ მიზნებს. შედეგად „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა თითქმის აასრულეს დასავლეთის ოცნება — დაამხეს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის რეჟიმი.

სირიის არმიის საწყობის დაბომბვამდე ამერიკელებმა „შეცდომით“ დაბომბეს ორგანიზაციის „ექიმები საზღვრებს გარეშე“ ჰოსპიტალი ყუნდუზში (ავღანეთი), ახლახან კი ფრანგულმა თვითმფრინავებმა გაანადგურეს წყლის გამწმენდი ნაგებობა სირიის ქალაქ ალეპოში, შედეგად უწყლოდ დარჩა 3,5 მლნ ადამიანი.

საერთოდ კი, ძნელი წარმოსადგენია, ასეთი ტექნიკური შესაძლებლობების მქონე დასავლური სამხედრო კოალიციის ძალებმა როგორ უნდა დაბომბონ ობიექტები „შეცდომით“.

სხვათა შორის, პროვინცია დეირ ეზ-ზორი საკვანძო ადგილია, რომელიც აკავშირებს „ისლამური სახელმწიფოს“ დედაქალაქ რაკას ერაყის იმ ტერიტორიასთან, რომელსაც „ბოევიკები“ აკონტროლებენ.



## თურქი გენერალი: ერდოღანი ჰააგის სასამართლოს წინაშე წარდგება

**თურქი გადამდგარი გენერალი ოსმან ოზბეკი თვლის, რომ თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე წარდგება სირიაში ტერორისტების მხარდაჭერის გამო.**

ოსმან ოზბეკმა თურქულ ტელეარხ Ulusal Canal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ არსებობს საკმარისი სამხილები სასამართლოში ერდოღანის დანაშაულის დასამტკიცებლად. გენერლის აზრით, იმ პროკურორების, ოფიცრებისა და ჟურნალისტების დაპატიმრება, რომელთა მონაწილეობითაც დააკავეს სირიაში მოქმედი ტერორისტებისთვის განკუთვნილი იარაღით სავსე თურქეთის სპეცსამსახურების სატვირთო ავტომობილები, მოწმობს ერდოღანის შიშზე, რომ ჰააგის სასამართლოს წინაშე შეიძლება წარდგეს.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდი ხანია, ამერიკელებმა შეიმუშავეს სამხედრო-პოლიტიკური სქემები, რომელთა საშუალებითაც მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებენ რესურსებით მდიდარი ქვეყნების განვითარების შეფერხებას, რათა მოხმარების ხარისხსა და რაოდენობაში კონკურენტი არ ჰყავდეთ. მეტიც — საჭიროა ქაოსის გამოწვევა რესურსებით მდიდარ ქვეყნებში, რათა მათ ნაციონალურ სიმდიდრეს დაეპატრონონ.**

# დამანგრეველი დემოკრატია, «ალმაშენებელი» ჩერნოვეცკი და «მაინ კამპფი» ბავარიულად

**ხშირად გვესმის კითხვები: ვის მხარეს ხართ — რუსეთის თუ თურქეთის? ვაშინგტონის თუ მოსკოვის? დემოკრატიის თუ ტირანიის? და ასე შემდეგ; ან მოისმენთ ასეთ მსჯელობას: თუ აშშ წააგებს, რუსები დაგვცხებენ და დემოკრატია მოკვდებაო. არადა, სინამდვილეში დამანგრეველი სწორედ ამერიკული ე.წ. დემოკრატიაა.**




ამერიკელები ნაპალმით ამკვიდრებდნენ დემოკრატიას ვიეტნამში, უმოწყალოდ ბომბავდნენ სერბეთს. „ძია სემის“ მიერ მოწყობილმა „არაბულმა გაზაფხულმა“ ყირაზე დააყენა მთელი არაბული სამყარო, გააჩინა მილიონობით ლტოლვილი, რომლებიც ევროპას მიაწყდნენ. რისთვის დაიღვარა ამდენი სისხლი და დატრიალდა უბედურება? — იმისთვის, რომ ამ განუკითხაობისას უკეთ მიითვისოს ამა თუ იმ ქვეყნის ბუნებრივი რესურსები. დემოკრატია აქ არაფერ შუაშია!

მოსაზრება, რომ ნოყიერ ნიადაგზე დემოკრატიის დათესვაში ამერიკელებს რუსეთი უშლის ხელს და ამიტომ არაფერი გამოსდით, სასაცილოა. ამ შემთხვევაში, დემოკრატიაზე საუბარი ისეთივე აბსურდია, როგორც მეძავის უბიწოებაზე. ამერიკელები არ თესენ დემოკრატიას, ისინი ეუფლებიან ნაციონალურ სიმდიდრეს — წიაღისეულს და ამ მხრივ ჯერჯერობით ყველაფერი გამოსდით. **კაცმა რომ თქვას, ეროვნული სახელმწიფოების დაშლა-განადგურება ამერიკელების ბოროტი ახირება როდია. ეს რესურსების დეფიციტით გამოწვეული ცინიკური პოლიტიკაა.** საიდუმლო არ არის, რომ პლანეტის რესურსები შეზღუდულია და ყველასთვის გალაღებული ცხოვრების უზრუნველსაყოფად საკმარისი არ არის. ამერიკას სჭირდება მოხმარების იმ მაღალი დონის შენარჩუნება, რომელიც ამჟამად აქვს. ამისათვის სჭირდება სხვა ქვეყნებში არსებული რესურსების ხელში ჩაგდება და სულაც არ ადარდებს, მისი მომხვეჭელობით რომ გალატაკდა მსოფლიოს ბევრი რეგიონი.

ვინ იქნება პლანეტის რესურსების განმკარგველი — სწორედ ეს არის თანამედროვე მსოფლიოს საჯილდაო ქვა. **დიდი ხანია, ამერიკელებმა შეიმუშავეს სამხედრო-პოლიტიკური სქემები, რომელთა საშუალებითაც მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებენ რესურსებით მდიდარი ქვეყნების განვითარების შეფერხებას, რათა მოხმარების ხარისხსა და რაოდენობაში კონკურენტი არ ჰყავდეთ. მეტიც — საჭიროა ქაოსის გამოწვევა რესურსებით მდიდარ ქვეყნებში, რათა მათ ნაციონალურ სიმდიდრეს დაეპატრონონ.** ამ მიზნით ამერიკელებმა ააოხრეს **ლიბია, ერაყი, სირია** და თითქმის ყველა ის სახელმწიფო, რომელიც ცდილობდა, თავისი ხალხის საკეთილდღეოდ განეკარგა თავისი ბუნებრივი რესურსები. ისინი ამერიკელებმა გახვიეს სამოქალაქო ომის ცეცხლში. **უკრაინაც და საქართველოც აშშ-ს სჭირდება, როგორც ინსტრუმენტი რუსეთის წინააღმდეგ.** რატომ? რუსეთს ბევრი აქვს როგორც ენერგო, ასევე სხვა ბუნებრივი რესურსი, აგრეთვე, მათი საიმედოდ დაცვის საშუალებებიც. რუსეთს ლიბიასავით ვერ „დაჩაგრავ“, აქეთ არ მოგდოს. ამიტომ, რუსეთის გასაღიზიანებლად მის საზღვართან უნდა მოაწყო ხანძარი, რომელიც მუდმივად იგიზგიზებს. სწორედ ამ მზაკვრული განძრახვის მსხვერპლი შეიქნა ჯერ საქართველო, ახლა კი — უკრაინა.

ამ ფონზე საქართველომ და მისმა ხელისუფლებამ არ უნდა იამაყოს აშშ-ის მოკავშირეობით, ანუ რუსეთის გამაღიზიანებელი ინსტრუმენტის როლით. მთავარია, საგარეო პოლიტიკის ძალისხმევა მივმართოთ იქით, რომ შევინარჩუნოთ სახელმწიფო, როგორც თვითმყოფადი ერთეული და ბუნებრივი (რომელიც არც ისე ბევრი გვაქვს) და გეოპოლიტიკური რესურსები საკუთარ ინტერესებს დავუქვემდებაროთ. ბუნებრივია, ამ ყველაფერს ამერიკელების მოკავშირეობით ვერ შევინარჩუნებთ, რაც თვალნათლივ დაგვანახვა 2008 წლის აგვისტომ. აუცილებელია, აშშ-ის მიერ ეროვნული სახელმწიფოების მიმართ გაჩაღებულ ომში მივემხროთ იმ ვექტორს, რომელიც ბუნებრივი განვითარების, თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტიას მოგვცემს.

## მორიგი მილიარდერი „ოცნების“ მაგივრად „ბედნიერებას“ გვპირდება

**„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა“ და დღევანდელ პოსტსაბჭოურ სივრცეში ახალმოვლენილი „ოსტაპ ბენდერები“?**

კიევის ყოფილი მერი, დიდი ქონების პატრონი **ლეონიდ ჩერნოვიცკი** პოლიტიკური პარტიებით დახუნძლულ საქართველოში კიდევ ერთ პარტიას ქმნის. თავისი კოლეგის (ფულის მიხედვით) — ივანიშვილისგან განსხვავებით, ექსმერი ოცნებისკენ არ მოგვიწოდებს, მხოლოდ — ბედნიერებისკენ. პარტიასაც „ბედნიერი საქართველო“ უწოდა. როგორ აპირებს „ოსტაპ“ ჩერნოვიცკი საქართველოს გაბედნიერებას? — სახელმწიფო ქონების პრივატიზებით! „რა საჭიროა ამდენი სამინისტროს შენობა? — სვამს კითხვას ჩერნოვიცკი, — გადასახადებმა უნდა მოიმატოს მდიდრებისთვის, ვისაც ძვირად ღირებული მანქანები ჰყავს, ფულიც მათ უნდა გადაიხადონო. და, აი, ასეთი გზით ამოღებული ფულით აპირებს პენსიის ხუთას ლარამდე გაზრდას. თუმცა, როდესაც ახსენა „სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია“, **კახაბერ ბენდუქიძის** აჩრდილმა გამიელვა თვალწინ. განსვენებულმა ეკონომიკის ექსმინისტრმა „სახელმწიფო ქონების“ პრივატიზაციასთან ერთად, ქვეყნისთვის უსარგებლოდ, თავისი სინდისიც გაყიდა, ხოლო სული ეშმაკს ჩააბარა!

ასე რომ, ძვირფასო პენსიონერებო, ფხიზლად იყავით! ვიდრე საქართველოს უცხო ქვეყნის მარიონეტები მართავენ, ვერც ღირსეულ პენსიას ეღირსებით, ვერც თქვენ, ახალგაზრდებო — სამუშაო ადგილებს. დასავლელმა პარტნიორებმა ევროპის „ბაზრის“ მისადგომებთან ხელგაწვდენილი დაგვტოვეს.

რაც შეეხება ლეონიდ ჩერნოვიცკის, ასეთ „დიდ კომბინატორებს,“ ალბათ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც გამოგვიგზავნიან!



## პატრიარქისთვის შეწყალების უფლების მიცემის მცდელობა, როგორც ხელისუფლების მორიგი ფანდი

პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა, როგორც ჩანს, სერიოზულად გადაწყვიტა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის უფუნქციოდ დატოვება და რამდენიმე დღის წინათ მოუწოდა პრეზიდენტსა და პარლამენტს, იმსჯელონ პატრიარქისთვის შეწყალების უფლების გადაცემის საკითხზე.

საკვირველია პრემიერის მიმართვა, რადგან, ვინ-ვინ და, ბატონმა ღარიბაშვილმა უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფოს მეთაურს კონსტიტუციის რომელიმე მუხლის შეცვლის უფლება არ აქვს. კონსტიტუციის მშვენივრად იცის პრემიერმა, რომ პატრიარქისთვის შეწყალების უფლების გადაცემის ფაქტს „ომს“ გამოუცხადებენ „ნაციონალები“, რესპუბლიკელები და უამრავი, უცხოეთის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები. და მთავარი — ამ ე.წ. ინიციატივით ირღვევა კონკორდატი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სახელმწიფოს და ეკლესიის უფლება-მოვალეობებს.

**საკითხავია, რისთვის დასჭირდა პრემიერ ღარიბაშვილს მიმართვა პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი? პასუხი — მძიმე სოციალური ვითარებიდან მოსახლეობის ყურადღების კიდევ ერთხელ გადასატანად.**

ისე, შეწყალების უფლების მინიჭება პატრიარქისთვის მიზანშეუწონელია. ის ხომ ერის სულიერი მამაა და, როგორც მამას უყვარს თითოეული შვილი, მათ შორის, ყველაზე უვარგისიც, დღედაღამ საჯაროდ რომ ლანძღავს მის უწმინდესობას. ჰოდა, ამ უფლების მინიჭებისთანავე, საქართველოს ციხეები დაცარიელდება და პენიტენციური სისტემის მრავალრიცხოვანი მუშაკები ქუჩაში ულუკმაპუროდ აღმოჩნდებიან.

## ჰიტლერის „MEIN KAMPF“-ის ხელახლა გამოცემა და ნაგავსაყრელზე მიგდებული სტალინის ძეგლი

**მიუნხენის თანამედროვე ისტორიის ინსტიტუტი 2016 წლის იანვრიდან ხელახლა გამოსცემს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი დამნაშავის — ადოლფ ჰიტლერის “მაინ კამფს” (Mein Kampf — ჩემი ბრძოლა).**

ფიურერის „ნაოფლარი“ დაიბეჭდება ორ ტომად, დაიტევს თითქმის ორი ათასს გვერდს და ეღირება 59 ევრო. პირველი ტირაჟი შეადგენს ოთხ ათასს ეგზემპლარს.

ორიგინალურ ტექსტს დაერთვება კრიტიკული კომენტარები, რადგან „ნაშრომს“ ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ანტისემიტიზმი. გამომცემელი თვლის, რომ ჰიტლერის ბევრი სიტყვა და გამონათქვამი გაუგებარი იქნება თანამედროვე მკითხველისთვის.

„მაინ კამპფის“ ხელახლა გამოცემის გეგმამ აღაშფოთა გერმანიის ებრაული სათვისტომოს წარმომადგენლები, რომლებმაც წიგნს საშიში უწოდეს. თუმცა, თანამედროვე ისტორიის ინსტიტუტში აღნიშნავენ: წიგნი ხელახლა იმიტომ იბეჭდება, რომ გაიფანტოს ის მითქმა-მოთქმა და მითები, რომლებიც „მაინ კამპფს“ ახლავსო, ასევე, დავარწმუნოთ მკითხველი ჰიტლერის თეზისების უაზრობაშიო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „მაინ კამპფზე“ საავტორო უფლებები ეკუთვნოდა ფედერალური მიწის — ბავარიის — მთავრობას, მაგრამ ბოლო 70 წლის განმავლობაში ამ წიგნის გამოცემას კრძალავდნენ, რითაც პატივს სცემდნენ ნაციზმის მსხვერპლს. თუმცა, 2016 წლის 1 იანვარს ვადა გაუვა საავტორო უფლებების დაცვას და ჰიტლერის ნაშრომის გამოცემა შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

**ცნობისთვის: „მაინ კამპფი“ ჰიტლერმა დაწერა ციხეში ყოფნისას, გასული საუკუნის 20-იან წლებში. ავტობიოგარფიულ ნაშრომში გერმანელი ხალხის ბელადი აყალიბებს და პროპაგანდას უწევს ნაციონალ-სოციალიზმის იდეებს.**

**დაკვირვებული მკითხველი, რა თქმა უნდა, არ დაუჯერებს გამომცემელს,— ხელახლა იმიტომ ვბეჭდავთ წიგნს, რომ „გავფანტოთ ის მითქმა-მოთქმა და მითები, რომლებიც „მაინ კამპფს“ ახლავს“. ამ ნაბოდვარის გამოცემა, რომელიც კათმოძულეობით არის გაჟღენთილი, ფაშიზმის გამართლების, აღორძინების და დამკვიდრების შორს მიმავალი გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია. ფაშიზმის გამართლება კი მისი სულის ჩამდგმელის — ჰიტლერის გათეთრებით უნდა დაიწყოს და, საბოლოოდ, 60 მილიონი ადამიანის მკვლელი თავად უნდა გამოცხადდეს „სტალინურ რეჟიმთან“ ბრძოლაში „გმირულად დაღუპულ კეთილშობილ რაინდად“...**

**ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ სახელმწიფო ბოროტმოქმედის, ამერიკელი მარიონეტის, სულიერად და ფიზიკურად გახრწნილი სააკაშვილის მიერ 2010 წელს, ღამით, სტალინის ძეგლის დამხობა გორში და 2016 წელს ჰიტლერის „მაინ კამპფის“ ხელახლად გამოცემა ერთი დანაშაულებრივი ჯაჭვის რგოლია! აქ გახსენდება იულიუს ფუჩიკის სიტყვები: „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“**

**გიორგი კორძაძე**

**ნატოში საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას შესვლაზე საუბარი არ არის და არც იქნება უახლოეს პერიოდში, თუკი მოსკოვი განაგრძობს მკაცრ პოლიტიკას. ამასთანავე, ალიანსის ზოგიერთი ქვეყნის ლიდერს შესანიშნავად ესმის, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მქონე საქართველოს, აგრეთვე, დონბასისა და ყირიმისპრობლემებიანი უკრაინისა და დნესტრისპირეთის პრობლემით მოლდოვას გაწევრება ნატოში მკვეთრად ზრდის რუსეთთან ატომური კონფლიქტის ალბათობას, რადგან ამ რეგიონებში რუსი სამხედროები იმყოფებიან.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «უმაპო» ქვეყანაში თინას აყეფებენ

**1992 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება პუტჩის შედეგად დაამხეს, აგერ უკვე 23 წელიწადია, საქართველოს მოსახლეობას კვებავენ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების შედეგად საქართველოში წამოსული რძის მდინარეებისა და ოქროს ზოდების ბოდვითი იდეებით, მაგრამ, ნატოს კარზე კაკუნ-ბრახუნის მიუხედავად, არა და არ დაადგა საშველი საქართველოს — „ასპირანტი ქვეყნის“ — ნატოში მიღებას. ჯერ იყო ე.წ. აიპაპი, შემდეგ მაპის მიღების სურვილი, მაგრამ მივიღეთ „მაპზე უკეთესი“, იყო პრაღის, ბუქარესტის, ჩიკაგოსა და უელსის სამიტები, ახლახან კი — ნატოს მინისტერიალი, რომელზეც მიიღეს კომუნიკე და დაგვპირდნენ, რომ 2016 წელს ვარშავის სამიტზე კვლავ შეისწავლიან საქართველოსთან პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის გზებს...**



**საქართველოს ყველა ხელისუფლება ატყუებდა და ატყუებს ხალხს, რომ საქართველოს ნატოში ოდესმე მიიღებენ. ეს წლების წინათაც ცნობილი იყო, მაგრამ თინა ხიდაშელი ცდილობს, საქართველოს მოსახლეობას თვალში ნაცარი შეაყაროს...**

აი, რა განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ნატოს მორიგი მინისტერიალის შედეგებზე, რომლის მიხედვითაც ნატოს 29-ე წევრად ჩერნოგორია (მონტენეგრო) მიიწვიეს:

„მონტენეგროს (ჩერნოგორიის — ნ. კ.) მიწვევა ალიანსში ნათელი და მკაფიო გზავნილია ასპირანტი სახელმწიფოებისთვის, რომ ნატოს ღია კარის პოლიტიკა გრძელდება. ასევე, მინდა ვთქვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებმა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღეს, რომლის საფუძველზეც **საქართველოს საკითხი, ერთხელ და სამუდამოდ, ალიანსის „პარტნიორობის კალათიდან“ ღია კარის, ანუ „გაფართოების კალათში“ გადავიდა...** გზავნილი, რომელსაც მონტენეგროს ალიანსის წევრები აწვდიან, საუკეთესოა ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელიც კი ნატოში ისწრაფვის. კიდევ უფრო დიდი ოპტიმიზმითა და იმედის მომცემია ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, როდესაც იგი მონტენეგროს გაწევრებასთან დაკავშირებით ამბობს: „ჩვენ ვისწრაფვით, რომ საქართველო იყოს შემდეგი“.

საქართველოს თავდაცვის აღტყინებულ მინისტრს რატომღაც მხედველობიდან გამორჩა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ **ედგარს რინკევიჩსის** რამდენიმე დღისწინანდელი განცხადება: **„თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა წევრი არ იქნება თანახმა, თუ შევთავაზებთ, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი 1, 2 ან 3 წელიწადში. ამ საკითხზე ჩვენ აქამდე არ მიგვიღწევია კონსენსუსისთვის, მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი — ეს არის როგორც თავდაცვისუნარიანობის განვითარება, ასევე პოლიტიკური რეფორმები, ჩვენ არ შეგვიძლია, დავხუროთ კარი არავისთვის, მათ შორის, არც საქართველოსთვის“.**

თუმცა არამხოლოდ ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი გვაფრთხილებს, რომ ნატოში საქართველოს შესვლას დრო დასჭირდება, 2015 წლის დასაწყისში ეს უფრო მკვეთრად გვითხრა საფრანგეთის პრეზიდენტმა **ფრანსუა ოლანდმა**, — საფრანგეთი მხარს არ უჭერს ნატოს გაფართოებასო. ასეთივე პოზიციაზე დგას **ანგელა მერკელის** გერმანიაც და **შეუძლებელია, თინა ხიდაშელმა არ იცოდეს, რომ ნატოს წევრი ერთი ქვეყნის უარიც კი საკმარისია, საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში რომ არ მიიღონ, ცხადია იცის, მაგრამ ინტერესები იმ ძალებისა, რომელთა ხელდასხმითაც მოვიდა ისიც და 3-პროცენტიანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტია ხელისუფლების სათავეში, ხომ უნდა გაატაროს და, მიუხედავად იმისა, რომ ნატოსა და ევროკავშირში შესვლა არ გველის (უახლოეს წლებში მაინც), ხომ უნდა ილაპარაკოს და ამით თავის ამერიკელ პატრონებთან ქულები ჩაიწეროს?!**

ნატოში საქართველოს გაწევრებაზე **ანგელა მერკელს, ფრანსუა ოლანდსა** და **ფედერიკა მოგერინის** კრინტს ვერ დააძვრევინებდნენ, ამიტომ ვილაცამ ხომ უნდა იყეფოს უმაპო ქვეყანაში და ეს ვიღაც თინა ხიდაშელია.

უახლოეს მომავალში ნატოში საქართველოს გაწევრებაში ეჭვი შეაქვს თვით ამერიკელ სენატორ **რიჩარდ ლუგარს**, რომლის სახელობის ბიოლოგიური ლაბორატორიის თბილისში გახსნამ რუსეთს კიდევ ერთი საბაბი მისცა, საქართველო სამიზნეში ამოეღო.

აშშ-ის ყოფილმა ელჩმა ნატოში — **კურტ უოლკერმა** რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

**„საქართველოს ვითარება გამორჩეულია. მას ნატოსთან პირდაპირი ურთიერთობა აქვს, მას აქვს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, მას არ აქვს „მაპი“, მაგრამ აქვს მისი ეკვივალენტი — ნატო-საქართველოს კომისია. ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ნატოს განსაკუთრებულ აქტიურობას, საქართველოსაც ჰქონდა მცირედი უკუსვლა დემოკრატიის კუთხით. ამასთანავე, ნატოს ძალიან აშფოთებს რუსეთი, ჩვენ ვხედავთ „გაუყინავ“ კონფლიქტებს. ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ალიანსის წევრობის ან „მაპი“-ის პროცესის დაჩქარებას“.**

ამ განცხადებების მიუხედავად, საქართველოში კვლავ არ წყდება პროპაგანდისტული გამოსვლები ნატოში საქართველოს გაწევრების გამო. არადა, დღეს ისეთი ვითარებაა, რომ **ნატოს წევრი ქვეყნები მათ რიგებში საქართველოს მიღებას ვერ გაბედავენ, რადგან:**

*** საქართველოს დაკარგული აქვს ტერიტორიები და კონფლიქტი აქვს ბირთვული იარაღის მქონე რუსეთთან, რომელიც ეწინააღმდეგება მისი ნებისმიერი მეზობლის ნატოში ინტეგრაციას და ამის გამო დასავლეთს შეიძლება რუსეთთან მწვავე დაპირისპირებაში ჩართვა მოუწიოს.**

*** ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ფიქრობს, რომ თავის რიგებში საქართველოს მიღებით მას უფრო მეტი პრობლემა შეექმნება, ვიდრე სარგებელს ნახავს. საქართველო ხომ ისედაც მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაჩაღებულ იმ კონფლიქტებში?!**

*** ნატოს წესდებით, აკრძალულია მის რიგებში ისეთი ქვეყნის მიღება, რომელსაც აქვს ტერიტორიული პრობლემები. მხოლოდ სამშვიდობო ოპერაციებში (სადაც უკვე ათეულობით ქართველი ახალგაზრდა დაიღუპა) ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა კი ნატოში გაწევრებისა და უსაფრთხოების გარანტია არ არის.**

ბევრი ექსპერტის აზრით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტრატეგიული ამოცანა მის შემადგენლობაში უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას შეყვანაა, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ნატოში საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას შესვლაზე საუბარი არ არის და არც იქნება უახლოეს პერიოდში, თუკი მოსკოვი განაგრძობს მკაცრ პოლიტიკას. ამასთანავე, ალიანსის ზოგიერთი ქვეყნის ლიდერს შესანიშნავად ესმის, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მქონე საქართველოს, აგრეთვე, დონბასისა და ყირიმის პრობლემების მქონე უკრაინისა და დნესტრისპირეთის პრობლემის მქონე მოლდოვას გაწევრება ნატოში მკვეთრად ზრდის რუსეთთან ატომური კონფლიქტის ალბათობას, რადგან ამ რეგიონებში რუსი სამხედროები იმყოფებიან.

რაც შეეხება ნატოში შესვლას, როგორი ქვეყანა უნდა იყოს საქართველო, მისი ნატოში გაწევრება რომ მოხდეს? — უპირველეს ყოვლისა, საქართველოს თავის მეზობლებთან დემარკირებული საზღვრები უნდა ჰქონდეს. საქართველოს კი არც ერთ თავის მეზობელთან, გარდა თურქეთისა, დემარკირებული საზღვარი არ აქვს. თურქეთ-საქართველოს საზღვარი ნაყოფია საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულებისა, თორემ საქართველოსა და თურქეთს შორის საზღვრის დემარკაცია არ მომხდარა. საქართველოს აქვს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მწვავე პრობლემა, გარდა ამისა, პრობლემებია სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებზეც. აქედან გამომდინარე, **საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელსაც ნატოში მიიღებენ. სწორედ ამიტომ ნატოს წევრი ქვეყნები მომავალშიც განაგრძობენ მხოლოდ დაპირებებით ჩვენს გამოკვებას.**

საქართველოს ყველა ხელისუფლება ატყუებდა და ატყუებს ხალხს, რომ საქართველოს ნატოში ოდესმე მიიღებენ. ეს წლების წინათაც ცნობილი იყო, მაგრამ თინა ხიდაშელი ცდილობს, საქართველოს მოსახლეობას თვალში ნაცარი შეაყაროს...

**P.S. ჩერნოგორიის დედაქალაქ პოდგორიცაში ნატოს მინისტერიალის გადაწყვეტილებამდე ორიოდე დღით ადრე საპროტესტო აქცია გაიმართა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩერნოგორიის მიწვევის გამო. ჩერნოგორიელებმა, რომლებიც ხელისუფლების გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ, — ხალხის აზრი არ გაითვალისწინესო, მიტინგი აშშ-ის საელჩოს შენობასთან გამართეს.**

**მათ ხელში ეჭირათ პლაკატები წარწერებით: „ნატო-მკვლელი“, „ნატოში — არასოდეს“, ეს არ არის ჩერნოგორიელი ხალხის სურვილი“...**

**ნატოში საქართველოს გაწევრებაზე ლაპარაკი და აგიტაცია-პროპაგანდა გაუთავებელ კაკოფონიად რომ არ იქცეს, იქნებ კიდევ ერთხელ, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ჩატარდეს რეფერენდუმი საკითხზე — უჭერს თუ არა მხარს საქართველოს მოსახლეობა ნატოში გაწევრებას.**

**ნიკა კორინთელი**

მერია

## ვერეს ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანმანათლებლო ცენტრი, სპორტული კომპლექსი და პარკი მოეწყობა

**თბილისის მერიაში მდინარე ვერეს ხეობის ტერიტორიული განვითარების კონცეფციის პრეზენტაციას დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე, არქიტექტორული სამსახურის ხელმძღვანელი დიმიტრი მოსულიშვილი, არქიტექტორები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, გარემოს დამცველები დაესწრნენ.**

პრეზენტაცია გამართა შპს „არქიტექტურულმა ბიურომ“, რომლის წარმომადგენელმა მიხეილ ბალიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს ვერეს ხეობის ტერიტორიული განვითარების კონცეფციის ჩარჩოს გეგმა გააცნო. ამ კონცეფციის თანახმად, მდინარე ვერეს ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანმანათლებლო ცენტრი, სპორტული კომპლექსი და ტყეპარკი მოეწყობა. გეგმის თანახმად, ვერეს ხეობაში საგანმანათლებლო ცენტრი 20 000 მ2 ტერიტორიაზე მოეწყობა, რომელშიც საკონფერენციო-სასემინარო დარბაზები, ბიბლიოთეკა, სტუდენტური სასადილო განთავსდება.



დემოტრაკია გინდებდარიენ?!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ამ „საფუძვლებს“ ყურადღებით წაიკითხავთ, უთუოდ მივალთ დასკვნამდე: ბიბლიური მეფე ჰეროდე, ჩვილთა დახოცვით რომ „გაითქვა“ სახელი, ამ „კომპეტენტური“ ორგანოს წევრებთან შედარებით, თუ ფრთიანი ანგელოზი არა, უწყინარი ადამიანია, რადგან ჰეროდემ ფიზიკურად მოსპო უმანკო ბავშვები, ესენი კი მათ სულიერად კლავენ, რაც გაცილებით მძიმე დანაშაულია!**

# «დემონტრაკია» ევროპულად ანუ ჰეროდე ევროპაში აღსდგა

**ევროპის მამაცი შვილები ოდესღაც ქვეყნებსა და კონტინენტებს იპყრობდნენ; დღეს კი მათი შთამომავლობა გამოწყობილია ქუჩის ქალის მთავარ ატრიბუტში — მინი ქვედაკაბაში. ერთნაირსქესიანთა ქორწინების ოფიციალურად დაშვება, მათ მიერ ბავშვების აყვანა, ნორმალური ადამიანისთვის საყვარელი სიტყვების — დედისა და მამის ყაზარმული შტამპებით — მშობელი ნომერი ერთითა და მშობელი ნომერი ორით — შეცვლა, პირწავარდნილი ჰომოსექსუალების ღვთისმსახურებად კურთხევა და სხვა მრავალი ჭირი მიგვითითებს, რომ ქრისტემ ევროპა მიატოვა.**




არც ისე დიდი ხნის წინათ ყველა ჯურის ლიბერალი, „სამართალდამცველი“ თუ „არასამთავრობო“ ერთხმად იფიცებოდა, „უმცირესობების“ დაუცხრომელი სექსუალური ფანტაზიები ეხება მხოლოდ სრულწლოვანებს, რომლებიც საკუთარ თავსა და ქმედებებზე აგებენ პასუხსო. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, **„ტოლერანტობის“ ძომაგები მოპოვებულით ვერ დაკმაყოფილდნენ და თავისი სექსუალურ-პოლიტიკური „რიტუალების“ მსხვერპლად აირჩიეს საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილი — ბავშვები!** მკითხველისთვის, ალბათ, ცნობილია, რომ უამრავი ქართველისთვის სათაყვანებელ გერმანიაში, ამ ქვეყნის ხელისუფლების სრული მხარდაჭერით, კანონის ძალით, სკოლებში დაინერგა **„ადრეული სქესობრივი აღზრდის“** პროგრამა. აქედან გამომდინარე, **ის მშობლები, რომლებიც თავის შვილებს არ გაუშვებენ „სექსუალური აღზრდის“ გაკვეთილზე** (და ეს უმსგავსობა, სხვათა შორის, სავალდებულო შესასწავლი საგანია ყველასთვის, განურჩევლად ასაკისა) **დაჯარიმდებიან 250-დან ათას ევრომდე. იმ შემთხვევაში კი, თუ მშობელი უარს იტყვის ჯარიმის გადახდაზე, მას ორი კვირიდან ორმოც დღემდე გამოამწყვდევენ „ვირის აბანოში“.**

ზნეობის ზეობით ვერ დაიკვეხნის ვერც გერმანიაზე უფრო კეთილმოწყობილი, მდიდარი და გალაღებული ნეიტრალური **შვეიცარია.** ჩემმა თანაკურსელმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ამჟამად ამ მთიანი ქვეყნის მოქალაქემ, ფსიქოლინგვისტმა **ანდრია სემჩენკომ** გამომიგზავნა საკმაოდ საინტერესო საბუთი. რამდენიმე წლის წინათ ევროკავშირის მითითებით და შვეიცარიის ჯანდაცვის სახელმწიფო სამმართველოს დაკვეთით, შეიქმნა „კომპეტენტური ორგანო“, რომელმაც შეიმუშავა და გამოაქვეყნა პროგრამა სათაურით: **„სექსუალური განვითარების პედაგოგიკის საფუძვლები და სკოლა“.** თუ ამ „საფუძვლებს“ ყურადღებით წავიკითხავთ, უთუოდ მივალთ დასკვნამდე: **ბიბლიური მეფე ჰეროდე, ჩვილთა დახოცვით რომ „გაითქვა“ სახელი, ამ „კომპეტენტური“ ორგანოს წევრებთან შედარებით, თუ ფრთიანი ანგელოზი არა, უწყინარი ადამიანია, რადგან ჰეროდემ ფიზიკურად მოსპო უმანკო ბავშვები, ესენი კი მათ სულიერად კლავენ, რაც გაცილებით მძიმე დანაშაულია!**

გავეცნოთ ამ „კომპეტენტური ბიძიებისა და დეიდების“ ტვინის ნაყურის რამდენიმე პუნქტს:

**„ოთხი წლის ბავშვმა უნდა შეისწავლოს: თავისი სასქესო ორგანოები, როგორც ახალი სიამოვნების წყარო; ორგაზმის მსგავსი რეაქციების გამოწვევა, როგორც შედეგი შეგნებული და განმეორებადი მასტიმულირებელი მოძრაობებისა ტანზე, ასევე, გენიტალიებზე. ხუთი წლისამ — თამაშების პრაქტიკა. ბავშვმა უნდა ითამაშოს სხვადასხვა როლი, მათ შორის, ოჯახში ორ დედასა და ორ მამასთან. ილაპარაკოს სიყვარულსა და სქესობრივ კავშირზე. მომავალში ამ „პროგრამას“ დაემატება შემდეგი: ნებისმიერი სექსუალური ურთიერთობა არ არის რაღაც არაბუნებრივი ქმედება იმ შემთხვევაში, თუ მასში მოქმედ პირებს ერთმანეთის მიმართ არ აქვთ პრეტენზიები და ნებისმიერი სექსუალური ორიენტაცია, მათ შორის, ჰომოსექსუალიზმი, ბისექსუალიზმი და ტრანსვესტიზმი ისეთივე ბუნებრივია, როგორც ჰეტეროსექსუალიზმი“.** როგორც ხედავთ, სქესობრივი აღზრდა საბავშვო ბაღებში მიმდინარეობს ისეთივე დიდი გაქანებით, როგორც სკოლებში.

მოზარდებში „კომპეტენტური ორგანოს“ მიერ ვრცელდება „სპეციალური ლიტერატურა“, სინამდვილეში კი გარყვნილების ინსტრუქცია. აი, რას ურჩევენ „კომპეტენტურები“ პატარა მოსწავლეებს:

**„პირი შენს სახეზე, საშო — შენი გენიტალიების რაიონში არის გამოქვაბული, რომელშიც შეგიძლია დააპატიჟო „პენისი“ და სხვა „სტუმრები“ და მათთან ითამაშო“. ხსენებული „ინსტრუქცია“ კიდევ მრავალ რჩევას იძლევა ანალური სექსის თაობაზე, ასევე, თუ როგორ შეიძლება დაიყოლიო მეგობრები სექსზე. შემდგომ მიდის განმარტებები, რომ სექსი უსიყვარულოდ ნორმალურია, რომ სექსში არავითარი შეზღუდვა არ არის, რა თქმა უნდა, თუ მასში მონაწილე პირები თანახმანი არიან.**

რა შედეგი მოაქვს ასეთ სქესობრივ „აღზრდას“? **ფულსა და პრივილეგიებზე გაუყიდველი ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების მტკიცებით, ბავშვები და მოზარდები ნაადრევად დაიწყებენ აქტიურ სექსუალურ ცხოვრებას, სადაც სექსი უსიყვარულოდ ჩვეულებრივი ამბავია და, სადაც სექსი ისეთივე ჩვეულებრივი რამ იქნება, როგორიცაა, მაგალითად, ხელის ჩამორთმევა ან ტელევიზორის ყურება. მშობლების აღზრდა დაკარგავს ფასს!**

ამ „პროგრამაში“ წერია მხოლოდ ბავშვის უფლებაზე, მიიღოს სექსუალური სიამოვნება, მაგრამ კრინტიც არ არის დაძრული მშობლის უფლებებზე. გამოდის, რომ ბავშვი აღარ ეკუთვნის მშობლებს, ბავშვი ეკუთვნის სახელმწიფოს და მხოლოდ მან იცის, რა უფლებები უნდა ჰქონდეს ჩვილსა და მოზარდს.

**რა თქმა უნდა, „კომპეტენტური ორგანოს“ მიერ შეთითხნილ „დოკუმენტში“ არაფერია თქმული ზნეობაზე. ღირსებას, თავმდაბლობას, თვითშეკავებას, ძლიერი მოსიყვარულე ოჯახის შექმნას თანამედროვე „ჰეროდეები“ ანაცვლებენ თავაშვებულობით, თავისუფალი შეუზღუდავი სექსით და ა.შ. ხოლო, თუ არ იარსებებს ძლიერი ოჯახი, არ იარსებებს ძლიერი სახელმწიფო. სწორედ ეს არის იმ შავბნელი ძალების მიზანი, რომლებიც ასეთ „პროგრამებს“ თავს ახვევენ კაცობრიობას. მათი აზრით, ზნეობა წარსულს ჩაბარდა. დღეს ადამიანი აღარ არის „სოციალური, ცოცხალი არსება, რომელსაც აქვს სული, გრძნობები და ინტელექტი“. დღეს ადამიანი მხოლოდ მომხმარებელია, ბავშვი კი — „სექსუალური არსება“, მაშასადამე, აქვს მოთხოვნა „სექსუალურ აღზრდაზე“.**

2011 წლიდან შვეიცარიაში დაიწყეს „სექსუალური აღზრდის“ პროგრამის დანერგვა საბავშვო ბაღებში და სკოლებში. ისევე, როგორც გერმანიაში, თითოეულმა ბავშვმა მიიღო ე.წ. **სექსუალური ჩემოდანი,** მასში მოთავსებული ნივთებით, რომლებიც გააცნობენ ბავშვს, რა არის სექსი. ამ ნივთებში მთავარი „მარგალიტია“ „ნაწარმოები“ სათაურით: **„ჩემი პირველი განმარტებითი წიგნი“.** ლიტერატურის ეს „შედევრი“ გათვლილია, არც მეტი, არც ნაკლები, ხუთი წლის ბავშვზე!.. „წიგნი“ ილუსტრირებულია. მაგალითად, „ევას კოსტიუმში“ (ანუ შიშველი) გამოწყობილი „დეიდა აგნესა“ პრეზერვატივს უკეთებს „ადამის კოსტიუმში“ გამოწყობილ „ძია ლარსის“ (არ აგერიოთ საქართველო-რუსეთის საზღვარზე არსებულ საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან) აღგზნებულ ასოს. „ღრმაშინაარსიანი“ ტექსტიდან ვგებულობთ: „როდესაც კაცი და ქალი განსაკუთრებულად კარგად და აღგზნებულად გრძნობენ თავს, „ძია ლარსს“ შეუძლია მოათავსოს თავისი სასქესო ორგანო „დეიდა აგნესას“ საშოში; და თუ საშო სველია, ხოლო ასო — მკვრივი, ამის გაკეთება ძალიან ადვილია“.

ვიდრე ამ უმსგავსობას, მეტიც — სატანიზმს დაამკვიდრებდნენ შვეიცარიის საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, მშობლებმა და მასწავლებელთა ასოციაციამ მოაწყვეს მრავალათასიანი საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები, მაგრამ ტრაგიკომიკურ ვითარებას გადააწყდნენ: ფოსტამ უარი თქვა პეტიციის გაგზავნაზე იმ მიზეზით, რომ პეტიციაში არის პორნოგრაფიული ნახატები, რაც ამაზრზენიაო. არადა, ეს ილუსტრაციები ამოღებული იყო საბავშვო წიგნებიდან და მოზარდების დამხმარე სახელმძღვანელოებიდან.

**საყურადღებოა, რომ ამ ე.წ. პროგრამის დანერგვა არ იყო შვეიცარიელი პოლიტიკოსების მსჯელობის საგანი, მასზე მასმედიაც დუმდა. ეს „პროგრამა“ შვეიცარიას მზამზარეულად მიაწოდა ევროპის პარლამენტმა. ასეთი ბედი, ადრე თუ გვიან, ელის ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას, განურჩევლად. არის ცნობები, რომ ამ სისაძაგლეს ფარულად ნერგავენ საქართველოშიც. ჯერჯერობით ფარულად გადიან ე.წ. ტრენინგებს მომავალი ქართველი „სექსაღმზრდელები“. არ მოგვწონს? — არა უშავს, დაგვიცხრება ემოციები, შევეჩვევით. ამაზე იზრუნებენ ქართული ტელეარხები — ევროპული „დემონტრაკიის“ იდეების თავდადებული პროპაგანდისტები.**

მათ კი, ვისაც ჯერ კიდევ აქვს ილუზიები ევროპულ მორალზე, გავაცნობთ ერთ მეტად დამაფიქრებელ დოკუმენტს, დათარიღებულს 2010 წლით. ეს „ნივთმტკიცება“ ერთობლივად შეიმუშავეს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ევროპულმა ბიურომ და ჯანდაცვის სფეროში განათლების ფედერალურმა ცენტრმა (BZgA). დოკუმენტის სახელწოდებაა **„სექსუალური განათლების სტანდარტები ევროპაში“**. აი, ისიც:

**„0-4 წლამდე ბავშვს, აუცილებელია, მიაწოდოთ ინფორმაცია:**

* სიყვარულის ნაირსახეობაზე;

*საკუთარი სხეულის შეხებისგან მიღებულ სიხარულისა და სიამოვნების განცდაზე, თვითდაკმაყოფილებაზე ადრეულ ასაკში;

*ფიზიკური სიახლოვისგან მიღებულ ნეტარებაზე.

**4-6 წლამდე ბავშვისთვის უნდა გაგრძელდეს ინფორმაციის მიწოდება:**

*საკუთარი სხეულის შეხებისგან მიღებულ სიხარულსა და სიამოვნებაზე; თვითდაკმაყოფილებაზე ადრეულ ასაკში;

*სექსუალურობის მნიშვნელობაზე და გამოხატვაზე;

* სექსუალურ შეგრძნებებზე;

*ერთნაირი სქესის წარმომადგენლების მეგობრობასა და სიყვარულზე (იგულისხმება ჰომოსექსუალიზმი — **ავტ.**);

* ოჯახის სხვადასხვა კონცეფციაზე“.

**6-9 წლამდე ბავშვს — შემდეგი ინფორმაცია:**

*სექსზე მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში (ინტერნეტის ჩათვლით).

* **„მისაღები სექსის“** გაგება (ურთიერთშეთანხმებით, თანასწორი, შესატყვისი ასაკისთვის და პირობებისთვის. ღირსების პატივისცემა).

**9-12 წლამდე — შემდეგი ინფორმაცია:**

*პირველ სექსუალურ გამოცდილებაზე;

*სიამოვნებაზე, მასტურბაციაზე, ორგაზმზე“.

**15 წლამდე ბავშვს — შემდეგი ინფორმაცია:**

*სექსზე, როგორც უფრო მნიშვნელოვანზე, ვიდრე სქესობრივი კავშირი;

***ბიზნეს-სექსზე** (პროსტიტუცია, დასაჩუქრება სექსისთვის უმნიშვნელო თანხით, ასევე, რესტორანში, ღამის კლუბსა და სხვა გასართობ დაწესებულებაში დაპატიჟებით), პორნოგრაფია, სექსუალური დამოკიდებულება.

ყველაფერ ამას ჩვენს საზოგადოებაში ნერგავენ: **UNICEF-ი, შხამიანი სოკოებივით მომრავლებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები და, რა თქმა უნდა, უცხოელი „კონსულტანტები“ თავისი „ტრეინინგებით“...**

მოამზადა
**გიორგი კორძაძე**

„აბა, რათ უნდა უნდოდეს ბაჩოს და ადეიშვილის დალაგებული პარტია?! არ გამოჩნდება, რო ბაჩო და ადეიშვილი ალაგებენ თუ რა? და ხალხი აღფრთოვანებით შეეგებება ამ ორი დიდი მოღვაწის გაბლატავებას ისევ, თუ რა იქნება ეხლა? იმის მაგივრად, ყველანაირად მალავდეს და აჩოჩებდეს თავის ყოფილ პაზორნი ძალოვნებს, ისევ იმათ ეყრდნობა და მარტო იმათი იმედი აქვს“.

დემოკრატიზაცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების

## ვის უწოდებს გოკა გაბაშვილი გიჟს და ვის — პრ.ჭს



Ладо Габашвили Гока Габашвили

**ვირთხები ჩასაძირად განწირული გემიდან გარბიან. ე.წ. უგულავას სასტავი (გოკა გაბაშვილი, გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე და სხვები), რომელსაც, გოკა გაბაშვილის თქმით, „ნაციონალი“ პრ...ბი ებრძვიან, „ნაციონალურ მოძრაობას“ დატოვებს და ახალ პოლიტიკურ ძალას ჩამოაყალიბებს. თავის დროზე „ნაცმოძრაობა“ დატოვეს ზურაბ ჯაფარიძემ, პავლე კუბლაშვილმა, გოგა ხაჩიძემ, ახლა კი მათ გაბაშვილი, ბოკერია და თარგამაძეც მიჰყვებიან.**

„ნაციონალური მოძრაობის“ რღვევაზე მიუთითებს უკრაინულ ვებგვერდ „უკრაინსკაია რევოლუციაზე“ (ua-revo.in.ua) გამოქვეყნებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი **გოკა** და **ლადო გაბაშვილებს** შორის. გოკა გაბაშვილი პარტიაში არსებულ დაპირისპირებაზე ლაპარაკობს და სააკაშვილს გიჟს უწოდებს, ხოლო სააკაშვილთან ერთად უკრაინაში მყოფ ზურაბ ადეიშვილს, ლევან ვარშალომიძეს, მურთაზ ზოდელავასა და დავით საყვარელიძეს — პრ...ბს. გთავაზობთ ამ სატელეფონო ჩანაწერის გაშიფრულ ვერსიას:

**გოკა:** — რა ვი, ლადო, იმაშვებიან რა, ჯერჯერობით იღრინებიან, მარა დაალაგებენ ტრ...ბს, არ ვიცი, თუ არ დაალაგებენ და, კიდე შეგვასკდებიან...

**ლადო:** — და რას იღრინებიან?

**გოკა:** — ნუ ეხლა, არ ეგუებიან იმას, რო ვუგებთ რა, კუჩკა-კუჩკა დადიან და ჭრიჭინებენ, — რო კიდე სხვა პოსტზე ვცადოთ ეხლა ან რაღაც ყრილობა მოვიწვიოთ და ა.შ. ჩვენ შევუთვალეთ, რო ეგ ყრილობა კარგად არ დამთავრდება თქვენთვის და არავისთვის, ვაფშე, პარტიისთვის-თქო და ეხლა ყრილობა და საჯაროდ გამოტანა...

**ლადო:** — რა სჭირთ, ბავშვები არიან?..

**გოკა:** — ჩვენ ვეუბნებით, რომ შიდა კონფლიქტის გარეთ გამოტანა არავის არ აწყობს, ეხლა, თუ ვინმეს აწყობს და, თუ ვინმე რამეს გადაწყვეტს, თვითონ იქნება პასუხისმგებელი შედეგებზე... მე იმედი მაქვს, მაინც დალაგდებიან...

**ლადო:** — და ვინ არის ამის ინიციატორი — ისა, სათვალეებიანი თუ თვითონ ესა?..

**გოკა:** — ნუ ეხლა, **მიშაა ამის, კაცო, ვითომ ეხლა თვითონ არ ჩანს. მარა, ადეიშვილი, ვაშალომიძე, იქ მურთაზა ზოდელავა, მაქაური პრ...ბი — საყვარელიძე... ვინც არიან რა... და ციხიდან ბაჩო და რაღაცა... ყველა ერთად, რო ბოკერია, მე, გიგი, ისა, ჩვენ სასტავს, ასე ვთქვათ, გვებრძვიან და უნდათ ჩაჩოჩება** და ეხლა... ჩვენ ვეუბნებით, რო შედეგი თუ გინდათ არჩევნებზე, აგერა ვართ და, თუ არადა, შეიტენეთ ტრ...ში და ვნახოთ, რასაც იზამთ-თქო, თქვენი დედაც მო...ნ-თქო.

**ლადო:** — არა, რაღაცა ის არის, ყ...ბაა. ნიპრავილნა.

**გოკა:** — ყ...ბაა, იმის მაგივრად ბიძინაზე ფიქრობდეს, ჩვენზე ფიქრობს ტიპი და... ჯერ ეს ერთი — ოდესაზე ფიქრობდეს უნდა, წესით, მერე — ბიძინაზე და ბოლოს — ჩვენზე და, პირველ რიგში, ჩვენზე ფიქრობს და მერე — ყველაფერ დანარჩენზე და... ეჭვიანობს რა.

**ლადო:** — ჰოდა, რას ეჭვიანობს, მაგის კამანდა ხართ, მაგის...

**გოკა:** — ნუ ეჭვიანობს, რო ისე დავლაგდებით, რო ეგ აღარ დაგვჭირდება. **ეჭვიანობს, რა ვიცი, გიჟია რა.**

**ლადო:** — ნუ, ეგ აღარ დაგჭირდებათ, ეგ რო აბსურდია, ხო იცის თვითონაც. ეგ სულ დაგჭირდებათ.

**გოკა:** — არ იცის, ეტყობა, არ იცის. რას იზამ ეხლა, იმის ტვინში ხომ ვერ შეცვლი რაღაცას.

**ლადო:** — არა, ესენი აგიჟებენ...

**გოკა:** — **აბა, რათ უნდა უნდოდეს ბაჩოს და ადეიშვილის დალაგებული პარტია?! არ გამოჩნდება, რო ბაჩო და ადეიშვილი ალაგებენ თუ რა? და ხალხი აღფრთოვანებით შეეგებება ამ ორი დიდი მოღვაწის გაბლატავებას ისევ, თუ რა იქნება ეხლა? იმის მაგივრად, ყველანაირად მალავდეს და აჩოჩებდეს თავის ყოფილ პაზორნი ძალოვნებს, ისევ იმათ ეყრდნობა და მარტო იმათი იმედი აქვს** და ნუ, იყოს ეხლა, რა ვუყოთ ეხლა ჩვენ.

**ლადო:** — ჰოდა, ნუ აი, რატო ჭირს ესე... ჭკვიანი კაცია, რატო ჭირს ესე?

**გოკა: — გიჟია! ხელისუფლების გიჟია!**

**ლადო:** — გასაგებია, ხო არ კარგავს ამ ხელისუფლებას, ვერ გავიგე... ჯანმრთელ ძალას დაეყრდნოს.

**გოკა:** — მონები უნდა, ლადო. არ უნდა ადამიანები, რომლებიც ჯანმრთელები არიან და ჯანმრთელად ელაპარაკებიან და რაღაცაზე წინააღმდეგობას უწევენ და რაღაცაზე არას ეუბნებიან. **არ უნდა, მონები უნდა, ჩვენ მონები ვერ გავხდებით და, ვინც ყავს მონები, იმათ ეყრდნობა რა, მონურ პონტში.**

**ლადო:** — არ ვიცი, რა. ყ...ბაა.

**გოკა: — სამ კვადრატულ მეტრში მჯდომ გიგის ებრძვის იქიდან და ეხლა, რა ვიცი... მაგდენი ნამუსიც არა აქ, რო გისთან ბრძოლა არ იკადროს. რეკავს ხალხთან და ეუბნება, რომ ეგ უგულავას ხალხია და უგულავას ხალხია...** კაროჩე, რა, გიჟია, პროსტა, რა.

**ლადო:** — ამის ჩემება თუ არის, ეს კაი ხანი არ დალაგდება მაშინ.

**გოკა:** — დალაგდება, თუ მიხვდება, რო აზრი არ აქვს, დალაგდება.

**ლადო:** — ესე თავისით ვერ მიხვდება, იქნება ვილაცა — ან გიგა და შენ ჩამოხვიდეთ, დაელაპარაკოთ, დააწყნაროთ, დაამშვიდოთ, რაღაც ეგეთი იქნება ქნათ, გოკა...

**გოკა:** — ეგრეც ვიზამთ, ალბათ, მაგრამ შენ არ იბაზრო მანდ ქართველებში არაფერი...

**ლადო:** — არა, ბიჭო, რა უნდა ვიბაზრო, შენ ლადაობ, შე ჩემა?!

**გოკა:** — ბევრი ენის მიმტან-მომტანი ყოფილა.

**ლადო:** — არა, ბიჭო, რა უნდა ვიბაზრო, ამათთან რამის თქმა როგორ შეიძლება. ვაბშე, შე ჩემა, რას მელაპარაკები, მაგის თქმაც არ გჭირდება.

**გოკა:** — ჰო, ნუ ამას რაღაცა პატარა ჯგუფი ყავს — მალადნიაკური, ამ ვაშაძეს, მარა ძირითადად, გამო...ლი ბავშვები არიან.

**ლადო:** — ჰო, ნუ კამსამოლი.

**გოკა:** — ჰო, კამსამოლია რა, **თვითონაც როგორი კამსამოლიც არის, ეგეთი სასტავი ყავს.**

**ლადო:** — თვითონ კატასტროფაა, ბ...შვილი ვიყო...

**გოკა:** — ჰო, **ჭიათურელი ნაგლი კომკავშირელია, მეტი არაფერი არ არის. ღირებულებებისა და პრინციპების გარეშეა, ვაბშე, ტიპი.**

**ლადო:** — კარიერისტი, კაროჩე, რა... რა ვი, მე თუ დამიჯერებთ, ჯობია, რომ შენ და გიგამ, დაჟე, ვასილიჩმაც თუ გარისკა და წამოვიდა, კარგი იქნება. თქვენ სამი რომ დაუჯდეთ და დაელაპარაკოთ...

**გოკა:** — ვასილიჩი ვერ ჩამოვა, მაგრამ სკარეე ვსევო, გიგა ჩამოვა.

**ლადო:** — შენ არ გინდა, ხო?

**გოკა:** — ბიჭო, რა ვიცი, მე, ვაბშე, უფულოდ ვარ, ეგ მაქედან არაფერს მიზავს და, რაღაც თუ მოვახერხეთ აქედან, შეიძლება.

**ლადო:** — ჰო, ნუ, მოკლედ, შეხედე შენც და, თუ მაგას გააძრობთ, რასაც მე გეუბნები, რომ ამას დაელაპარაკოთ, ძალიან კარგი იქნება, დაჟე ჩხუბით და იმით რო დაიწყოთ, მარა, ბოლო-ბოლო, დალაგდეთ, ღირს.

**გოკა:** — შეიძლება, ვნახოთ...

**ლადო: — ბიჭო, ესენი აგიჟებენ, ბ...შვილი ვიყო, მე ხო ვიცი, აქ რა ვითარებაა. ესენი აგიჟებენ ამას, ეს სასტავი — ვაშაძე და ეს სასტავი, ეს დედამ...ლი, ეს სათვალეებიანი გლავნი პრ...ი.**

**გოკა:** — კი, ეგ არის გლავნი.

**ლადო:** — ჰო, ეგ არი გლავნი, ეგ თესლი ეგა!

გაბაშვილების ამ სატელეფონო საუბარში გამოთქმულ ეპითეტებში ნათლად ჩანს, როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ „ნაცმოძრაობის“ ლიდერის, ქართველი ხალხის სისხლში ხელებგათხვრილი ნაპრეზიდენტალი მიხეილ სააკაშვილისადმი, მისი მარჯვენა ხელის, იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილისადმი („დედამო...ლი, „სათვალიანი გლავნი პრ...ი“) და „ნაცმოძრაობის“ იმ წარმომადგენლებისადმი, რომლებიც სააკაშვილს უკრაინის „აღმშენებლობაში“ ეხმარებიან.

არ დაგავიწყდეთ, რომ, **აი, ამ ლექსიკის მქონე გოკა გაბაშვილი — ორი მოწვევის პარლამენტის წევრი — საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი იყო 2004-2008 წლებში.** სოროსის ფონდში გამოზრდილ გოკას სჩვევია პარტიიდან პარტიაში გადახტომა (ადრე პარტია „გაერთიანებული დემოკრატების“ მდივანი იყო) და ახლაც, როდესაც მას „ნაცმოძრაობის „პრ...ბი“ უპირისპირდებიან, თავის გზას მოძებნის...

ასე რომ, გოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების.

სხვათა შორის, გოკა გაბაშვილის მამა **კოტე გაბაშვილი** 1987 წელს ე.წ. გერმანული სკოლის დირექტორი იყო და გააფთრებით ებრძოდა „ცრურეფორმატორ“ შალვა ამონაშვილს. მოგვიანებით ჯერ განათლების მინისტრის მოადგილის პოსტი ჩაიგდო ხელში, შემდეგ — მინისტრის. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ერთ-ერთი მძვინვარე ანტიზვიადისტი გახდა და ეს პუტჩისტმა ხელისუფლებამ დაუფასა კიდეც. სამხედრო საბჭომ სწორედ ის დანიშნა განათლების მინისტრად, ედუარდ შევარდნაძემ კი „მოქალაქეთა კავშირის“ ერთ-ერთ სახეს ჯერ თბილისის მერობა უბოძა, შემდეგ გერმანიაში ელჩად გაამწესა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი კოტე გაბაშვილმა სააკაშვილის ნავში ისკუპა და ჯერ პარლამენტარის მანდატი მოიპოვა „ნაცმოძრაობის“ სიით, 2008 წელს კი — იტალიაში საქართველოს ელჩობა.

სწორედ მამა-შვილ გაბაშვილზეა ნათქვამი, დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო.

რაც შეეხება **ლადო გაბაშვილს**, მან უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად **ალექსანდრე კვიტაშვილის** დანიშვნისთანავე დაიწყო ფარმაცევტული ბიზნესი... უკრაინაში. სწორედ უკრაინის მთავრობაში სააკაშვილისა და ალექსანდრე კვიტაშვილის გამოჩენის შემდეგ გაიღვიძა ლადო გაბაშვილში ფარმაცევტულმა გენიამ, მაგრამ, როგორც ჩანს, გაბაშვილებს მიშა სააკაშვილი არ აძლევთ მშვიდად ყოფნის საშუალებას...

**ნიკა კორინთელი**




**P.S.** „უცხო თავისიანებში, უცხო უცხოებში“ — ეს სათაური აქვს მასალას, რომელიც უკრაინულმა ვებგვერდმა „უკრაინსკაია რევოლუციამ“ გამოაქვეყნა. მასალაში აღნიშნულია, რომ ოდესელებს დაუგროვდათ გაღიზიანება სამამულო პოლიტიკაზე უცხო ადამიანების ფართო გავლენის გამო, უცხო გუბერნატორისა და მისი კორუფცირებული ზონდერბრიგადის წევრების დაბალი მორალური თვისებების წინააღმდეგ, რომელთათვისაც სააკაშვილი უცხოა...

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მართალია, ზაქარეიშვილი ახლა თავს იმართლებს, მხედველობაში სულ სხვა რამ მქონდა და ვგულისხმობდი, აფხაზეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ ყოფილა საქართველოს შემადგენლობაშიო, მაგრამ, ასეც რომ იყოს, სახელმწიფო მინისტრი, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. რატომ უნდა თქვა ასეთი სისულელე და რატომ უნდა მისცე საფუძველი ავის მოსურნეს, არ მესმის“**

# «ზაქარეიშვილი ჩამოყალიბებული ბრიყვია, მაგრამ, ვინც დანიშნა თანამდებობაზე, ისიც პასუხისმგებელია!»



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებამ, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არასდროს ყოფილა, ქართული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. რა საფრთხის შემცველია სახელმწიფო მინისტრის ამგვარი გამონათქვამი? **პაატა ზაქარეიშვილის** განცხადების შეფასება პოლიტოლოგ ჯუმბერ კირვალიძესა და „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელ **ადა მარშანიას** ვთხოვეთ.



## «სააკაშვილი და რესპუბლიკელები არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მათ ერთი იდეოლოგია აქვთ!»

**ჯუმბერ კირვალიძე:**

— პაატა ზაქარეიშვილს სერიოზულად არასდროს აღვიქვამდი. მას ექსპერტადაც არ მივიჩნევ, არათუ მინისტრად. **ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ, როდესაც ზაქარეიშვილი ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნა. როგორ შეიძლება, მინისტრი იყოს ადამიანი, რომელიც ასე აზროვნებს და მეტყველების კულტურა არ აქვს?!** რამდენიმეჯერ უნდა მოუსმინო, რომ გაიგო, რისი თქმა უნდა. პიროვნულად არ შეურაცხვყოფ, მაგრამ მიუღებელია, ასეთ პიროვნებას საჯარო სივრცე დაუთმო. **მართალია, ზაქარეიშვილი ახლა თავს იმართლებს, მხედველობაში სულ სხვა რამ მქონდა და ვგულისხმობდი, აფხაზეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ ყოფილა საქართველოს შემადგენლობაშიო, მაგრამ, ასეც რომ იყოს, სახელმწიფო მინისტრი, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. რატომ უნდა თქვა ასეთი სისულელე და რატომ უნდა მისცე საფუძველი ავის მოსურნეს, არ მესმის...**

ამას მხოლოდ ქვეყნის მტერი ან ბრიყვი თუ იტყვის. **ზაქარეიშვილი ჩამოყალიბებული ბრიყვია, მაგრამ, ვინც დანიშნა თანამდებობაზე, ისიც პასუხისმგებელია.** ზაქარეიშვილი სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდეს თანამდებობიდან. მართალია, ზოგიერთი ახლა თავს იქებს, აფხაზეთის ომის დროს ასე და ისე ვიქცეოდიო, მაგრამ, კარგად მახსოვს, ვინ რას აკეთებდა. მეც მყავს ბევრი ქართველი გადარჩენილი, რადგან აფხაზებს ახლოს ვიცნობდი და ერთად ვსწავლობდით, მაგრამ ამით არასდროს მიტრაბახია. ეს არ არის სალაპარაკო. სხვათა შორის, მე აფხაზეთში საომრად არ ჩავსულვარ, რადგან, როგორც ქართველს ვერ ვესროდი, ვერ ვესროდი ვერც აფხაზს. ასე რომ, თუ რამ კარგი გაუკეთებიათ, ღმერთმა არ დაუკარგოთ, მაგრამ თავის ქება საჭირო არ არის.

რესპუბლიკელებს საერთოდ ახასიათებთ მსგავსი განცხადებები. მაგალითად, **დღეს თინა ხიდაშელია ქვეყნის პრემიერმინისტრი თუ ირაკლი ღარიბაშვილი, ვერ გაიგებ. ქვეყანას ორი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავს, რადგან ხიდაშელს კვირიკაშვილის უფლება-მოვალეობებიც აქვს შეთავსებული, ისეთ განცხადებებს აკეთებს და ისე იჭრება მის კომპეტენციაში.** ამიტომ, ვინც ეს რესპუბლიკელები „გააჯეჯილა“, იმასაც უნდა მოეთხოვოს პასუხი, ყოფილი პრემიერი იქნება ეს თუ ახლანდელი.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ, რა მიზნით აკეთებენ რესპუბლიკელები ასეთ განცხადებებს?**

— ეს სტრატეგია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა და გაყინული კონფლიქტების მიმართ არის შემუშავებული და ასეთი ვერსიაც განიხილებოდა: **თუ ქართველებს სურთ ნატო და ევროინტეგრაცია, რაც ტერიტორიული პრობლემების გამო შეუძლებელია, საქართველომ უნდა დათმოს ეს ტერიტორიები.**

**— ანუ ყველაფერი იქით მიდის, რომ ამ ტერიტორიებზე უარი ვთქვათ?**

— არ არის გამორიცხული. სხვათა შორის, ისინი ამას გარკვეულ წრეებსაც სთავაზობდნენ, რომ ჩვენ ვართ ის ხალხი, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებსო. იმავეს აკეთებდა ჟვანია-სააკაშვილის ჯგუფი, როდესაც დასავლეთთან კონტაქტი დაამყარეს და ამით მოაწონეს თავი შევარდნაძეს. ჩვენ მაშინვე ვამბობდით, რომ ეს ადამიანები საქართველოს დაღუპავდნენ და მიიყვანეს კიდეც ქვეყანა უფსკრულის პირას. რა მივიღეთ ცალმხრივი პოლიტიკით, როდესაც შეგვეძლო გონივრული, მრავალვექტორიანი პოლიტიკის წარმოებით რუსეთთან ომამდე მაინც არ მივსულიყავით და აფხაზეთი და სამაჩაბლო დამოუკიდებელ რეგიონებად არ ეღიარებინა? მაგრამ ასეთი ცალმხრივი პოლიტიკური სტრატეგია რესპუბლიკელებისთვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო.

მე ასეთი განცხადებებიც მახსოვს: ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთი საერთოდ არ არსებობს, ვითომ ოკეანეა მის ადგილზე და არ მივაქციოთ ყურადღებაო. არადა, როგორ შეიძლება, ყურადღება არ მიაქციო ამხელა სახელმწიფოს, რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია?! **სააკაშვილი და რესპუბლიკელები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ერთი იდეოლოგია აქვთ. ასეთი განცხადებები კი ძალიან საშიშია.**

თუნდაც ნატოს საკითხი ავიღოთ. **ნატომ მოწვევა გაუგზავნა მონტენეგროს, რომელსაც 2 ათასი სამხედრო ჰყავს, 25 წელია, ერთი პრემიერი მართავს და არანაირი დემოკრატია იქ არ არის. ამ მხრივ ჩვენ გაცილებით წინ ვართ, მაგრამ მონტენეგროს არ აქვს საზღვარი რუსეთთან.**

ზაქარეიშვილი და მისნაირები ისე იოლად საუბრობენ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, თითქოს ეს მათი ქვეყანა არ იყოს.

**— რუსეთის გენერალური შტაბის ბრიფინგზე წარმოდგენილ რუკაზე აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს შემადგენლობაშია. ეს იყო, უბრალოდ, შეცდომა, რაც ნაკლებ სავარაუდოა, თუ გარკვეული გზავნილი საქართველოსთვის?**

— გენშტაბი ასეთ შეცდომებს არ უშვებს. გაგახსენებთ სოჭის ოლიმპიადას, სადაც საქართველოს რუკაზე ვერ გაარჩევდი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საზღვრებს. ამით თითქოს არც სეპარატისტები გაანაწყენეს და არც — ქართველები. არც ერთი ფაქტი შემთხვევითი არ არის.

**— ამით რუსეთს რისი თქმა სურს?**

— არ ვიცი, გენშტაბს რისი თქმა სურდა, მაგრამ მე **მახსოვს რუსეთის პრეზიდენტის — ვლადიმერ პუტინის განცხადება: ვიცით, ამ ორი რეგიონის დაკარგვას ქართველები არასდროს შეურიგდებიან, მაგრამ ჩვენც მძიმე მდგომარეობაში ვართ, უკან წაღება არ შეგვიძლია ამ აღიარების, ამიტომ ერთადერთი გამოსავალია, დაილაპარაკონ აფხაზებმა, ოსებმა და ქართველებმა და ჩვენ მზად ვართ, შუამავლის როლი ვიკისროთო.** საუბარია საჭირო. კარგია, რომ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა აღვადგინეთ, ეს ივანიშვილის დამსახურებაა, მაგრამ კიტრსა და პომიდორზე არ უნდა გავჩერდეთ. როდემდე უნდა ისაუბრონ კარასინმა და აბაშიძემ? უფრო სერიოზული საკითხებია გადასაწყვეტი. **პირველი პირების შეხვედრაა საჭირო.**

**— საქართველოს ხელისუფლება რატომ არ დგამს ამ მიმართულებით გარკვეულ ნაბიჯებს?**

— იმიტომ, რომ ეშინია. თანაც ამ ყველაფერს ცოდნა და გამბედაობა სჭირდება. ქვეყანაში არ არსებობს სტრატეგიული გეგმა, როგორ უნდა გაერთიანდეს ქვეყანა.

**— რისი ეშინია ხელისუფლებას?**

— ხელისუფლებას ეშინია, არ დაბრალდეს, რომ რუსეთისკენ მიჰყავს ქვეყანა და კურსი შეიცვალა. ელემენტარულია: დასავლეთი გვეუბნება, დაალაგეთ რუსეთთან ურთიერთობაო. ხომ უნდა მიხვდე, როგორ მოიქცე. ხომ უნდა მიხვდე, რომ კომპრომისის გარეშე ეს საკითხი არ გადაწყდება?! რუსეთთან ერთად საერთაშორისო კონფერენცია მოვიწვიოთ ან სამუშაო ჯგუფები შევქმნათ. **ისეთი არაპროფესიონალები და უვიცები არიან ამ ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, რომ ხშირად მოჰყავთ გერმანიის მაგალითი. სტრატეგიული მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ, აი, გერმანია ხომ გაერთიანდა, ჩვენც ნუ ვიჩქარებთო. ისიც არ იციან, რომ გერმანიაში ეთნიკური სეპარატიზმი არ ყოფილა, იქ სულ სხვა ვითარება იყო, შედარებაც არ შეიძლება.** ჩვენ შემთხვევაში დრო, ყოველი დღე, ჩვენ საწინააღმდეგოდ მუშაობს. აფხაზეთში თაობები იზრდებიან, რომლებიც ქართველებს საერთოდ არ იცნობენ.



## «ზაქარეიშვილი ისეთი განცხადებებით გამოდის, რომლებიც რადიკალურად განწყობილ აფხაზებს უფრო მოეწონებოდა»

**ადა მარშანია:**

— პაატა ზაქარეიშვილი ხშირად აკეთებს ისეთ განცხადებას, რომელიც გაუგებარია ჩვენი საზოგადოებისთვის და ეს მისი ბოლო განცხადებაც მავნე და წინდაუხედავია. მეტიც, სიცრუეა. უკვე სერიოზულად განსახილველია მისი განცხადებები, ვინაიდან, ის, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი კი არა, მინისტრია. ასეთი ქმედება დასასჯელია, მაგრამ ვინ დასჯის ზაქარეიშვილს?

ზაქარეიშვილის განცხადებები დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე უნდა განიხილონ და მან კონკრეტული და ვრცელი განმარტება უნდა გააკეთოს საზოგადოების წინაშე.

**— მსგავსი განცხადებები რესპუბლიკური პარტიის სხვა წევრებისგანაც არაერთხელ მოგვისმენია. მაგალითად, სოჭში 2011 წელს ქართულ-აფხაზურ კონფერენციაზე თინა ხიდაშელმაც განაცხადა, რომ აფხაზეთს, ფაქტობრივად, საქართველოს ნაწილად არ მიიჩნევდა. მოგეხსენებათ, ნატოში გაწევრება ტერიტორიული პრობლემების მქონე ქვეყნისთვის პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ხომ არ არის ამგვარი განცხადებების მიზანი ის, რომ უარი ვთქვათ დაკარგულ ტერიტორიებზე, რათა ნატოში მიღების შანსი გაგვიჩნდეს?**

— არ ვიცი, რა არის ამ განცხადებების მიზანი, მაგრამ ნატოში გაწევრების შანსი ჩემთვის არ არის პრიორიტეტული, პრიორიტეტული დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ქვეყნის გამთლიანებაა. პაატა ზაქარეიშვილი ობიექტურ ადამიანს თამაშობს, მაგრამ სინამდვილეში ეს არ არის ის ობიექტურობა, რომელიც დღეს აფხაზეთის საკითხს მოერგება. ასე ვიტყოდი, **ზაქარეიშვილი ისეთი განცხადებებით გამოდის, რომლებიც რადიკალურად განწყობილ აფხაზებს უფრო მოეწონებოდათ და, სხვათა შორის, ის ასე პირველად არ იქცევა.** მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ჩვენი ქვეყნისთვის უპირველესია, საქართველოში პოლიტიკურმა პარტიებმა ძალიან ცუდად იციან ან საერთოდ არ იციან აფხაზეთის საკითხი. ჩვენთან როგორც წესი, ისტერიკა და ემოციაა წინა პლანზე და მსჯელობა და ფიქრი მერე მოდის.

**— საქართველოსა და აფხაზეთს შორის ამჟამად ურთიერთობა გაყინულია და, რაც დრო გადის, ვითარება კიდევ უფრო რთულდება. თქვენ კარგად იცნობთ აფხაზების ბუნებას, როგორ ფიქრობთ, რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ ამ ეტაპზე?**

— დღეს ამ მიმართულებით, შეიძლება ითქვას, არაფერი კეთდება. მთავარი ახლა ნდობის აღდგენაა. პირველ რიგში, ძალიან ფრთხილი და გაწონასწორებული განცხადებებია საჭირო. ზოგიერთ ქვეყანაში ინსტიტუტები მუშაობენ, როგორი განცხადება უნდა გააკეთოს პირველმა პირმა და ჩვენს ხელისუფლებას, ნეტა, მრჩევლების პატარა ჯგუფი მაინც თუ ჰყავს?! სიფრთხილეა საჭირო და, პირველ რიგში, პრიორიტეტად გამოვყოფდი ახალგაზრდების შეხვედრას. ის ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები, რომლებიც ომის შემდეგ დაიბადნენ, საერთოდ არ იცნობენ ერთმანეთს, რაც ძალიან ცუდია, რადგან არასწორი და გამრუდებული თვალსაზრისი აქვთ შექმნილ სიტუაციაზე, იმაზე, რა მოხდა სინამდვილეში.

**მოამზადა შორენა ციქარაშვილმა**

# ნატო პრობლემურ ქვეყანას არ მიიღებს თავის რიგებში, ქვეყანას, რომელსაც, ელემენტარულად, საზღვრებიც კი არ აქვს.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ვასილ ჭიჭინაძე: ზაქარეიშვილი მოღალატეა. მთელი მთავრობა მოღალატეა, მათი ხედვაა მოღალატეობრივი

**წლების წინათ, როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლების სათავეში მოვიდა, პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ თქვა: „ჩვენთან ტერიტორიული მთლიანობის პრობლემით დაკავებული იყვნენ ულიმლამო, უსუსური ადამიანები, რომლებსაც არავინ იცნობდა არც სოხუმში, არც ცხინვალში და არც მოსკოვში. არც ერთ თავმოყვარე სახელმწიფო მოღვაწეს აზრადაც არ მოუვიდოდა მათთან სერიოზული მოლაპარაკების გამართვა. ამ მხრივ ვითარება დიდად არ შეცვლილა. ჩვენი პოტენციური პარტნიორებისთვის დღესაც უცნობია, ვინ არის დაკავებული საქართველოში ამ საკითხებით. ასახელებენ რეინტეგრაციის საქმეებში მინისტრის გვარს, მაგრამ ვინ დაელაპარაკება ასეთი დასახელების მქონე უწყების ხელმძღვანელს? და, საერთოდ, ის ადამიანები მოსკოვსა და სოხუმში, რომლებზეც რეალურად არის საქმე დამოკიდებული, მინისტრს არ დაელაპარაკებიან“.**



**„ულიმლამო და „უსუსურმა ადამიანებმა“ თავიანთი სახეც და საქართველოს მთავრობის რეალური თვალსაზრისიც ნათლად დაგვანახვეს.**

**რესპუბლიკელებმა დღეს, უკვე ხელისუფლებაში ყოფნისას, გაამჟღავნეს დიდი ხნის ნაფიქრ-ნააზრევი.**

**რესპუბლიკელმა თინა ხიდაშელმა 2001 წელს სოჭში, ქართულ-აფხაზურ კონფერენციაზე — „სტაბილურობის პაქტი კავკასიაში და სამშვიდობო პროცესის სტრატეგია“ — სოხუმის წარმომადგენელ ბათალ კობახიასთან თქვა: „მე ნამდვილად ვაპირებ საქართველოში ცხოვრებას და არსად წასვლას არ ვაპირებ, მაგრამ მინდა, ვიბრძოლო იმისთვის, რომ ჩემმა შვილებმა იცხოვრონ ისეთ საქართველოში, როგორშიც მე მინდა. ვიმეორებ, აფხაზეთით თუ აფხაზეთის გარეშე — ეს ჩემთვის ყველაზე მცირე პრობლემაა. და მჯერა, მაშინ კონფლიქტი გადაწყდება. არ ვიცი, როგორ გადაწყდება, ვიცხოვრებთ სხვადასხვა ქვეყანაში თუ არა, მაგრამ აფხაზები, ალბათ, თავად გადაწყვეტენ, როგორ და ვისთან ურჩევნიათ ყოფნა — რუსული ორიენტაციით, ქართული თუ რამე სხვა ორიენტაციით...“**

**სოხუმის წარმომადგენელმა ბათალ კობახიამ ხიდაშელს უთხრა: „ჩვენ სულ ვსაუბრობთ საქართველოზე და არასოდეს აფხაზეთზე, იმიტომ, რომ, როდესაც აფხაზეთზე საუბრობთ, მას საქართველოს ნაწილად მიიჩნევთ, ამიტომაც ვსაუბრობთ მხოლოდ საქართველოზე“. ამაზე ხიდაშელმა უპასუხა: „ბათალ, არ ვგულისხმობ, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია“.**

რეინტეგრაციის საკითხთა სახელმწიფო მინისტრმა, რესპუბლიკელმა **პაატა ზაქარეიშვილმა** 2013 წლის 29 ნოემბერს გამართული მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა: **„ასოცირების ხელშეკრულება უკვე პარაფირებულია. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მაგრამ ესაა პირველი ნაბიჯი სხვა მრავალთა შორის და ნუ გვექნება ილუზია, რომ ამით რაღაც დასრულდა, პირიქით, რაღაც ახლა იწყება. ესაა პირველი ნაბიჯი აფხაზეთისა და ოსეთისთვის. მათ მართლაც მოუწევთ დაჯერება, რომ საქართველო უბრალოდ კი არ ლაპარაკობდა ევროკავშირზე და ამით მათ თვალში ნაცარს აყრიდა, არამედ ნამდვილად აგრძელებს მოძრაობას ევროპისკენ. სომხეთისა და უკრაინის მიმართულებით შექმნილი დაძაბულობის ფონზე ეს არის სერიოზული შეტყობინება, რომ ჩვენ არ ვხუმრობთ და მართლა მივდივართ ევროპისკენ. კეთილი ინებეთ აფხაზებმა და ოსებმა, დაფიქრდით: რუსეთში რჩებით თუ მოდიხართ საქართველოსთან ერთად ევროპაში“.**

ზუსტად 2 წლის შემდეგ, 2015 წლის 29 ნოემბერს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა:

> **„ჩვენ გვაქვს ერთადერთი გამოცდილება აფხაზეთთან ერთად სახელმწიფოს მოწყობისა — ეს არის საბჭოთა კავშირი. რა იყო დავით აღმაშენებლის დროს, მე არ ვიცი და სხვა გამოცდილება ჩვენ არ გვაქვს. აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა.“**

**გაბედავს თუ არა „ქართული ოცნება“, ნატოს შესთავაზოს, რომ საქართველო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებში მიიღოს? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე გვესაუბრება.**

**«ოცნების» წევრები იტყვიან, რომ აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე შევიდნენ ნატოში და ამას ხალხს ისე აუხსნიან, რომ დააჯერებენ კიდეც. ეტყვიან, ახლა ნატოში შევალთ და შემდეგ, რამდენიმე წელიწადში, ნატო დაგვიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებსო»**

**— რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა წევრმა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა თავისი განცხადებით კიდევ ერთხელ გაგვაოცა, უფრო ზუსტად, მოსახლეობა გააბრაზა. მან თქვა, რომ არ ახსოვს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის პერიოდი...**

— ყველა ქვეყნის მმართველი საკუთარი ქვეყნის ინტერესებს იცავს, ამ ქვეყანაში, ხელისუფლებისა რა გითხრათ, მაგრამ **რესპუბლიკური პარტია კი, საკუთარ, ვიწრო პარტიულ ინტერესს იცავს. მათ სხვა გზა არ აქვთ, ამერიკელების დავალება უპიროზოდ უნდა შეასრულონ.**

**— გასაგებია, ამერიკის დაკვეთას ასრულებს ყველა, ვინც ხელისუფლებაშია, მაგრამ, როდესაც ასეთ განცხადებას აკეთებ, დაკარგული ტერიტორია არაფრად მიგაჩნია, ხალხის აზრი ხომ უნდა გაითვალისწინო? ბოლოს და ბოლოს, არჩევნები ხომ კიდევ მოვა?**

— რესპუბლიკელებს ხალხის აზრი ნამდვილად არ აინტერესებთ. მათთვის მთავარია, ამერიკისგან მიიღონ ფული და მხარდაჭერა, ამდენი წელი ხომ ასე იარეს. რესპუბლიკელებს უფლება არ აქვთ, სხვა კურსი აიღონ, მათ სხვა გზა აღარ აქვთ...

**— პრემიერ ღარიბაშვილზე ამბობენ, რომ კარგი ქართველი, ჯიგარი კაცია. კარგ ქართველს ამ განცხადებისთვის პაატა ზაქარეიშვილი არ უნდა მოეხსნა?**

— ბიძინამ ამერიკელების დაკვეთა შეასრულა და რესპუბლიკელები მიიყვანა კოალიციაში ზუსტად ისე, როგორც ეს თინა ხიდაშელის დანიშვნისას მოხდა. როგორ ფიქრობთ, ამის შედეგ ღარიბაშვილს, რომც სძულდეს ისინი, ხმას ამოიღებს?

როგორც ჩანს, **ამერიკელები ფსონს რესპუბლიკელებზე დებენ და ამას აღარაფერი ეშველება. ხომ ხედავთ, ყველა ძირითადი პორტფელი მათ ხელშია.** ისინი ხელისუფლებაში ბევრნი არიან.

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ყველაზე ძლიერი მოთამაშე რესპუბლიკელები აღმოჩნდნენ, შესაბამისად, ფსონიც მათზე დაიდო.

**— შესაძლებელია, ხელისუფლებიდან ვინმემ გაბედოს და თქვას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შევიდეთ ნატოშიო?**

— კი, უფრო მეტიც — ეჭვი არ მეპარება. იმ შემთხვევაში, თუ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ოცნება“ ისევ ასეთი უმრავლესობით მოვა, დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება. **„ოცნების“ წევრები იტყვიან, რომ აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე შევიდნენ ნატოში და ამას ხალხს ისე აუხსნიან, რომ დააჯერებენ კიდეც. ეტყვიან, ახლა ნატოში შევალთ და შემდეგ, რამდენიმე წელიწადში, ნატო დაგვიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებსო.**

**— ხალხი ამას დაიჯერებს?**

— ხალხს ბევრი რამის აღარ სჯერა და აღარც ნატო უნდა, მაგრამ ვინ რას ეკითხება? ჩაატარონ რეფერენდუმი და სიმართლეს გაიგებენ, ოღონდ ეს სიმართლე არავის სჭირდება.

**— პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა, რომ აფხაზეთის საკითხებში საჭიროა ისეთი ადამიანების ჩართვა, რომლებსაც ყველა მხარესთან დალაპარაკება შეუძლიათ. „ულიმლამო, უსუსურ ადამიანებს“ კი არავინ ელაპარაკება. როგორ ფიქრობთ, არსებობს კი ასეთი ადამიანი ხელისუფლებაში? ფაქტია, „შერიგების“ ახლანდელი მინისტრი ამას ვერ გააკეთებს.**

— ისეთი ადამიანი, როგორზეც ალექსანდრე ჭაჭია ლაპარკობს, ხელისუფლებაში ნამდვილად არ მეგულება. არადა, სასურველი იყო, მოეძებნათ ადამიანი, რომელიც არ იქნებოდა ნაომარი და მისი ნდობა ექნებოდათ აფხაზებს, აგრეთვე, ნდობა უნდა ჰქონდეს რუსეთსაც. ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რუსეთის გარეშე ხომ ვერ მოხდება?

რამდენიმე დღის წინათ რუსეთში გენშტაბმა წარმოადგენა რუკა, რომელზეც ნათლად ჩანდა, რომ საქართველოსგან აფხაზეთი და ოსეთი გამოყოფილი არ იყო. ეს ფაქტი რაღაცას ნიშნავს. რუსებს აუცილებლად უნდა დაველაპარაკოთ ისევე, როგორც აფხაზებსა და ოსებს. ქართველებს გვყავს ადამიანები, რომლებსაც ამის გაკეთება შეუძლიათ. ასეთები აქაც არიან და რუსეთშიც.

**თუ ტერიტორიების დაბრუნება ნამდვილად გვსურს, ნატო, საერთოდ, უნდა დავივიწყოთ. იქ არ გვიღებენ, არაფერში ვჭირდებით. თავმოყვარეობა თუ გაქვს და ერი გქვია, რაღაცამ ხომ უნდა შეგაფუცხუნოს, ხომ უნდა გაგიღვიძოს უხერხულობის განცდა?**

რუსეთი ძლიერია, ფეხზე მყარად დგას, აუცილებელია მათთან ურთიერთობის, თანაც მჭიდრო ურთიერთობის, დამყარება, მათ შორის, რუსეთის უშიშროების სამსახურებთან, რადგან ჩვენი ქვეყანა დიდი საფრთხის წინაშე დგას. სწორედ ამიტომ აუცილებელია, საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთის უშიშროებასთან. ბოლოს და ბოლოს, მთელი მსოფლიო დახმარებას რუსეთის ფედერაციას სთხოვს.

**— ნატომ ტაქტიანი და ლამაზი სიტყვებით კიდევ ერთხელ გვითხრა უარი. რამდენიმე წლის განმავლობაში ამბობდნენ, ნატო არ გაფართოვდებაო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფართოვდება — ახალ წევრად მონტენეგრო მიიწვია. საქართველოში არსებულმა პროდასავლურმა ძალებმა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც განაცხადეს, რომ ეს არაფერს ნიშნავს და ნატოს კარზე კაკუნი არ უნდა შევწყვიტოთ...**

— ტექსტი არაფრისმთქმელი იყო. რაც შეეხება იმას, რომ კარზე კაკუნი არ უნდა შევწყვიტოთ, ეს უთავმოყვარეო ადამიანის ნათქვამია.

**ნატო პრობლემურ ქვეყანას არ მიიღებს თავის რიგებში, ქვეყანას, რომელსაც, ელემენტარულად, საზღვრებიც კი არ აქვს.**

**— ქართველ პოლიტიოსებს თავმოყვარეობა რამ დააკარგვინა?**

— ფულმა. სხვა, უფრო ლოგიკური ახსნა, არ არსებობს, რადგან ნატო არასოდეს არაფერში გამოგვდგომია და, შესაბამისად, არც პოლიტიკოსებს აქვთ ახსნა, რატომ უნდა გავერთიანდეთ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

**— არის თუ არა დღევანდელი ხელისუფლება წინამორბედებზე უარესი? წინა ხელისუფლების წარმომადგენლებიდან არავის გაუბედავს დაკარგულ ტერიტორიებზე ასე აშკარად უარის თქმა, როგორც ამათ გაბედეს...**

— ჯობდა, ამჟამინდელ ხელისუფლებას არაფერი გაეკეთებინა. ისე, უბრალოდ, მოსულიყვნენ და ოთხი წლის შემდეგ წასულიყვნენ, ეს უკეთესი იქნებოდა. მათ გაფუჭება დაიწყეს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ვინმე გაბედავდა, ეთქვა, ოღონდ ნატოში შევიდეთ და ტერიტორიები ჯანდაბასო. რესპუბლიკელები ამაზე საჯაროდ საუბრობენ და ისინი ხელწამოსაკრავები არ არიან. **რატომ არ გვინდა რუსეთი? — იმიტომ, რომ ვთვლით, ტერიტორიები მათ წაგვართვეს. მაშ, რა განსხვავებაა ნატოსა და რუსეთს შორის, თუ ტერიტორიებს ასეც დავკარგავთ და ისეც?**

**— რა ჰქვია ზაქარეიშვილისნაირ ადამიანს?**

— ზაქარეიშვილი მოღალატეა და არა მხოლოდ ის, მთელი მთავრობა მოღალატეა, მათი ხედვაა მოღალატეობრივი.

არ შეიძლება, თურქეთი მეგობარი იყოს, რომელმაც რამდენიმე ათეული წლის წინათ მიწასთან გაგასწორა, ტერიტორიების უდიდესი ნაწილი თავისი მოსახლეობით წაგართვა. ზაქარეიშვილმა დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდზე თუ არაფერი იცის, თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია მაინც უნდა იცოდეს. ეს ყველაფერი არც ისე დიდი ხნის წინათ იყო, თანაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და პრემიერმინისტრი დღესაც ამბობენ, რომ აჭარა მათია. ეს მაინც ხომ უნდა იცოდეს, თუ დავით აღმაშენებელი არ იცის, ვინ იყო?!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ია მაკასარაშვილის დონის გონებრივად განუვითარებელი არსებისთვის თბილისის საკრებულოს დეპუტატობა მართლაც სამყაროს მბრძანებლობის ტოლფასია და არც არის გასაკვირი, მისი მენტალობის ადამიანი ასე გადარეული, თვალზე ლიბრგადაკრული და ჭკუაზე გადასული რომ იყოს იმით, რა მდგომარეობასაც მიაღწია ცხოვრებაში.**

# მორატრატე დედაკაცების თანამდებობრივი ნევრასთენია...

**ვიმედოვნებ, ეს მხოლოდ დამთხვევაა და რეალურად პოლიტიკაში მოსვლის მსურველ ქალთა უმრავლესობა მთლად ასეთი უწიგნური, უვიცი და თანამდებობრივი აგრესიით შეპყრობილი არ იქნება, როგორიც თბილისის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ია მაკასარაშვილია.**

დამთხვევაში კი იმას ვგულისხმობ, რომ სტატიის დაწერას ვაპირებდი თემაზე „მეტი ქალი პოლიტიკაში", როდესაც მოულოდნელად სოციალურ ქსელში საჯარო სამსახურებში „მოღვაწე" სუსტი სქესის ორიოდე წარმომადგენლის თავდასხმის ობიექტი აღმოვჩნდი.

თუმცა მე რა, მთლიანად ქართველი ხალხი, ქართველი საზოგადოებაა მათი თავდასხმის ობიექტი და სწორედ ამიტომაც მოვიხსენიებ მათ მორატრატე დედაკაცებად და არა ქალბატონებად, როგორც წესი და რიგია, და რასაც, ალბათ, შენიშნავდა კიდეც კულტურული მკითხველი.

რაღა დაგიმალოთ და, **სიტყვა „კულტურის" ხსენება სამგორელების „საოცნებო" დეპუტატ მაკასარაშვილთან ძალიან უადგილოდ მეჩვენება.**

**ცნობისათვის: ეს სწორედ ის „მაფიოზი" დეპუტატია, რომლის ფარული აუდიოჩანაწერიც ამას წინათ ინტერნეტში გავრცელდა და რომელიც გამგეობის თანამშრომლებს ემუქრებოდა სიტყვებით: „მოგივარდებით მანდ და დაგხსნით სამსახურიდან!".**

რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანებისთვის „დეპუტატის" სტატუსი ცხოვრების „უმაღლესი" მიღწევაა და მათ, როგორც ჩანს, მართლა ჰგონიათ, რომ ამ სტატუსის მქონეთ ყველაფრის უფლება აქვთ.

სხვა შემთხვევაში, ია მაკასარაშვილს ეცოდინებოდა, რომ მაჟორიტარს გამგეობაში „მივარდნისა" და მით უფრო ვინმეს სამსახურიდან მოხსნის არავითარი კანონიერი უფლება არ აქვს.

თუმცა, **„კანონიც" ისეთივე შეუსაბამო სიტყვაა ამ პერსონაზე საუბრისას, როგორც „კულტურა", ანუ, ასე ვთქვათ, „ვინ მიგდია" რაიონის გამგეობის ერთი ვიღაც „რიგითი" მოხელე, მით უფრო, როცა აუდიოჩანაწერში მაკასარაშვილი ამბობს, რომ ეს ადამიანი მისი წყალობით, ანუ „ჩაწყობით" მოხვდა სამსახურში...**

**ჰოდა, „ჩაწყობებს" და თავისივე „მოწყობილებზე" ღრიალსა და ყვირილს მიჩვეულ მაკასარაშვილს, როგორც ჩანს, ხალხიც მისი „ხელქვეითი" ჰგონია.**

არაფერს ვიტყოდი, ყოველივე ეს კონკრეტულად ამ ერთ ან ორ პერსონას რომ შეეხებოდეს.

საქმეც ის არის, რომ **დღევანდელი ხელისუფლების რეგვენ წარმომადგენელთა შორის უკვე მყარად მოიკიდა ფეხი საკუთარი სიჩლუნგის „გამაპრავებელმა" ისეთმა „არგუმენტებმა", რომლებიც ქართველ ხალხს შეურაცხყოფს.** მივყვეთ თანმიმდევრობით:

**„არგუმენტი" №1 — „ეგენი უმადურები არიან, თორემ ჩვენ ძალიან მაგრები ვართ!"**

ამ საგაზეთო მასალისთვის თანდართულ „ფეისბუქსქრინებზე" ნათლად დაინახავთ ია მაკასარაშვილის მიერ იმ „სახელოვანი ტრადიციის" გაგრძელებას, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ 2012 წლიდან ჩაუყარა ახალმოსულმა „ოცნების" მთავრობამ.

**„უმადურობამ და დაუნახაობამ წალეკა ქვეყანა!", „უმადურობა ინფექციასავით გადადის! უმადურობა ცოდვაა", — მოგვიწოდებს საკუთარ „ფეისბუქკედელზე" „დიდი მოღვაწე" და „უცოდველი" მაკასარაშვილი.**

ხედავთ, როგორი „ცოდვილი" ყოფილა ხალხი ამავე ხალხისთვის „ჯვარცმული" და წამებული სამგორელი დეპუტატისა და მისი კოლეგების წინაშე?

რა „ეწამა" ამისთანა ან ეს, ან მისი რომელიმე კოლეგა, რომ ხალხისგან ამის დაუნახაობას „უმადურობის ცოდვას" უწოდებს, არავინ იცის.

როგორც წესი, **ამისთანა მოღვაწეებს არ ახასიათებთ თავიანთი ნამოღვაწარის ჩამოთვლა, უბრალოდ, სხედან და სოციალურ ქსელებში ზოგადი ფრაზების რახა-რუხით არიან გართულნი, ძირითადად კი — იმის აფიშირებით, როგორ აქვთ თავში ავარდნილი ერთგვარი პრივილეგიური მდგომარეობა საზოგადოებაში, როგორ ეხვევათ თავბრუ ცხოვრებაში მათი შეზღუდული გონებისთვის წარმოუდგენლად მაღალი საფეხურის მიღწევის გამო და როგორ ჰგონიათ, რომ გარშემო ყველას შურს მათი.**

სხვანაირად შეუძლებელიცაა! **ია მაკასარაშვილის დონის გონებრივად განუვითარებელი საბრალო არსებისთვის თბილისის საკრებულოს დეპუტატობა მართლაც სამყაროს მბრძანებლობის ტოლფასია და არც არის გასაკვირი, მისი მენტალობის ადამიანი ასე გადარეული, თვალზე ლიბრგადაკრული და ჭკუაზე გადასული რომ იყოს იმით, რა მდგომარეობასაც მიაღწია ცხოვრებაში.**




## «ჩაწყობებს» და თავისივე «მოწყობილებზე» ღრიალსა და ყვირილს მიჩვეულ მაკასარაშვილს, როგორც ჩანს, ხალხიც მისი «ხელქვეითი» ჰგონია

საქმე ის არის, რომ ამაზე მმართველი ძალის „დიდმა ბოსებმა" უნდა იფიქრონ და, თუკი ისინი მაკასარაშვილის მსგავსი ხეპრე და მძიმე სიჩლუნგით შეპყრობილი მაჟორიტარებით ფიქრობენ 2016 წლის საპარლამენტო ან კიდევ მოდევნო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას, სახარბიელო პროგნოზის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

**„არგუმენტი" №2 – „ვარდზე მეტი ეკლები აქვს სავარძლებს"!**

„სამგორის რისხვა" — ია მაკასარაშვილის „ფეისბუქგვერდი", შეიძლება ითქვას, საჯარო მოხელე მორატრატე დედაკაცთა „სიბრძნის წყაროა". რა აზრებს არ წააწყდებით აქ, რომლებიც, ძირითადად, ვაზელინის წასმის კლასიკური ნიმუშებია, თუმცა, როგორც ეტყობა, ზოგჯერ მაინც „გაეპარება" ხოლმე ვიღაცის „შარიანი" კომენტარი და, აი, სწორედ ასეთი „ინტრიგანის" კომენტარის პასუხში გადავაწყდით კიდეც ისეთ უკვდავ აზრს, რომლის ფართო მასების თვალებამდე და ყურებამდე არმიტანა დანაშაულად მიგვაჩნია!

**„დაუნახაობა ზოგჯერ სავარძლებზე წამოსკუპებულებსაც სჭირთ. კარგად შეარჩიონ კადრები"-ო! — როგორღაც წამოსცდა ერთ-ერთ „ფეისბუქფრენდს" და, რა თქმა უნდა, მაკასარაშვილის „დაქალოჩკა" საჯარო მოხელეებმაც არ დააყოვნეს.**

„ვისაც ჰგონია, რომ სავარძელი თბილი და ტკბილია, ცდება! სავარძელი მძიმე და უმადურია!" — მსწრაფლ გამოეპასუხა მას ვინმე **მანანა შავთვალაძე**, რომელიც თურმე პარლამენტში მუშაობს და რომელსაც „პროფილის ფოტოდ" საკუთარ კაბინეტში, დიდ შავ სავარძელში გადაღებული ფოტო უდევს, მაგრამ ეს თქვენ „უზრუნველი" და „საოცნებო" სავარძელი არ გეგონოთ!

„ეს სავარძელი ძალიან მძიმე და ეკლიანია!" — ამძაფრებს სიუჟეტს მომდევნო კომენტარში მანანა შავთვალაძე და, ვიდრე თვალზე ცრემლი მოგვადგება, სჯობს, მისი კომენტარების კითხვა შევწყვიტოთ!

**ნუთუ არ რცხვენია ქართველ ხალხს, ამ ერისთვის თავგადადებულ ქალებს ასე ურცხვად რომ იმეტებენ ამ სულისშემხუთავი კაბინეტებისა და ეკლიანი სავარძლებისთვის?!**

**იქნებ მოიძებნოს ვინმე ღვთისნიერი და აალღიტოს ამ „ეკლიან" სავარძელს ერისთვის თავდადებული მხევალი ღვთისა მანანა შავთვალაძე?! იქნებ როგორმე დაითანხმოთ, რომ არ არის აუცილებელი, ასეთი ტანჯვა გაწიოს და იქნებ გამოიტყუოთ კაბინეტიდან?**

ისე, მე თუ მკითხავთ, ვხედავ დიდ აუცილებლობას იმისა, რომ შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელიც რამენიარად აარიდებს ჩვენს საჯარო მოხელეებს ამხელა ტანჯვა-ვაებას და მათ ყოფას შეუმსუბუქებს. ფაქტია, ეს პოზა („სავარძელი ეკლიანია" „კაბინეტი სულს გვიხუთავს" და „თანამდებობა ტვირთია") ძალიან გავრცელებულია „ოცნების" უსაქმურთა ბანდაში.

თანაც, ისინი იმხელა თავდადებას იჩენენ ქვეყნისა და ერისადმი, რომ საკუთარი ნებით სავარძლებიდან უკანალების აწევას და კაბინეტებიდან გამონარნარებას არ აპირებენ, — როგორც ჩემი უმადური ხალხი იტანჯება, მეც ისე უნდა დავიტანჯოო!

ამიტომ **„საჯარო მოხელეთა ეკლიანი სავარძლებიდან ამდღლეზი სამსახური" გადაუდებელი აუცილებლობაა ამ ქვეყანაში!**

**„არგუმენტი" №3 — „შენი ფავორიტი ჩვენზე უარესია"**

აი, ეს ყველაზე უფრო „ხადავოი" ფრაზაა მაშინ, როდესაც საჯარო კამათში შემოსულ საჯარო მოხელეებს სათქმელი აღარაფერი აქვთ. ისინი ვეღარაფერს ამბობენ საკუთარ თავზე და გადადიან იმის „შეხსენებაზე", შენ ოდესღაც რომელ პოლიტიკურ ლიდერს უჭერდი მხარს. განსაკუთრებით სასაცილოები მაშინ ხდებიან, როდესაც ცდილობენ, როგორმე შენი „ნაციონალური წა- ▶

ივანიშვილის ყოყმანის მიზეზიც, ალბათ, ის არის, რომ ბოლომდე ვერ გარკვეულა, როგორც „ქოცებს“ უყვართ ხოლმე თქმა, „უმადური“ ქართველი ხალხი ისევ იმხელა ნდობას გამოუცხადებს მას თუ უკვე „ბიძინას ფაქტორსაც“ ფეხებზე დაიკიდებს?! როგორც ვიცით, ჩვენს მილიარდერს ძალიან არ უყვარს, როდესაც მისი პერსონის „განსაკუთრებულობას“ უგულებელყოფენ და ნაბიჯს არ გადადგამს, თუკი მისი ამპარტავნული ქედმაღლობა ოდნავ მაინც დადგება საფრთხის წინაშე.

ბლოგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რსული“ შეაკოწიწონ და გაგახსენონ! აქ ორი რამ არის სასაცილო: ერთი ის, რომ ძალიან წვალობენ შენი „ნაციონალური წარსულის“ გამოგონებისას, რადგან ხელჩასაჭიდს რეალურად ვერაფერს პოულობენ; ხოლო მეორეა ის, რომ, რომც გამოგიგონონ, „კოჰაბიტაციის“ შემოქმედი და ბობოლა „ნაცების“ თანამდებობებზე დამწინაურებელი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლისგან „ნაცურ წარსულში“ ბრალდება მხოლოდ ხარხარის საბაბი შეიძლება იყოს.

ეს რაც შეეხება „ნაცურ წარსულს“, მაგრამ, თუ ისეთი ცნობილი „ანტინაცი“ ხარ, რომ მსგავსი რამის დაბრალება შენთვის ყველაზე უფრო უნამუსო „ქოციც“ კი ვერ ბედავს, აგერ არ არის სხვა პოლიტიკური პარტიები? მიდი! მე შენ გეტყვი, ვერ გაიწყვეტს ია მაკასარაშვილისნაირი რეგვენი შუბლის ძარღვს და ვერ დაწერს რამე იდიოტობას თუ რა?! აი, თუნდაც: „ბაკურ სვანიძე მორალს რომ კითხულობს, მაგის ფავორიტკა ნინო ბურჯანაძე უნთებდა მიშას მწვანეს...“

ამ სრულიად იდიოტური ციტატის ბოლომდე აქ მოყვანა არ ღირს. თუ მაინცდამაინც დაგაინტერესათ, აგერაა „სქრინი“ და ისიამოვნეთ!

„ფავორიტკა“, „მიშას მწვანეს უნთებდა“ — სხვა პარტიის ლიდერის მიმართ ასეთი უპასუხისმგებლო და ყოვლად უპატივცემულო გამოთქმები კარგად ასახავს საკრებულოს ამ დეპუტატის გონებრივი განვითარების დონეს. პრინციპში, **საკრებულოში მას გვერდით უსხედან „ფავორიტკას“ პარტიის წევრები და, მგონი, სჯობს, მათ ელაპარაკოს, როდის, როგორ და რანაირად „უნთებდა მწვანეს მიშას“ ნინო ბურჯანაძე.**

ჩემი „ფავორიტკა“ კი იგი ნამდვილად არასდროს ყოფილა და, ზოგადად, არც არასოდეს მყოლია „ფავორიტკები“ და „ფავორიტები“. მე სრულიად თავისუფალი, დამოუკიდებელი ადამიანი და ჟურნალისტი ვარ, მაკასარაშვილისნაირი სულით მონა არსებებისგან განსხვავებით, რომლებიც „ბელადების“ გარეშე ვერ ძლებენ და მთელი მათი მყრალი ცხოვრება რომელიმე „ბელადის“ ერთ ადგილზე მთხვევაზეა აწყობილი.

საიდან მოელანდა ამ ჩლუნგ ქალს, რომ მე ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური მხადამჭერი ვარ, ვერ გეტყვით. სავარაუდოდ, ეს არც ნინო ბურჯანაძემ იცის და გააგებინოთ ეგებ.

დასასრულ კი, **მინდა, სრული სერიოზულობით მივმართო „ქართული ოცნების“ ლიდერებს: მართლა ასეთი უწიგნური, ამაზრზენი და „მაფიოზა“ კანდიდატებით აპირებთ შეხვდეთ 2016 წლის არჩევნებსაც? იმედს ვიტოვებ, ჩემი ეს შეკითხვა რიტორიკული არ აღმოჩნდება.**

**შენიშვნა:** „სამგორის ალ კაპონემ“ — ია მაკასარაშვილმა, ასევე მისმა სხვა კოლეგებმა, საკუთარ „ფეისბუქპროფილებზე“ გარედან დაკომენტარების ფუნქცია გამორთეს, ანუ მათ უკვე ვერც ერთი ამომრჩეველი ველარაფერს დაუწერს „კედელზე“. აი, ასეთი გამჭვირვალენი არიან ისინი!

# ბიძინას «გულაობა» ქართულ პოლიტიკაში გრძელდება

**ერთ ასეთი ამბავი გამიგონია ძველებისგან — 1970-იან წლებში, ჩვენი მეგობარი რაღაცნაირად, თითქოს ახალ მოდაზე, იხურავდა „კეპკიან“ ქუდს, უკუღმა, აი, „კეპკა“ რომ უკან იყო გაშვერილი, ისეო. ერთხელ ნიაზ დიასამიძე შეხვდა ქუჩაში და ჰკითხა: — შენა, კაცო, მოდიხარ თუ მიდიხარ, ველარ გავიგეო?! ეს ამბავი მახსენდება, რამდენჯერაც ბიძინა ივანიშვილის შესახებ მორიგ მითქმა-მოთქმას მოვკრავ ყურს ქართულ მედიაში.**




**სამი წელია, ბიძინა ივანიშვილს ქართული პოლიტიკა მართლაც საკუთარი მატარებლების სადგურად წარმოუდგენია — ვისაც რომელ ლიანდაგზე უნდა, იქით გადაუშვებს, ვის შლაგბაუმს ჩამოუწევს, თვითონ კი მატარებლიდან მაშინ ჩამოვა, როცა მოისურვებს... და როცა გაუხარდება, ისევ ავა ნებისმიერ ვაგონში**

ეს მითქმა-მოთქმა, ძირითადად, იმაზეა, ბიძინა ივანიშვილი მოდის ქართულ პოლიტიკაში თუ საბოლოოდ მიდის ქართული პოლიტიკიდან; ან ოდესმე წავიდა თუ არა ან, საერთოდ, მოვიდა თუ არა, ან, საერთოდ...

საერთოდ, გასული საუკუნის 70-იანი წლების „კეპკიანი“ ქუდივით ამ საწყალ ქართულ პოლიტიკაში მოდურია „მოსვლები“. განსაკუთრებით **მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა „ნაციონალების“ და მიშა სააკაშვილის ძალადობრივი ჰეგემონია დაამხო, ყველას რატომღაც ქართულ პოლიტიკაში „მოსვლა“ უნდება.**

ოპერის მომღერალ **პაატა ბურჭულაძის** კვალდაკვალ, პოლიტიკაში შემობიჯების პრეტენზია უკრაინელმა ბიზნესმენმა **ლეონიდ ჩერნოვიცკიმაც** გამოხატა. როგორც სანდო, უნდო თუ სულაც კალაპოტიდან გადმოსული წყაროები ამბობენ, მალე კიდევ არაერთი, მილიონერი, გავლენიანი, ცნობილი, ამბიციებით გაბერილი პერსონა გააკეთებს ანალოგიურ განცხადებას.

საბოლოოდ კი ვინ მოვა, ვის თავად აუცდება ფეხი და ვის კიდე „პადნოჟკას“ დაუდებენ, ეგ 2016 წლის შემოდგომის მიწურულს გვეცოდინება ზუსტად. მანამდე დაზუსტებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ **სამი წელია, ბიძინა ივანიშვილს ქართული პოლიტიკა მართლაც საკუთარი მატარებლების სადგურად წარმოუდგენია — ვისაც რომელ ლიანდაგზე უნდა, იქით გადაუშვებს, ვის შლაგბაუმს ჩამოუწევს, თვითონ კი მატარებლიდან მაშინ ჩამოვა, როცა მოისურვებს... და როცა გაუხარდება, ისევ ავა ნებისმიერ ვაგონში.**

როგორც ჩანს, სწორედ ამას უკავშირდება ამდენი „პოლიტიკაში მოსვლის“ მოსურნის გამოჩენა. ფაქტია, **მიხეილ სააკაშვილის** მიზანია, ყველაფრის ფასად შეუშალოს ხელი „ქართული ოცნების“ ისევ უმრავლესობით მოსვლას ხელისუფლებაში. ამის მისაღწევად ყველაზე ეფექტიანი ხერხი არის ის, რომ თითქოს „ნაციონალებთან“ დაპირისპირებული და მათთან არდაკავშირებული „ახალი პოლიტიკური ძალების“ მეშვეობით „ოცნებაზე“ განაწყენებული და ნაცებისადმი მტრულად განწყობილი ელექტიორატის ხმები მიიზიდოს.

შეასრულებენ ასეთ მისიას ან პაატა ბურჭულაძე, ან ლეონიდ ჩერნოვიცკი?

სავარაუდოდ, ეს შეუსრულებელი მისიების რიგს მიეკუთვნება, რადგან, **თავისი ქონების ნახევარიც რომ დახარჯოს, ჩერნოვეცკის, როგორც სააკაშვილთან პირდაპირ ასოცირებულ უკრაინელს, აქ ხმას არავინ მიცემს; ხოლო მსოფლიოს პირველმა ბანმა პოლიტიკურ სტარტზე ისეთი სიბეცე გამოიჩინა და ისე გაყიდა თავი, რომ, მგონი, მას ქართველები, წინასაარჩევნო შეხვედრებზე კი არა, ოპერაშიც აღარ მოუსმენენ.**

განსაკუთრებით მიუღებელია პაატა ბურჭულაძის მიერ პატრიარქის სახელით პოლიტიკური ვაჭრობა. მან არაერთხელ დაუფარავად განაცხადა, რომ პოლიტიკაში მხოლოდ პატრიარქის კურთხევით მოვა.

ფაქტია, **ეს „ნაციონალების“, კერძოდ კი, მიხეილ სააკაშვილის მიერ პატრიარქის ავტორიტეტის არაპირდაპირი გამოყენებაა და საზოგადოებაც უკვე აღარ არის ისეთ დაბალ დონეზე, როგორც 2003 წელს იყო, როდესაც საქართველოს მოქალაქეებს იოლად აჭამეს ე.წ. ვარდების რევოლუცია.**

საქართველოს პატრიარქის ასე წარამარა ხსენება მხოლოდ აგრესიას იწვევს პოტენციურ ამომრჩეველში, მით უფრო, რომ გასული ორი დღე სწორედ პატრიარქის გარშემო შექმნილი განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩა.

პატრიარქის გულიდან ამოთქმულ უბრალო სურვილს, მავანმა მსწრაფლ მისცა პოლიტიკური ელფერი და დანარჩენმა „მავანებმაც“ საქმე და სალაპარაკო იშოვეს.

აქ აღარ დავიწყებ პატიმრების შეწყალების საკითხზე პატრიარქის გარშემო ატეხილი აურზაურის პერიპეტიების განხილვას. რაც იყო — იყო და უკვე ჩაიარა. თუმცა ამ მოვლენებმაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ილია მეორის განუზომელ ავტორიტეტს ამ ქვეყანაში და ამ ავტორიტეტის კერძო მიზნებისთვის ბოროტად გამოყენების მსურველთა რიგი, ვგონებ, კიდევ უფრო გაზარდა.

მიუხედავად ამისა, ალბათ, რესპუბლიკელებს უნდა დავუფასოთ ის, რომ მათ არასოდეს უცდიათ პატრიარქის სახელის გამოყენება პოლოტიკური მიზნებისთვის და, ალბათ, არც არასოდეს შეეცდებიან, რადგან ეს მათ იდეოლოგიას მკვეთად ეწინააღმდეგება.

სამაგიეროდ, ისინი, ალბათ, 2016 წლამდე არაფრის დიდებით არ გაუშვებენ მყარად ჩაბღაუჭებულ ხელს ბიძინა ივანიშვილს და უმალ სეკულარიზმის უარყოფას დათანხმდებიან, ვიდრე „ქართული ოცნების“ კოალიციისგან დამოუკიდებლად მიიღებენ 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობას.

მიუხედავად ამისა, რეაპუბლიკელები არ ღალატობენ დემაგოგიურ და სოფისტიკურ ტრადიციებს და პომპეზური პარტიული ყრილობის მიმდინარეობისას ისეთ სასაცილოდ ამბიციურ განცხადებებს აკეთებენ, რომ, მგონი, მერე თავადაც იხრჩობიან სიცილით.

თავი რომ დავანებოთ დავით უსუფაშვილის ფრაზას — „ქართული ოცნება ვერ შედგებოდა, როგორც გამარჯვებული კოალიცია, რომ არ ყოფილიყო რესპუბლიკური პარტია“, ამ „მაღალრეიტინგული“ პარტიის „საყოველთაოდ ცნობილი“ თავმჯდომარის, ვინმე **ხათუნა სამნიძის** ფრაზას სადღა წავუვიდეთ, რომელიც გვამცნობს, რომ „რესპუბლიკური პარტია მზად არის ახალი გამარჯვებისთვის! რესპუბლიკური პარტია მზად არის, უფრო დიდი წვლილი შეიტანოს კოალიციის ფორმირებაში! რესპუბლიკური პარტია მზად არის უფრო მეტი რესპუბლიკელისთვის საქართველოს მთავრობაში“!

**წარმომიდგენია, როგორ „მალამოდ დაედებოდა“ ეს სიტყვები ქართველი ამომრჩევლის სულს, გულსა და გონებას. რესპუბლიკელები ხომ ის პარტიაა, რომელსაც „დღემუდამ ნატრობდა ჩუმის ნატვრითა ქართველი“!**

სიმართლე რომ ითქვას, „რესპუბლიკელთა“ არჩევანი სწორია „ქართული ოცნების“ არჩევანისაგან განსხვავებით.

რაც უნდა „დაგვაბოლოს“ უსუფაშვილმა და რაც უნდა „გვებლატაოს“ სამნიძე, რესპუბლიკელები „ქართული ოცნებისთვის“ უმძიმესი სათრევი ტვირთი უფროა, ვიდრე თუნდაც ოდნავი პლუსი ამომრჩევლის თვალში.

აი, სწორედ ამიტომაც ემზადება ბიძინა ივანიშვილი ქართული პოლიტიკის მატარებელში კვლავ ასასვლელად და ამიტომ ეცდება სააკაშვილი, ის იქ არ აუშვას. **ივანიშვილის ყოყმანის მიზეზიც, ალბათ, ის არის, რომ ბოლომდე ვერ გარკვეულა, როგორც „ქოცებს“ უყვართ ხოლმე თქმა, „უმადური“ ქართველი ხალხი ისევ იმხელა ნდობას გამოუცხადებს მას თუ უკვე „ბიძინას ფაქტორსაც“ ფეხებზე დაიკიდებს?! როგორც ვიცით, ჩვენს მილიარდერს ძალიან არ უყვარს, როდესაც მისი პერსონის „განსაკუთრებულობას“ უგულებელყოფენ და ნაბიჯს არ გადადგამს, თუკი მისი ამპარტავნული ქედმაღლობა ოდნავ მაინც დადგება საფრთხის წინაშე.**

უცნობილესი ქართული მხატვრული ფილმის ძალიან ცნობილი სცენა მახსენდება: ჯარისკაცის მამას, რომელიც რკინიგზის სადგურზე დადის, ვერ გადაუწყვეტია, შეახტეს თუ არა ფრონტის ხაზისკენ მიმავალ სატვირთო მატარებელს, ხოლო სადგურზე მდგომი შეიარაღებული მეთვალყურე მას მკაცრად ეკითხება: „აქ რას დადიხარ, მოხუცო?“. აი, სწორედ ამ „მეთვალყურის“ როლში შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც „პოლიტიკის მამა“ ბიძინა გულმოსული მიუგებს: „მე აქ დავსეირნობ და მორჩა! აქედან გავისეირნებ იქით, იქიდან გამოვისეირნებ აქეთ! აი, ეგრე მინდა და იმიტომ!“.

რას გადაწყვეტს საბოლოოდ ივანიშვილი — მალე შეახტება „ქართული პოლიტიკის მატარებელს“ ისევ თუ დაძრულს დაედევნება?

ყოველ შემთხვევაში, სიტუაცია იმდენად მძიმეა, „კუპიროვანი“ ან „ეს-ვე“ ვაგონით მშვიდად ნამდვილად ვერ იმგზავრებს.

ეგ კი არა, სავსებით შესაძლებელია, ფილმის სიუჟეტის მსგავსად, თუკი გადაწყვეტს, რომ „ისევ მოვიდეს“, დანიშნულების ადგილამდე მისაღწევად ვაგონებს შორის იატაკზე ჩაწოლაც მოუწიოს მისივე ფავორიტ **ირაკლი ღარიბაშვილთან** ერთად.

**ბაკურ სვანიძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ვინმეს უნდა, მხოლოდ პრეზიდენტის რეზიდენცია და ერთი-ორი სამთავრობო შენობა დაიტოვოს, რომლის უსაფრთხოების დაცვაზეც ნატო იქნება პასუხისმგებელი, და თუ ნატო გარკვეული ჯგუფების ხელისუფლებაში ყოფნის გარანტიისთვის გვჭირდება, სანაცვლოდ კი ნახევარი საქართველო უნდა დავთმოთ, რა თქმა უნდა, ასეთი პოზიცია ჩემთვის მიუღებელია. ჩვენ გვინდა, ქვეყანა იყოს დაცული.**



## თამაზ მეჭიაური:

# თუ სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე პასუხისმგებლობას არავინ დაიკისრებს და საფრთხის შემთხვევაში არავის ექნება ჩვენი დაცვის ვალდებულება, მაშინ გამოდის, ნატოს წევრობა მხოლოდ ხელისუფლების რაღაც ჯგუფის დასაცავად ყოფილა საჭირო

**ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საქართველოს პარლამენტის წევრი თამაზ მეჭიაური ესაუბრება.**

**— ბატონო თამაზ, ციხის კადრებისა თუ კასრის ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელების შემდეგაც კი რატომ უჭერს მხარს საერთაშორისო საზოგადოება „ნაციონალებს“? არის თუ არა ეს თქვენი ხელისუფლების სისუსტის ბრალი?**

— ეს იმის ბრალია, რომ „ნაციონალები“ საერთაშორისო ორგანიზაციებთან წარმატებით მუშაობდნენ, პიარს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ამისთვის არც დიდძალ ფულს იშურებდნენ. ერთი მხრივ, გეთანხმებით. შესაძლოა, ჩვენ მართლაც დავაკელით ხელი ამ მიმართულებით მუშაობას, განსაკუთრებით — ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში. თუმცა **ამჟამინდელი ხელისუფლების დამსახურებად მიმაჩნია, რომ მაქსიმალურად აიცილა თავიდან ესა თუ ის მცდელობა, ჩაეთრიათ ავანტიურაში ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ხელისუფლება უფრო დამოუკიდებელია გარეშე ძალებისგან, თუნდაც ფინანსურად, რაც, არა მგონია, მოსწონდეთ იმ ძალებს, რომლებიც წინა ხელისუფლების მეშვეობით საკმაოდ წარმატებით ერეოდნენ ჩვენს საშინაო საქმეებში.**

**— უკრაინულმა „ვიკილიქსმა“ გაავრცელა თანაგუნდელებთან სააკაშვილის საუბარი, სადაც ის თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელსა და საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს თავის მხარდამჭერებად მოიხსენიებს. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა ისინი მომავალში „ნაციონალების“ გვერდით ვიხილოთ?**

— მოდი, ამ შეკითხვას არ ვუპასუხებ, ვინაიდან, თუ კოალიციის წევრებს შორის ეჭვი გაჩნდება, ვეცდებით, ყველაფერი კოალიციის შიგნით გავარკვიოთ.

**— რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, დავით ბერძენიშვილის, განცხადებით, ის, რომ დღეს საქართველოს კოალიციური მთავრობა ჰყავს, რესპუბლიკური პარტიის დამსახურებაა და კოალიცია მის გარეშე ვერ იარსებებდა. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— ეს მცდარი განცხადებაა. კოალიცია ვერ იარსებებდა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისა და მისი „ქართული ოცნების“ გარეშე, სხვა ნებისმიერი პარტიის გამოკლებით, კოალიცია მაინც გაიმარჯვებდა.

**— ვრცელდება ხმები ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში კვლავ დაბრუნების შესახებ, რათა ის 2016 წელს კოალიციას სათავეში ჩაუდგეს და იმავე რესპუბლიკელებსა და კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებს არჩევნებში კვლავ გაამარჯვებინოს.**

— გააჩნია, დაბრუნებაში რას ვიგულისხმებთ. დაბრუნება არ ნიშნავს მაინცდამაინც სიაში ან სიის სათავეში ყოფნას. შეიძლება იყოს კოალიციის ლიდერი, მაგრამ, გარდა პარტიული თანამდებობისა, სხვა თანამდებობა არ დაიკავოს ხელისუფლებაში და საჯაროდ გამოხატოს, რომელი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერია.

თუმცა ჯერ არ ვიცი, როგორი იქნება კოალიცია. დაველოდოთ, როგორ კონფიგურაციას მიიღებს.

**— ხელისუფლებაში დაპირისპირება აშკარაა — პრემიერი და პრეზიდენტი ლამის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე რადიკალურად განსხვავებულ პოზიციას გამოხატავენ. ცოტა ხნის წინათ კი ერთმანეთი სიტუაციის დაძაბვაში დაადანაშაულეს.**

— რბილად რომ ვთქვათ, მათი თვალსაზრისები განსხვავებულია. **პრემიერი ძირითადად იმ პროგრამით ხელმძღვანელობს, რომლითაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა; პრეზიდენტმა კი მას შემდეგ, რაც ფიცი დადო, დამოუკიდებელი თამაში დაიწყო, რომელიც ხშირად არ ემთხვევა იმ პროგრამას, რომლითაც ხელისუფლებაში მოვიდა.** აქედან გამომდინარე, ზოგჯერ ვიღებთ ერთმანეთისგან განსხვავებულ გადაწყვეტილებებს, რაც, რა თქმა უნდა, ქვეყანას არ წაადგება.

**— პარლამენტარ ზაქარია ქუცნაშვილის კანონპროექტი, რომელიც თანამდებობის პირებისთვის პრემიების აკრძალვას ეხებოდა, ჩავარდა. რატომ ვერ ელევიან თანამდებობის პირები პრემიებს და როგორია თქვენი, როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, პოზიცია ამ საკითხზე?**

— ზაქარია ქუცნაშვილის კანონპროექტს მე მხარი დავუჭირე, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ასე მხოლოდ იმიტომ მოვიქეცი, რომ ვიღაცას არ ელაპარაკა, მხარი არ დაუჭირაო. პირდაპირ გეტყვით: ეს კანონპროექტი მნიშვნელოვან შედეგს არ მოიტანდა, რადგან პრემიებს ვაუქმებდით იმ ნაწილში, რომელშიც ის ისედაც არ მოქმედებს. საშუალო რგოლში თუ გავაუქმებთ პრემიებს, მაგალითად, თუ რიგით პოლიციელს არ მივცემთ პრემიას, მას მოტივაციას დავუკარგავთ, ეს საკითხი ამ კანონპროექტში ისედაც არ ყოფილა გათვალისწინებული.



# «ახლა მთავარი ამოცანა მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა და ამ საფრთხის წინააღმდეგ მთელი ცივილიზებული სამყარო უნდა გაერთიანდეს»

**— მოგეხსენებათ, ჩვენს ორ მეზობელ ქვეყანას — რუსეთსა და თურქეთს შორის ვითარება დაიძაბა. როგორ ფიქრობთ, სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში ვის უნდა დაუჭიროს მხარი საქართველომ?**

— საქართველო ამ კონფლიქტში არ უნდა ჩაერიოს და ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა არ გახდეს მხარე. ერთმნიშვნელოვანი პოზიცია ნატოს წევრ ქვეყნებსაც არ აქვთ — საფრანგეთს, გერმანიას, დიდ ბრიტანეთს. ისინი საკმაოდ მოზომილ კომენტარებს აკეთებენ და რუსეთს ანტიტერორისტულ კოალიციაში ერთობლივი თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ. ასეთ შემთხვევაში ჩვენი მხრიდან რადიკალური ნაბიჯების გადადგმა და ვინმეს გაღიზიანება საქართველოსთვის სასიკეთო ნამდვილად არ იქნება.

**— ზოგი ფიქრობს, რომ ეს დაპირისპირება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შანსს გვაძლევს. სწორია ეს თვალსაზრისი?**

— არ მინდა, მეორე უკიდურესობაში აღმოვჩნდეთ, ესეც კონფლიქტში ჩართვაა. ჯერ მოვლენების განვითარებას უნდა დავაკვირდეთ და ვიფიქროთ მთავარ საფრთხეზე, რომლის წინაშეც არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მსოფლიო დგას. ახლა მთავარი ამოცანა მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა და ამ საფრთხის წინააღმდეგ მთელი ცივილიზებული სამყარო უნდა გაერთიანდეს.

**— ჩვენ ვმონაწილეობთ საერთაშორისო უსაფრთხოების მისიაში (ISAF) და ჩვენი ჯარი იმყოფება ავღანეთში და არა — სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, რომელიც, ავღანელებისგან განსხვავებით, საქართველოს უშუალოდ ემუქრება. ამ ორგანიზაციის „ბოევიკები“ უმოწყალოდ ანადგურებენ ადგილობრივ მართლმადიდებლებს მხოლოდ და მხოლოდ აღმსარებლობის გამო...**

— იმ დიდ სახელმწიფოებს, რომლებიც ახლა ტერორიზმის წინააღმდეგ იბრძვიან, საქართველოს ამ პროცესში ჩართვა რომ სჭირდებოდეთ, ამის შესახებ ჩვენთვის ცნობილი იქნებოდა. ამიტომ, არა მგონია, ამ სიტუაციაში ჩვენი აქტიურობა სწორი იყოს. ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება სამიზნედ ვიქცეთ, მით უმეტეს, რეგიონში არასტაბილური და დაძაბული ვითარებაა და სხვადასხვა მისიაში ჩვენი მონაწილეობა გარკვეულ ძალებს ისედაც აღიზიანებთ.

**— ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესვლამ, ამ ალიანსის წევრი სახელმწიფოების ბოლო განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიწია. ამას გარდა, ნატოს წევრი ქვეყნების ბევრი წარმომადგენელი უკვე დაუფარავად გვეუბნება, რომ ტერიტორიული პრობლემების მქონე ქვეყანას ნატოში არავინ მიიღებს. მაგრამ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი კვლავ არწმუნებს ხალხს, რომ უახლოეს მომავალში საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება.**

— ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყნის მთავარი მიზანი არის ტერიტორიული მთლიანობა და სტაბილურობა. აქედან გამომდინარე, როდესაც ესა თუ ის ქვეყანა პოლიტიკურ ალიანსში ერთიანდება (ნატო მაქვს მხედველობაში), ის ამას იმიტომ აკეთებს, რომ ალიანსი იღებს ვალდებულებას, ამ ქვეყანას მისცეს მისი ტერიტორიის დაცვის გარანტიები, და თუ ამ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე დაემუქრება, ალიანსმა უნდა დაიცვას აგრესიისგან. რა თქმა უნდა, **მე არ ვეთანხმები მათ, ვინც თანახმაა, ნებისმიერი პირობებით შევიდეს ნატოში ისე, რომ ამ ალიანსმა ჩვენ წინაშე არანაირი პასუხისმგებლობა არ დაიკისროს.** იყო ასეთი მოსაზრებაც, რომ დებულების მეხუთე მუხლის გარეშე გავმხდარიყავით ნატოს წევრი, მაგრამ ნატოში შესვლის მთავარი აზრი სწორედ ეს მეხუთე პუნქტია, რომელიც ავალდებულებს ნატოს წევრ სახელმწიფოებს, დაიცვან ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობა და სამხედრო კონფლიქტის დროს მის გვერდით დადგნენ. ხოლო, **თუ ნატო ამ ვალდებულებას არ დაიკისრებს, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება მხოლოდ იმისთვის ხომ არ გვინდა, რომ ჩვენი ჯარისკაცები სამხედრო მისიებში მონაწილეობდნენ?!**

ასეთი განცხადებები არასწორად მიმაჩნია. **თუ ვინმეს უნდა, მხოლოდ პრეზიდენტის რეზიდენცია და ერთი-ორი სამთავრობო შენობა დაიტოვოს, რომლის უსაფრთხოების დაცვაზეც ნატო იქნება პასუხისმგებელი, და თუ ნატო გარკვეული ჯგუფების ხელისუფლებაში ყოფნის გარანტიისთვის გვჭირდება, სანაცვლოდ კი ნახევარი საქართველო უნდა დავთმოთ, რა თქმა უნდა, ასეთი პოზიცია ჩემთვის მიუღებელია. ჩვენ გვინდა, ქვეყანა იყოს დაცული.**

**— არსებობს ასეთი სურვილი და მოსაზრება დღეს?**

— არ ვიცი, მე, უბრალოდ, ვერ ვიგებ მოტივაციას, ჩვენ კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ყველაფერი და მხოლოდ იმ შემთხვევაში გავხდეთ ნატოს წევრი, თუ მისი წევრობა უფრო მეტ სარგებელს მოგვიტანს, ვიდრე გარეთ ყოფნა. მაგრამ ყოველგვარი პირობის გარეშე ნატოს წევრობა, არასწორია. **თუ სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე პასუხისმგებლობას არავინ დაიკისრებს და საფრთხის შემთხვევაში არავის ექნება ჩვენი დაცვის ვალდებულება, მაშინ ნატოს წევრობა მხოლოდ ხელისუფლების რაღაც ჯგუფის დასაცავად ყოფილა საჭირო,** რაც მიუღებლად მიმაჩნია.

# «კოალიცია ვერ იარსებებდა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის — «ქართული ოცნების» გარეშე, სხვა ნებისმიერი პარტიის გამოკლებით, კოალიცია მაინც გაიმარჯვებდა»

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**„ჩემი ქრისტიანული სუფთა სინდისით ვაცხადებ, რომ რუსეთის სახელმწიფოს მოწინააღმდეგეებს მივიჩნევ ჩემს საკუთარ მტრებად, ვიქნები მორჩილი და ყველა შემთხვევაში მზადმყოფი, ვემსახურო მის იმპერატორებითს დიდებულებასა და რუსეთის სახელმწიფოს, თუ საჭირო გავხდები, არ დავიშურებ სიცოცხლეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე; მისი დიდებულების უმაღლეს უფროსებთან და მსახურებთან ვითანამშრომლებ გულწრფელი თანხმობით; და თუ მისი იმპერატორებითი დიდებულებისა და იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ რაიმე საქმიანობისა თუ განზრახვის შესახებ შევიტყობ, დაუყოვნებლივ ვაცნობებ მას“**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გეორგიევსკის ტრაქტატი

# — რა ისტორიულ-პოლიტიკურმა მიზეზებმა უბიძგა საქართველოს, ეძებნა მოკავშირე რუსეთის სახით

## გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 230 წლისთავისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-44 (323-326)

### 1783 წლის 17 თებერვალი. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ს ფიცის აღთქმის ნიმუში

**ნიმუში იმისა, რომლის მიხედვით ქართლისა და კახეთის მეფემ ერეკლე თეიმურაზის ძემ უნდა აღუთქვას ერთგულების ფიცი მის საიმპერატორო დიდებულებას, რუსეთის თვითმპყრობელს და აღიაროს მფარველობა და უმაღლესი ძალაუფლება სრულიად რუსეთის იმპერატორებისა ქართლისა და კახეთის მეფეებზე.**

„მე, ქვემოთ დასახელებული ყოვლისშემძლე ღმერთისა და მისი წმინდა სახარების წინაშე ვაღიარებ, რომ მსურს ვიყო ერთგული მისი იმპერატორებითი დიდებულების... *(ჩამოთვლილია ეკატერინე მეორეს ტიტულები)*, სრულიად რუსეთის იმპერატრიცისა და თვითმპყრობელის ეკატერინე ალექსეის ასულის და მისი ვაჟის, უგანათლებულეს დიდი მთავრის პავლე პეტრეს ძისა, სრულიად რუსეთის საიმპერატორო ტახტის კანონიერი მემკვიდრის და იმ ტახტის ყველა უმაღლესი მემკვიდრის ერთგული, გულმოდგინე და კეთილისმსურველი. ჩემი და ჩემი მემკვიდრეების სახელით ვაცხადებ, რომ სრულად ჩემს სამეფოსა და ოლქზე სამარადჟამოდ ვაღიარებ მისი იმპერატორებითი დიდებულებისა და ყველა მისი მემკვიდრის უმაღლეს მფარველობასა და ძალაუფლებას ჩემსა და ჩემს მემკვიდრეებზე, ქართლისა და კახეთის მეფეებზე.

შედეგად ამისა, უარვყოფ ჩემზე და ჩემს სამფლობელოზე სხვა ხელმწიფეთა და სახელმწიფოთა ძალაუფლებასა და მფარველობას, რაგინდ ტიტულითა და მიზეზით იყოს შემოთავაზებული. **ჩემი ქრისტიანული სუფთა სინდისით ვაცხადებ, რომ რუსეთის სახელმწიფოს მოწინააღმდეგეებს მივიჩნევ ჩემს საკუთარ მტრებად, ვიქნები მორჩილი და ყველა შემთხვევაში მზადმყოფი, ვემსახურო მის იმპერატორებითს დიდებულებასა და რუსეთის სახელმწიფოს, თუ საჭირო გავხდები, არ დავიშურებ სიცოცხლეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე; მისი დიდებულების უმაღლეს უფროსებთან და მსახურებთან ვითანამშრომლებ გულწრფელი თანხმობით; და თუ მისი იმპერატორებითი დიდებულებისა და იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ რაიმე საქმიანობისა თუ განზრახვის შესახებ შევიტყობ, დაუყოვნებლივ ვაცნობებ მას.**

ერთი სიტყვით, **ჩემი ასეთი ქცევა განპირობებულია ჩემი და რუსეთელი ხალხების ერთმორწმუნეობითა და მისი იმპერატორებითი დიდებულების მფარველობითა და უმაღლესი ძალაუფლებით.** ჩემი ამ ფიცის დასასრულს ვემთხვევი სიტყვასა და ჯვარს ჩემი მაცხოვრისა. ამინ!

ეს ნიმუში საფუძვლად დაედება მომავალშიც ქართლისა და კახეთის მეფეთა ფიცს ტახტზე მათი ასვლისა და რუსეთის საიმპერატორო კარისგან ბოძებული რწმუნების დამადასტურებელი სიგელის მიღების ჟამს“...

**დოკუმენტს ადევს ეკატერინე II-ს თანხმობის რეზოლუცია.**



### 1783 წლის 17 თებერვალი. იმპერატრიცა ეკატერინე II-ს სიგელი სამხედრო კოლეგიის ვიცეპრეზიდენტ, გენერალ-ანშეფ, უგანათლებულეს თავად გ.ა. პოტიომკინსთვის ქართლ-კახეთის მეფესთან ერეკლე II-სთან ხელშეკრულების დადების უფლების მინიჭების შესახებ

„ჩვენ, ეკატერინე მეორე, სრულიად რუსეთის იმპერატრიცა და თვითმპყრობელი (ჩამოთვლილია მისი ყველა ტიტული, მათ შორის, „ივერიის მიწის, ქართლისა და ქართველი მეფეების მბრძანებელი და ხელმწიფე“) ჩვენი იმპერატორებითი ტახტისადმი ქართლისა და კახეთის უგანათლებულესი მეფის ერეკლე თეიმურაზის ძის მიერ წარმოდგენილი თხოვნის თანახმად მისი და მთელი მისი სამეფოსა და ოლქების ჩვენი მფარველობის ქვეშ მიღებისა და მის მიერ ჩვენი და ჩვენი მემკვიდრეების უმაღლესი ძალაუფლების აღიარების შესახებ ქართლისა და კახეთის მფლობელებზე. ორმხრივი ნათელი და თანხმობითი დადგენილების გათვალისწინებით, ჩვენი მხარის წარმომადგენლად ავირჩიეთ თავადი **გრიგორი ალექსანდრეს ძე პოტიომკინი** (ჩამოთვლილია მისი ყველა წოდება და ჯილდო რუსეთისა და სხვა სახელმწიფოთა მიერ მისთვის ბოძებული), რომელსაც ვანიჭებთ უფლებას თვითონ ან მისი არყოფნის შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ დანიშნოს და სრული უფლებით აღჭურვოს თავისი წარმომადგენელი ხელი მოაწეროს ტრაქტატს ჩვენი და ჩვენი მემკვიდრეების მფარველობისა და სრულიად რუსეთის თვითმპყრობელთა უმაღლესი ხელისუფლების აღიარების შესახებ ქართლისა და კახეთის მეფეებზე, ჩვენი იმპერატორებითი სიტყვით დაუდასტუროს, რომ ერთგულად შესრულდება ყოველივე, რასაც დაპირდება ნახსენები თავადი გრიგორი ალექსანდრეს ძე პოტიომკინი ან მისი დანიშნული უფლებამოსილი წარმომადგენელი, და დანიშნულ დროს წარმოდგენილი იქნება ჩვენი რატიფიკაციისთვის. რასაც ვადასტურებთ საკუთარი ხელმოწერით და ვუბრძანეთ დაადასტურონ ჩვენი სახელმწიფო ბეჭდით.

**გაცემულია წმინდა პეტრეს ჩვენს სამეფო ქალაქში ქრისტეს დაბადებიდან 1783 წლის თებერვლის 17 დღეს და ჩვენი მეფობის ოცდაერთ წელს“.**



### 1783 წლის 18 თებერვალი. იმპერატრიცა ეკატერინეს II-ეს ბრძანებულების პროექტი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ისა და მისი სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღების შესახებ

ღმერთის წყალობით ჩვენ, ეკატერინე მეორე სრულიად რუსეთის იმპერატრიცა და თვითმპყრობელი (ჩამოთვლილია ყველა მისი ტიტული) მზრუნველობამ, რომელსაც ჩვენი, აწ გარდაცვლილი წინაპრები და მათი მაგალითით ჩვენც არ ვიშურებდით ქართველი ხალხებისა და მათი უგანათლებულესი ხელმწიფეების დასახმარებლად, მტრებისგან და მათი მეზობლების შევიწროებისგან დასაცავად, წარმოქმნა ნახსენებ ხელმწიფეთა ჩვენი ტახტისადმი ისეთი დამოკიდებულება, რომელიც საქვეყნოდ არის ცნობილი.

იგი (ბრძანებულება) ამტკიცებს ქართლისა და კახეთის უგანათლებულესი მეფის ირაკლი თეიმურაზის ძისა და მთელი მისი სამეფოსა და ოლქების სამარადჟამოდ ჩვენს მფარველობაში მიღებას პირადად მისი გულწრფელი და ნებაყოფლობითი თხოვნის თანახმად; მისი უგანათლებულესობის მიერ ასეთივე ძალდაუტანებელი აღიარებით, ქართლისა და კახეთის მეფეებზე მისი და მისი მემკვიდრეების მიერ სრულიად რუსეთის იმპერატორების უმაღლესი ხელისუფლების აღიარებას.

**(ეკატერინე II ადასტურებს, რომ მან და ერეკლე II-მ საზეიმოდ დაადგინეს ორივე მხარისთვის სასარგებლო დებულებები და ერეკლე თეიმურაზის ძეს მიენიჭა მისი მეფობის დამადასტურებელი ატრიბუტები: რუსეთის სახელმწიფოს ღერბიანი დროშა, რომლის (ღერბის) შუაგულში აღბეჭდილია ქართლისა და კახეთის სამეფო ღერბი; გადაეცა ხმალი, სამეფო კვერთხი და ყარყუმის ბეწვის მანტია).**

„ჩვენ მიერ ბოძებული ამ სიგელის ძალით ვუბრძანებ ყველა ჩვენ სამხედრო, სამოქალაქო, სასაზღვრო და სხვა უფროსობას, ზემოთ ნახსენებ უგანათლებულეს მეფეს აღმოუჩინონ შესაფერი პატივისცემა და ნდობა, რომელიც ეთანადება იმ მჭიდრო კავშირსა და კეთილ თანხმობას, რომლითაც ამჟამად მისი სამფლობელო სამარადჟამოდ გაერთიანებულია ჩვენს იმპერიასთან. წყალობა, კეთილგანწყობა და ჩვენი საიმპერატორო მფარველობა ქართლისა და კახეთის უგანათლებულესი მეფისა და მისი ხალხებისადმი სამუდამოდ იქნება განუყოფელი, რადგან ჩვენ სავსებით დაიმედებული ვართ მისი უგანათლებულესობის და მისი ქვეშევრდომების კეთილი ნებითა და ფიცით განმტკიცებული დაპირების, რომ უერთგულებენ ჩვენს ტახტს და ყოველთვის მზად იქნებიან ხელი შეუწყონ ყოველივე იმას, რაც სასარგებლო და სადიდებელი იქნება ჩვენი ხელისუფლებისთვის“.

**სიგელს ხელს აწერს ეკატერინე II. სპ (სანკტ პეტერბურგი) 18 თებერვალი, 1783 წლისა.**

### 1783 წლის 25 მარტი. კავკასიის კორპუსის სარდლის გენერალ-პორუჩიკის პ. ს. პოტიომკინის უფლებამოსილებანი, რომლებიც მას მიანიჭა სამხედრო კოლეგიის გენერალ-ანშეფმა უგანათლებულესმა თავადმა გ. ა. პოტიომკინმა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ს სრულუფლებიან წარმომადგენლებთან მოლაპარაკების საწარმოებლად და ტრაქტატზე ხელის მოსაწერად

წერილში გ. ა. პოტიომკინი აცნობებს კავკასიის კორპუსის სარდალს პავლე სერგის ძე პოტიომკინს ეკატერინე II-ს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების შესახებ, რომელშიც სიტყვა-სიტყვითაა გამეორებული იმპერატრიცას 1783 წლის 18 თებერვლის ბრძანებულების ტექსტი. ამასთან, აუწყებს, რომ მას ნიშნავს თავის წარმომადგენლად და არწმუნებს, რომ მისი განკარგულებები და ხელმოწერა მიღებული იქნება, როგორც მისი — გრიგორი ალექსანდრეს ძე პოტიომკინისეული.

**ხელმოწერილია თავად პოტიომკინის მიერ, დადასტურებულია მისი გერბიანი ბეჭდით და დათარიღებულია 1783 წლის 25 მარტით.**

გაგრძელება იქნება

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის მოსახლეობა ამჟამად 319 მლნ კაცია და მათ ხელში 300 მლნ ერთეული იარაღია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ აშშ-ში ყოველწლიურად 300 ათასი დანაშაული ხდება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და 30 ათასი ადამიანი იღუპება — უფრო მეტი, ვიდრე აშშ-ის მიერ წარმოებულ ომებში.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

ახალ რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის.

დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

## მსროლელი ამერიკა

**აშშ დამწუხრებულია მორიგი ტრაგედიის შედეგებით, მაგრამ ასეთი ინციდენტები ამერიკული თავისუფლებებისა და უფლებების მედლის მეორე მხარე ხომ არ არის?**

**2 დეკემბერს სან-ბერნარდინოში (კალიფორნიის შტატი, აშშ) აშშ-ის მოქალაქე, 28 წლის საიდ ფარუკი და 27 წლის პაკისტანელი ქალი ტეშფინ მალიქი სოციალური უზრუნველყოფის ცენტრის საკონფერენციო დარბაზში შეიჭრნენ და იქ მყოფებს ცეცხლი გაუხსნეს. დაიღუპა 14 ადამიანი, დაიჭრა — 17. ფარუკი და მალიქი, რომლებიც სამართალდამცველებმა მოკლეს, დაქორწინებულები იყვნენ ან — დანიშნული.**

გაირკვა, რომ დანაშაულის ჩადენის დღეს ფარუკი ჯერ მივიდა წვეულებაზე, რომელიც სოცუზრუნველყოფის ცენტრში გაიმართა, ცოტა ხნის შემდეგ წავიდა და თანამზრახველთან ერთად ცეცხლსასროლი იარაღით დაბრუნდა.

ფარუკისა და მალიქის სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 12 თვითნაკეთი ბომბი და ათასობით ვაზნა იპოვეს.

სან-ბერნარდინოს სოცუზრუნველყოფის ცენტრში ცეცხლსასროლი იარაღით მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა ყველაზე სისხლიანი ინციდენტია აშშ-ში 2012 წლის 14 დეკემბრის შემდეგ, როდესაც 20 წლის ადამ ლენზამ კონექტიკუტის შტატის ქალაქ ნიუტაუნის სკოლა „სენდი ჰუკში“ 26 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.

**მსგავსი შემთხვევები კოშმარული საფასურია, რომელსაც ამერიკა იხდის თავისი მოქალაქეების უფლებისთვის — უპრობლემოდ შეიძინონ და შეინახონ ცეცხლსასროლი იარაღი. ეს კი ქვეყანაში, სადაც მოსწავლეები ერთმანეთისთვის ტყვიას არ იშურებენ და სადაც ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანების ნასროლი ტყვიის მსხვერპლი პრეზიდენტებიც კი შეიძლება აღმოჩნდნენ, უკვე ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, მაგრამ ტრადიციების დაცვის ძალითა და „იარაღის ლობის“ გავლენით აშშ-ის ხელისუფლება ამის აღიარებას ვერ ახერხებს.**

აშშ-ის მოსახლეობა ამჟამად 319 მლნ კაცია და მათ ხელში 300 მლნ ერთეული იარაღია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ აშშ-ში ყოველწლიურად 300 ათასი დანაშაული ხდება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და 30 ათასი ადამიანი იღუპება — უფრო მეტი, ვიდრე აშშ-ის მიერ წარმოებულ ომებში.

მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ყველაზე გახმაურებული შემთხვევები აშშ-ში ბოლო 10 წლის განმავლობაში:



*** 2015 წლის 2 დეკემბერს საიდ ფარუკმა და ტეშფინ მალიკმა** სან-ბერნარდინოს (კალიფორნიის შტატი) სოციალური უზრუნველყოფის ცენტრის საკონფერენციო დარბაზში 14 ადამიანი მოკლეს, 17 — დაჭრეს.



*** 2015 წლის 17 ივნისს ქალაქ ჩარლსტონში** (სამხრეთი კაროლინის შტატი) 21 წლის **დილან სტორმ რუფმა,** რასობრივი სიძულვილით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა 9 აფროამერიკელი, რომლებიც ეკლესიაში ბიბლიის შესასწავლად მივიდნენ.



*** 2014 წლის 1 დეკემბერს 39 წლის ჯოდი ლი ჰანტმა** დასავლეთ ვირჯინიის შტატის ორ ოლქში — არლინგტონსა და მონონგალიაში — 4 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ კი თავი მოიკლა.



*** 2014 წლის 10 ივლისს ჰიუსტონში** (ტეხასის შტატი) 33 წლის რონ ლი ჰასკელმა თავისი ყოფილი ცოლის 4 შვილი (4, 6, 9 და 13 წლის) და ორი ნათესავი დახოცა.

პოლიციელებმა ჰასკელი შემთხვევის ადგილიდან 5 კმ-ის დაშორებით დააკავეს, როცა ის მიმალვას ცდილობდა. მკვლელს სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯეს.



*** 2014 წლის 24 მაისს კალიფორნიის შტატში, აილა ვისტას რაიონში, ჰოლივუდელი რეჟისორ პიტერ როჯერის 22 წლის ვაჟმა ელიოტ როჯერმა „ბეემ-ვე“-ს მარკის ავტომობილიდან ქუჩაში მიმავალ ადამიანებს ცეცხლი გაუხსნა.** 6 ადამიანი დაიღუპა, 7 — დაიჭრა. ინციდენტის წინა დღეს „იუთუბიზე“ განთავსდა ვიდეორგოლი სახელწოდებით „ელიოტ როჯერის“ შურისძიება, რომელშიც ახალგაზრდა ამბობდა, რომ ეს ვიდეო მისთვის უკანასკნელი იქნება, ხვალ კი „შურს იძიებს“ და „მოკლავს ნებისმიერ ადამიანს“, რომელიც აილა ვისტას ქუჩაში შეხვდება.




*** 2013 წლის 16 სექტემბერს ვაშინგტონ-ნეივი-იორდში** (ვაშინგტონი, კოლუმბიის შტატი), აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებისა და გემთმშენებლობის სარდლობის შტაბ-ბინაში 34 წლის **აარონ ალექსისმა** ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა ატეხა. დაიღუპა 12 ადამიანი, 10 — დაიჭრა. ბოროტმოქმედი პოლიციამ მოკლა.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 2009 წლის 3 აპრილს 41 წლის ჯივერლი ანტარეს ვონგმა** პისტოლეტებიდან ცეცხლი გაუხსნა ქალაქ ბინგჰემპტონის საიმიგრაციო ცენტრის (ნიუ იორკის შტატი) თანამშრომლებს. დაიღუპა 13 ადამიანი, 4 — დაიჭრა. მას შემდეგ, რაც პოლიციამ შენობის შტურმი დაიწყო, ვონგმა თავი მოიკლა. ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე ვონგმა ადგილობრივ ტელევიზიას გაუგზავნა წერილი, წერდა, რომ შური იძია აშშ-ში განცდილი შეურაცხყოფისთვის.




*** 2012 წლის 14 დეკემბერს 2 პისტოლეტითა და შაშხანით შეიარაღებულმა 20 წლის ადამ ლენზამ,** რომელიც აუტიზმის მსუბუქი ფორმით იყო დაავადებული, ჯერ დედა მოკლა, შემდეგ კი ქალაქ ნიუტაუნის (კონექტიკუტის შტატი) დაწყებით სკოლაში სროლა ატეხა. დაიღუპა 5-დან 10 წლამდე 20 ბავშვი და 6 ზრდასრული ადამიანი. ლენზამ თავი მოიკლა.



*** 2012 წლის 20 ივლისს ქალაქ ავრორას (კოლორადოს შტატი) კინოთეატრ „სენჩური 16"-ში პრემიერა ფილმისა „იდუმალი რაინდი: ლეგენდის აღორძინება" ტრაგედიით დასრულდა:** 24 წლის **ჯეიმს ჰოლმსმა** დარბაზში ცრემლმდენი აირის ყუმბარა შეაგდო და მაყურებელს შაშხანიდან ტყვიები დაუშინა. დაიღუპა 12 და დაიჭრა 58 ადამიანი.

ბოროტმოქმედი, რომელიც პოლიციამ დააკავა, თავს ბეტმენის მოსისხლე მტრად თვლიდა. 2015 წლის 16 ივლისს ჯეიმს ჰოლმსს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.



*** 2009 წლის 5 ნოემბერს სამხედრო ბაზა ფორტ-ჰუდში** (ტეხასის შტატი) სამედიცინო სამსახურის მაიორმა, ფსიქიატრმა **ნიდალ მალიქ ჰასანმა** (პალესტინური წარმოშობის ამერიკელი) მოკლა 13 და დაჭრა 29 თანამშრომელი, აგრეთვე, 2 სამოქალაქო პირი.

სასამართლო პროცესზე ჰასანმა განაცხადა, რომ დანაშაული რელიგიური პრინციპების გამო ჩაიდინა; ავღანეთსა და ერაყში ომს „მართალ საქმედ არ თვლიდა" და ცდილობდა, არა მხოლოდ აერიდებინა თავი ამ ომში მონაწილეობისთვია, არამედ დაეცვა ერთმორწმუნენიც.

ნიდალ მალიქ ჰასანს 2013 წელს სიკვდილი მიუსაჯეს.




*** 2007 წლის 16 აპრილს** შიზოფრენიით დაავადებულმა სამხრეთ კორეელმა სტუდენტმა, 23 წლის **ჩო სინ ხიმ** ვირჯინიის (ქალაქი ბლეკსბურგი, ვირჯინიის შტატი) პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელსა და სასწავლო კორპუსში 32 ადამიანი მოკლა, 25 კი — დაჭრა, შემდეგ კი თავი მოიკლა.







# კარიკატურისტის თვალით დანახული დასავლური დემოკრატია

**პოლიტიკური კარიკატურის გაზეთმა „შარჟ ი პერომ" („შარჟი და კალამი") დაიწყო ახალი პროექტი „შარჟ & LOVE", რომელსაც საფუძვლად დაედო მსოფლიოში ცნობილი კომიქსები „LOVE IS...".** გთავაზობთ ამ გამოცემის მიერ გავრცელებულ რამდენიმე კარიკატურას, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ასახავს.









გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მე კონფერენციებზე არასოდეს შევხვედრივარ უკეთესად წარმოდგენილ ადამიანს. საუკეთესოდ ინფორმირებული იყო ყველაფერზე, რაც საქმეს ეხებოდა. სტალინი გახლდათ წინდახედული, მაგრამ არა ზოზინა. ხმის ნაკლებად ამწევი, უცნაური, ირონიზებული იუმორის მიდრეკილების. უმშვიდესი დიქტატორი იყო მათ შორის, ვისაც ვიცნობდი. დიახაც, სტალინში იგრძნობოდა ძალა!“

# სტალინის დიპლომატია

**„იყო სტალინი, ჩემი წარმოდგენით, ძალიან ბევრს ნიშნავს მსოფლიოში. ის გენიალური ადამიანი გახლდათ... მასში თავმოყრილი იყო იულიუს კეისრის ჭკუა, მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭევრმეტყველების დამაჯერებლობა და აზრთა გადმოცემის სისხარტე, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა. მასში არიან ისინი“. გენიალური მხატვრის — პაბლო პიკასოს მხატვრულად ნათქვამ ამ ფრაზაში ზოგს შეიძლება ეჭვი შეეპაროს, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და მკვლევარები სრულად წარმოაჩენენ სტალინის როლსა და ადგილს კაცობრიობის ისტორიაში, მათ შორის დიპლომატიის სფეროში.**



სტალინის, მოლოტოვის, ჩერჩილის (ზურგით) და იდენის საუბარი

**მსოფლიოს ისტორიაში არავის და არასდროს (არც ნაპოლეონს, არც ბისმარკს და ა.შ.) ჰყოლია ისეთი დაზვერვა, როგორიც საბჭოთა კავშირს. საბჭოთა დაზვერვამ ბერიას ხელმძღვანელობით ისეთ წარმატებებს მიაღწია, როგორზეც ვერ იოცნებებდა ვერც ერთი ქვეყნის უშიშროების სამსახური**

ცნობილი ქართველი მეცნიერი, ლოს ანჯელესისა და ქუთაისის საპატიო მოქალაქე, პროფესორი **ლევან სვანაძე** თავის ახლაგამოცემული წიგნის — „სტალინის დიპლომატიის“ წინათქმაში მიუთითებს:

**„ყველაზე მეტად გასაკვირი ისაა, რომ ჩვენში (და არა მხოლოდ ჩვენში) ძალიან ცოტა ან კიდევ საერთოდ არაფერი იციან სტალინზე, როგორც დიპლომატზე, მის ჭეშმარიტად განსაცვიფრებელ უნარზე — საერთაშორისო ურთიერთობები თავისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების სასიკეთოდ წარემართა. ეს ყველაფერი იმდენად დაუჯერებელია დროგამოშვებით, რომ გეგონებათ, სათავგადასავლო კინოს სცენარზეა საუბარი“.**

მე ხშირად დამისვამს კითხვა, როგორც ტელეეკრანიდან, ისე პრესის ფურცლებიდან — რატომ არის სტალინი დიდი? ან რატომ არის სტალინი უბედურების სათავე და ცუდი? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: სტალინის სიდიადეზე მის მიერ შექმნილი ზესახელმწიფო და მისი გამარჯვებები მეტყველებს, მის სიცუდეზე კი არ არსებობს დოკუმენტური მასალა, გარდა ყურმოკრული ამბებისა მასობრივ ტერორსა და შიმშილზე.

ამდენად, **ბატონი ლევანის გაკვირვება, რომ საქართველოში სტალინის შესახებ არაფერი იციან, ხალხის ბრალი არ არის. ამ ამბავში ურევია ფარული მტრის ხელი, რომელიც გვისპობს ტრადიციას, ისტორიას, სარწმუნოებასა და მორალს.**

ბატონმა ლევან სვანაძემ შექმნა უკვდავი პოლიტიკური ლიტერატურა, რომელსაც იცნობს მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების სამეფო ოჯახები, პრეზიდენტები და პოლიტიკური ელიტა, რომელსაც ნახავთ დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის დიდ წიგნსაცავებში.

**ბატონი ლევან სვანაძის კალამს ეკუთვნის ენციკლოპედიური ნაშრომი ინგლისის ომის შემდგომ განვითარებაზე, აგრეთვე, ნაშრომები რუდოლფ ჰესის გადაფრენის საიდუმლოზე, უინსტონ ჩერჩილზე, მარგარეტ ტეტჩერზე, შარლ დე გოლზე, ადოლფ ჰიტლერზე, მუსოლინიზე, ნაპოლეონზე, უილიამ გლადსტონზე, ენტონი იდენსა და სხვებზე.**

ბოლოს, როდესაც თეთრმა გედმა მოიარა ყველა ზღვა და ოკეანე, ნახა ათასი ქვეყანა და მსოფლიოს გიგანტი პოლიტიკოსები, საქართველოსაც ეახლა და ბაზალეთის ტბაში შეცურა, ტბის ძირში დადგმული ოქროს აკვანი ნისკარტით ამოიღო, რომელშიც იწვა ყრმა, რომელსაც კაცობრიობა ელოდა მხსნელად და მფარველად (ილია ჭავჭავაძე).

აი, რას წერს და მღერის თავის ბოლო სიმღერაში (გედი მხოლოდ ერთხელ მღერის) უამრავი პოლიტიკური ბიოგრაფიის ავტორი:

„ისინი იყვნენ წინა საუკუნის გოლიათები, რომლებმაც, თავიანთი ბუმბერაზობის მიუხედავად, ოდნავაც ვერ დაჩრდილეს კაცი, რომელიც არატრადიციული დიპლომატიის სამყაროდან წამოიმართა და, ფაქტობრივად, ერთადერთმა შექმნა ისეთი იმპერია, რომლის ნგრევის შედეგებს ახლაც კი, ლამის საუკუნის შემდეგ, თავსა და ბოლოს ვერ აბამენ. **ეს სასწაულმოქმედი ადამიანი (სხვას ვერაფერს ვუწოდებთ) გახლდათ, ჩერჩილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „მეჩექმის შვილი“ (გორელი მეჩექმის შვილი — გრ. ონიანი) იოსებ სტალინი — კაცი, რომლის პირამიდის დანგრევას, აი, უკვე ნახევარი საუკუნეა, ვერ ახერხებენ მსოფლიოს ყველა ჯურის ძალები — პოლიტიკურ-მასონური წრეებით დაწყებული და რუსი ნაციონალისტებით დამთავრებული.** მათი შოვინისტური ცდები არც ისე წარმატებულია, რამეთუ იმდენად დიდი და ცემენტირებულია ეს პირამიდა, რომ თავისი შეჭიდულობით უფრო მტკიცე გამოდგა, ვიდრე ცნობილი ეგვიპტური პირამიდები ხეოფსის პირამიდის ჩათვლით“.

ავტორი წერს 1931 წელს კრემლში გამართულ შეხვედრაზე **ჯორჯ ბერნარდ შოუსა** და ლედი **ნენსი ასტორთან.**

„ნენსი ასტორი ინგლისის პარლამენტის პირველი ქალი დეპუტატი გახლდათ, დიდი პოლიტიკური და ინტელექტუალური წინაპრებით. ინგლისში მოპოვებული მასალების მიხედვით, ნენსი ასტორი პოლემიკაში ჩაბმულა სტალინთან. პირველივე საკითხში, რომელიც ინგლისში სოციალიზმის მშენებლობას ეხებოდა ლეიბორისტების აღორძინების შედეგად, სტალინმა მწარე დამარცხება აგემა ქალბატონ ნენსის.

დამარცხებულმა ნენსი ასტორმა უკან დახევას ისევ შეტევა ამჯობინა და სტალინს ურჩია, მიეწვია მასთან ინგლისის პრემიერმინისტრი **ლოიდ ჯორჯი.**

— რატომ უნდა მოვიწვიოთ იგი ჩვენს ქვეყანაში, როდესაც სწორედ ის ხელმძღვანელობდა ინტერვენციას ჩვენ წინააღმდეგ?

— ეს არ არის სწორი, — თავმომწონედ განაცხადა ნენსიმ, — ეგ იყო ჩერჩილი და არა ლოიდ ჯორჯი. იგი შეცდომაში სწორედ ჩერჩილმა შეიყვანა.

— ვერ დაგეთანხმებით... იმის ცოდნა არ იქნებოდა ურიგო, რომ მთავრობის მოქმედებაზე პასუხს აგებს არა მინისტრი, არამედ პრემიერმინისტრი. ლოიდ ჯორჯი მემარცხენე იყო, პასუხისმგებლობაც მას ეკისრებოდა, ჩვენ კი მოჩვენებით მეგობრებს აშკარა მტრებს ვამჯობინებთ.

ნენსი ასტორი მეორეჯერაც სასტიკად დამარცხდა. ეს მისთვის წარმოუდგენელი ტრაგედია იყო, მაგრამ თავი შეიკავა და სტალინს შემრიგებლური სიტყვა შეაგება, — იყოს ასეო და დასძინა, — ყოველ შემთხვევაში ჩერჩილის საქმე უკვე დამთავრებულიაო.

— ვერც მაგ შემთხვევაში დაგეთანხმებოდით. მე მწამს, რომ კრიტიკულ მომენტში (ესე იგი, თუ ახალი ომი დაიწყო) ინგლისელი ხალხი შეიძლება, კვლავ მოუბრუნდეს ამ ძველ მეომარ ცხენს, — უპასუხა სატალინმა“.

1940 წლის 10 მაისს ჩერჩილი პრემიერმინისტრი გახდა.

**ეს ყველაფერი სტალინმა 1931 წელს, თითქმის 10 წლით ადრე, თითქოს სარკიდან არეკლილი დაინახა.**

„ჩერჩილის „მეორე მსოფლიო ომის ისტორია“, რომელიც მემუარული ხასიათისაა, ინგლისურ ენაზეა დაწერილი და ეკუთვნის კაცობრიობას, როგორც ნიმუში სტალინის უდიდესი პოლიტიკური გამჭრიახობისა, მისი თავისებური სუპერმენობისა, რომელმაც 10 წლით ადრე ივარაუდა, რომ ჩერჩილი დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი გახდებოდა“, — ასკვნის წიგნის ავტორი ლევან სვანაძე.

სტალინმა მსოფლიოს პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის პირველი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი **ენტონი იდენი** მიიღო. ეს რევოლუციიდან 20 წლის შემდეგ მოხდა. ამ შეხვედრებზე იდენი თავის მოგონებებში წერს:

„როგორც კი კარი გაიღო, დავინახე იქ მდგომი დაბალი, ჩასკვნილი კაცი, რომელსაც თმები „ენპროსეს“ ყაიდაზე დაეყენებინა. ეცვა ტანსაცმელი, რომლის გარეშეც იშვიათად მინახავს, მაგრამ იდეალურად სუფთა და გაწკრიალგაპრიალებული. ეს შეხვედრა პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სტალინი დასავლეთის წარმომადგენელს იღებდა, რაც ჩემი ტურის ცენტრალური კოზირი გახლდათ. **სტალინმა პირველი შეხვედრისთანავე დამიპყრო. ეს ჩემი შეხედულება არასოდეს შერყეულა. მისი პიროვნება ყოველგვარი ძალდატანებისა თუ გადაჭარბების გარეშე ქმნიდა შთაბეჭდილებას. მას კარგი ბუნებრივი მანერები აქვს, შესაძლებელია — ქართული წარმოშობისა.** მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი მისი დაუნდობელი ხასიათის შესახებ, მაინც ყოველთვის პატივს ვცემდი სტალინის გონების მაღალ დონეს და, მიუხედავად დიდი სიმპათიისა, ვერასოდეს შევძელი მისი სრული ანალიზი. შესაძლებელია, ეს ხდებოდა მისი პრაგმატიზმის გამო. სრულიად არ იყო ძნელი იმისი გარკვევა, რომ თქვენ ესაუბრებოდით პარტიულ კაცს, რომელიც არასოდეს ახსენებდა კარლ მარქსს. ომის პროცესში, ჩერჩილთან ერთად თუ მარტო, ჩვენი არაერთგზის შეხვედრისას, ყოველთვის იძებნებოდა გამოსავალი დღის წესრიგის მძიმე ხასიათის მიუხედავად. **მე კონფერენციებზე არასოდეს შევხვედრივარ უკეთესად წარმოდგენილ ადამიანს. საუკეთესოდ ინფორმირებული იყო ყველაფერზე, რაც საქმეს ეხებოდა. სტალინი გახლდათ წინდახედული, მაგრამ არა ზოზინა. ხმის ნაკლებად ამწევი, უცნაური, ირონიზებული იუმორის მიდრეკილების. უმშვიდესი დიქტატორი იყო მათ შორის, ვისაც ვიცნობდი. დიახაც, სტალინში იგრძნობოდა ძალა!“**

სტალინმა იდენს ისიც უთხრა, რომ პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში ხანძრის მხოლოდ ერთი კერა არსებობდა გერმანიის სახით. 1931 წლის ნოემბერშიGგერმანია-იაპონიის ხელშეკრულების დადების შემდეგ ომის ორი კერა გაჩნდა — ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მათ მალე იტალიაც შეუერთდება, ამით წარმოიქმნება ღერძი სახელმწიფოები სამკუთხედით — ბერლინი-რომი-ტოკიო. ეს დაახლოებით ის პერიოდია, როდესაც სტალინი ფრიად მართებულ დასკვნებს აკეთებს საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში. და არის თუ არა ეს მსოფლიო დიპლომატიის ფენომენური ნიმუში? — სვამს კითხვას ბატონი ლევან სვანაძე.

წიგნის ავტორი იხილავს ლოიდ ჯორჯის მემუარებს, რომელსაც კითხულობდა მოქმედი პრემიერმინისტრი **სტენლი ბოლდუინი**, როდესაც მას მეგობარი ეწვია. მეგობარმა ჰკითხა პრემიერმინისტრს, რა წიგნს კითხულობო.

„— ეს ლოიდ ჯორჯის ახლახან გამოსული მემუარებია.

— სხვათა შორის, მეც შევიძინე ეს წიგნი. ისე, საინტერესოა, როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე?

პრემიერმა ღიმილით მიუგო მეგობარს: — ვიცოდი, რომ ომი ლოიდ ჯორჯმა მოიგო, მაგრამ აქამდე არ ვიცოდი, რომ მან ეს მხოლობით რიცხვში მარტოდმარტომ გააკეთაო“.

ამ ამბავზე ბატონი ლევანის კომენტარი ასეთია:

„ი. სტალინს კიდეც რომ დაეწერა მემუარები მეორე მსოფლიო ომზე, დაბეჯითებით გვწამს, რომ მსგავსს არაფერს მიიწერდა საკუთარ თავზე. არადა, ბოლო ხანს მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ საქმე დაახლოებით ასე უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ამას ჩვენ ნახევრად ხუმრობითაც ვამბობთ, თუმც მასში ჭეშმარიტების გარკვეული წილია“.

ბატონ ლევან სვანაძეს საფუძვლიანი ეჭვი აქვს გამოთქმული, რომ სტალინი უნდა ყოფილიყო დირიჟორი ჰიტლერის მიერ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მიმართ გამოვლენილი აგრესიისა, რომელმაც ერთგვარად გადაარჩინა არა მხოლოდ სსრკ, არამედ მსოფლიო და ევროპის ცივილიზაცია. რა აძლევს ამ ეჭვის საფუძველს წიგნის ავტორს?

საქმე ის არის, რომ ჰიტლერს „ბარბაროსას“ გეგმის განხორციელება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ადრე გაზაფხულიდან უნდა დაეწყო. სტალინი დარწმუნებული იყო ჰიტლერის მზაკვრულ განზრახვაში, მაგრამ დროის დეფიციტს განიცდიდა. 1940 წლის შემოდგომაზე სტალინმა ფინანსთა მინისტრ **ზვერევს** დაავალა, დაედგინა ევროპისა და აზიის ყველა ბაზარზე ცხვრის ტყავის ▶

# „ეს სასწაულმოქმედი ადამიანი (სხვას ვერაფერს ვუწოდებთ) გახლდათ, ჩერჩილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „მეჩექმის შვილი“ (გორელი მეჩექმის შვილი — გრ. ონიანი) იოსებ სტალინი — კაცი, რომლის პირამიდის დანგრევას, აი, უკვე ნახევარი საუკუნეა, ვერ ახერხებენ მსოფლიოს ყველა ჯურის ძალები — პოლიტიკურ-მასონური წრეებიდან დაწყებული და რუსი ნაციონალისტებით დამთავრებული“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ფასები სხვადასხვა პერიოდში. ზვერევმა არც კი იცოდა, რისთვის დასჭირდა სტალინს ცხვრის ტყავის ფასების დადგენა, მაგრამ, როდესაც მოპოვებული მასალა მიუტანა, სტალინმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ვერაგი. ზამთრის ომისთვის არ ემზადება (ე.ი. ჯარისკაცების ქურქებისათვის ცხვრის ტყავს არ აგროვებსო — გრ. ონიანი).

1941 წლის აპრილიდან იუგოსლავიის მიერ წამოწყებული ავანტიურა, რომელიც საბერძნეთის პრობლემებს მიება, ძნელად წარმოსადგენია, სხვა გამომწვევი მიზეზით ყოფილიყო შესრულებული, რამაც „ბარბაროსას“ გეგმის დაწყება 6 კვირით გადაუვადა ჰიტლერს.

**სამხედრო ექსპერტები მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად თვლიან ომის 6 კვირით გადავადებას, შედეგად მოსკოვის მისადგომებთან მისვლა ჰიტლერს სწორედ 6 კვირით დააგვიანდა და მთავარსარდალთან ერთად მოსკოვის დაცვაში გენერალი ზამთარშიც აქტიურად ჩაება.**

არავის შეეძლო ომის დაწყება გაეთვალა ისე, როგორც სტალინს. სწორედ ამას მიიჩნევს წიგნის ავტორი სტალინის პირველ დომინანტად და იქვე აღნიშნავს: „უპოვარ მორწმუნეს უფალი დახმარებას არ მოაკლებს“.

ომის დროს ჩერჩილის მორიდებულ შენიშვნას, — ყურად რომ გეღოთ ჩემი გაფრთხილება, ზარალი ნაკლები იქნებოდაო, სტალინმა უპასუხა, რომ არავითარი გაფრთხილება არ სჭირდებოდა, რადგან სწამდა, ჰიტლერი ისეთი სულელი არ იყო, შეტევა ზამთარში წამოეწყო და ომის საფრთხე 1942 წლის გაზაფხულისთვის ჰქონდა გადაწეული.

სტალინის უდიდეს ინფორმირებულობას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მიმდინარე პროცესებზე ბატონი ლევანი მიაწერს შემდეგ გარემოებას:

„მინდა, მკითხველს შევახსენო, რომ **მსოფლიოს ისტორიაში არავის და არასდროს (არც ნაპოლეონს, არც ბისმარკს და ა.შ.) ჰყოლია ისეთი დაზვერვა, როგორიც საბჭოთა კავშირს. საბჭოთა დაზვერვამ ბერიას ხელმძღვანელობით ისეთ წარმატებებს მიაღწია, როგორზეც ვერ იოცნებებდა ვერც ერთი ქვეყნის უშიშროების სამსახური.** მეტიც: გვინდა, ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ დასავლეთში წიგნებიც კი არის გამოცემული იმის მტკიცებულებით, რომ ომი შვეიცარიაში იქნა მოგებული. ამაში იგულისხმება იქ საბჭოთა რეზიდენტურის არსებობა („დორას ფსევდონიმით“), რომელიც უპრეცედენტოა მსოფლიო დაზვერვების ისტორიაში. ამ ჯგუფის მიერ მოწოდებული ცინცხალი ინფორმაცია ნაცისტი ხელმძღვანელის საქმიანობაზე ყოველდღიურად იდებოდა სტალინის მაგიდაზე. რაც მთავარია, ჰიტლერმა და ნაცისტურმა ხელმძღვანელობამ იცოდა ამ ინფორმაციის გადინებისა თუ გაჟონვის თაობაზე და რა ზომებს არ მიმართა, მაგრამ წყაროს ვერ მიაკვლია. ოფიციალურად იგი არც დღეს არის მიკვლეული და, ალბათ, არც მომავალში გაიხსნება, თუ არ მოხდა რაღაც შემთხვევა. ერთადერთი მეკავშირე, რომელიც ამ ჯგუფსა (ე. ი. „დორას“ ჯგუფის) და მაღალი დონის გერმანელ ინფორმატორს შორის მოქმედებდა, 1958 წელს გარდაიცვალა და თან წაიღო ეს საიდუმლო.

გვსურს, განვაცხადოთ, რომ ბოლო 30-40 წელია, ჩვენც ვიძიებთ ამ საკითხს. ინგლისსა და შეერთებული შტატებიდან ჩამოტანილი მასალების საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ ეს ინფორმატორი გახლდათ ძალზე მაღალი ჩინის გერმანელი ოფიცერი, არმიის გენერალი **ერიხ ფელგიბელი** — ვერმახტის კავშირგაბმულობის ძალების უფროსი და პასუხისმგებელი პირი ხელმძღვანელობის კონტაქტებისა პირადად ჰიტლერთან და „ეს-ეს“-ის თავკაცობასთან. ერიხ ფელგიბელი, ამასთანავე, იყო წევრი ჰიტლერის წინააღმდეგ გენერალთა შეთქმული ჯგუფისა, რომელმაც განახორციელა ფიურერზე თავდასხმა 1944 წლის 20 ივლისს, როდესაც პოლკოვნიკმა **კლაუს შტაუფენბერგმა** ბომბი დადო ჰიტლერის მაგიდის ქვეშ მის შტაბ-ბინაში — აღმოსავლეთ პრუსიაში (ვოლფშანცეში).

ბომბი აფეთქდა, დაიღუპა ბევრი დამსწრე, მაგრამ ჰიტლერი გადარჩა. დაიწყო რეპრესიები. არაოფიციალური ცნობით, დააპატიმრეს 7 ათასი ოფიცერი, მათ შორის სამი ფელდმარშალი. დაპატიმრებულთა შორის იყო ერიხ ფელგიბელიც, რომელიც ამ თათბირსაც ესწრებოდა. ვილაცამ გასცა იგი. როდესაც ჰიტლერის ყურს მისწვდა ეს ინფორმაცია, მან იგი დახვრიტა (8 აგვისტოს), ყოველგვარი სასამართლოს გარეშე. ჩვენი აზრით, ჰიტლერმა ეჭვი აიღო, რომ ინფორმაციის გადინება ფელგიბელის საშუალებით ხდებოდა, ამიტომაც არ დაელოდა საქმის გამოძიებას“.

„დიპლომატიის უდიდესი უნარისა და ინფორმირებულობის უმაღლეს დონეს წარმოადგენს 1940 წლის 27 სექტემბერს ტოკიოში იაპონიის, გერმანიისა და იტალიის მიერ გაფორმებული სამხედრო პაქტი. მომდევნო წლის 25 მარტს ვენაში ჩავიდნენ იუგოსლავიის პრემიერმინისტრი **დრაგიშა ცვეტკოვიჩი** და საგარეო საქმეთ მინისტრი



ბერნარდ შოუ (პირველ რიგში, მარჯვნივ) და ნენსი ასტორი საბჭოთა კავშირში

**ინფორმატორი გახლდათ ძალზე მაღალი ჩინის გერმანელი ოფიცერი, არმიის გენერალი ერიხ ფელგიბელი — ვერმახტის კავშირგაბმულობის ძალების უფროსი და პასუხისმგებელი პირი ხელმძღვანელობის კონტაქტებისა პირადად ჰიტლერთან და «ეს-ეს»-ის თავკაცობასთან**



ერიხ ფელგიბელი



ლევან სვანაძე

**ცინცარ-მარკოვიჩი**, რომლებმაც ხელი მოაწრეს სამთა კავშირთან შეერთებას.

28 მარტს, როდესაც ისინი უკან ბრუნდებოდნენ, საზღვრის გადაკვეთისთანავე დააპატიმრეს იუგოსლავიის უშიშროების ორგანოებმა. წინა დღეს ბელგრადში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა ავიაციის გენერალ **დუშან სიმოვიჩის** ხელმძღვანელობით, რომელიც ჩაუდგა კიდეც სათავეში ხელისუფლებას. 5 აპრილს კი, გადატრიალებიდან ერთი კვირის თავზე, პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. **კი მიხვდა ჰიტლერი, ვინ მოაწყო ანტიგერმანული გადატრიალება ბელგრადში, მაგრამ გვიანღა იყო, ამიტომ მისი ბრძანებით საბერძნეთის წინააღმდეგ მიმართულ ოპერატიულ გეგმა „მარიტას“ დაუმატეს იუგოსლავიაც და 6 აპრილს ორივე ქვეყნის წინააღმდეგ დაიწყეს საომარი მოქმედება“.**

**ასე გადაიდო „ბარბაროსას“ დაწყების თარიღი მთელი 6 კვირით, — აზუსტებს პროფესორი ლევან სვანაძე.**

ეს სტალინის პირველი დომინანტი გახლდათ. მეორე იყო 1941 წელს იაპონიასთან 5 წლის ვადით თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმება, რომლის ახსნა და გაგება ჯერ კიდევ ვერ შეძლო უამრავმა მეცნიერმა და მკვლევარმა. აი, როგორ აფასებს ბატონი ლევანი ამ ხელშეკრულებას.

„სტალინი გახლდათ პირველი თანასწორთა შორის, ის, უბრალოდ, შეუდარებელი და განუმეორებელი იყო. განა სხვას ამ რაკურსით დაუნახავს ან უთქვამს რამე? იგი ხომ უბრალო პაქტი არ იყო და, მით უმეტეს — თავდაუსხმელობის? ყურადღება იმასაც მიაქციეთ, რომ ხელშეკრულება 5 წლის ვადით გაფორმდა, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი ადრე თითქმის ეძიებდა თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას იაპონიასთან.

სასწაულის ტოლია ისიც, რომ **სტალინმა 1941 წელს იწინასწარმეტყველა, რომ ომი ევროპაში 1945-ში დამთავრდებოდა და მის ქვეყანას იურიდიული უფლება ექნებოდა, ცალმხრივად გაეუქმებინა ნეიტრალიტეტის პაქტი მე-4 წლის თავზე იაპონიის მხრიდან მისი შინაარსის დარღვევის შემთხვევაში.**

საბჭოთა კავშირმა ასეთი დარღვევები ნავარაუდევი 4 წლის განმავლობაში იაპონიას 100-ზე მეტი „უპოვა“, 1945 წლის აპრილში (ოთხი წლის თავზე), ცალმხრივად გააუქმა ნეიტრალიტეტის ეს პაქტი, ხოლო 9 აგვისტოს ომი გამოუცხადა მას. ასე რომ, არც სამართალი დაურღვევია და არც მორალური მხარე“.

თეირანში, იმის მიუხედავად, რომ კანადაში თითქოს და საბოლოოდ შეთანხმდა 1944 წლის 1 მაისისთვის მეორე ფრონტის გახსნა, ჩერჩილი კვლავ შეეცადა ამ თემის წამოწევას, რაც სტალინმა აღარ აპატია და პირდაპირ დაუსვა კითხვა:

— გინდათ თუ არა, გახსნათ მეორე ფრონტი?

კედელთან მიმწყვდეულმა ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა ოდნავ გასაგონად ამოილუღლუღა: „როგორ არა, მაგრამ ბალკანეთის ვარიანტი ხომ არ აჯობებდა“.

მატარებელი უკვე დაძრული იყო ბაქნიდან. ნაცისტური გერმანიის ბედი საბოლოოდ გადაწყდა. ევროპის სრული ბატონ-პატრონი სტალინი გახდა. ეს სტალინის მესამე დომინანტი იყო“.

ბატონი ლევან სვანაძე თავის წიგნს „სტალინის დიპლომატია“ ასე ამთავრებს:

**„ზემოხსენებულ სამ დომინანტს დაუმატეთ სხვა ორი პოსტულატიც და ჯამში მივიღებთ ვერტიკალს, რომლის წვერი კოსმოსში იქნება ატყორცნილი და მის თავზე სტალინის პორტრეტი წარმოიდგინება“.**

**«კი მიხვდა ჰიტლერი, ვინ მოაწყო ანტიგერმანული გადატრიალება ბელგრადში, მაგრამ გვიანღა იყო, ამიტომ მისი ბრძანებით საბერძნეთის წინააღმდეგ მიმართულ ოპერატიულ გეგმა «მარიტას» დაუმატეს იუგოსლავიაც და 6 აპრილს ორივე ქვეყნის წინააღმდეგ დაიწყეს საომარი მოქმედება». ასე გადაიდო «ბარბაროსას» დაწყების თარიღი მთელი 6 კვირით», — აზუსტებს პროფესორი ლევან სვანაძე**



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩერნოგორიის ნატოში შესვლა, ფაქტობრივად, დაასრულებს მასშტაბურ გეოპოლიტიკურ გეგმას. ატლანტიკისა და მეზობელი ხმელთაშუა ზღვის (რომელსაც თითქმის ოკეანეების თანასწორი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს) ევროპული სანაპირო მოკავშირეების ხელში აღმოჩნდება — ნორვეგიიდან თურქეთამდე.**



## «თუ ისინი გაძლიერდებიან, ჩვენამდეც მოაღწევენ, რათა დათესონ შიში და სიძულვილი, ააფეთქონ, მოკლან და აწამონ ადამიანები»

**რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსეთს ძირითადი საფრთხე ემუქრება სირიაში მყოფი „ბოევიკების“ მხრიდან, რომელთა შორის ბევრი რუსეთისა და დსთ-ის ქვეყნებიდანაა.**

„ისინი იღებენ ფულს, იარაღს, იკრებენ ძალებს და, თუ გაძლიერდებიან, ჩვენამდეც მოაღწევენ, რათა დათესონ შიში და სიძულვილი, ააფეთქონ, მოკლან და აწამონ ადამიანები. ჩვენ ვალდებულნი ვართ, შევხვდეთ და გავანადგუროთ ისინი, სწორედ ამ მიზანს ემსახურება საჰაერო ოპერაციის დაწყება სირიაში“, — განაცხადა პუტინმა.

მისივე თქმით, რუსი სამხედრო მოსამსახურეები, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნისა და რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის იბრძვიან.



## რუსი ჯაშუშის თავის მოკვეთის ვიდეო

**ტერორისტულმა ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“ რუსი ჯაშუშის სიკვდილით დასჯის ვიდეო გაავრცელა.**

უცნობი მამაკაცი დაჩოქილია. ვიდეორგოლის სახელწოდებაა „რუსებო, იმედგაცრუებული და დამცირებული იქნებით“. ტერორისტი პირობას დებს, რომ შურს იძიებს რუსებზე და დახოცავს ბავშვებს, ამის შემდეგ მამაკაცს ყელს ჭრის.

# ჩერნოგორია მალე ნატოში შევა?

**ახლახან ბრიუსელში ნატოს წევრი 28 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეკრებაზე ჩერნოგორია ალიანსში „მიიწვიეს“. ეს პატარა სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა სულ 650 000 კაცს ითვლის და რომელიც სერბეთს გამოეყო და 2006 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 29-ე წევრი გახდება (გაწევრების პროცესი, სავარაუდოდ, წელიწად-ნახევარს გაგრძელდება).**



## ჩერნოგორიის გაწევრებით ნატო და ევროკავშირი ევროპის ატლანტიკური და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მფლობელები გახდებიან

ამ პატარა სახელმწიფოს ნატოსკენ სწრაფვის მიზეზები გასაგებია (ეს ნაბიჯი განიხილება, როგორც ევროკავშირთან მიერთების წინაპირობა, ევროგაერთიანებას კი ჩერნოგორიამ თავისი კანდიდატურა უკვე წარუდგინა), მაგრამ გაურკვეველია, რატომ სურს ნატოს მისი მიღება. სავარაუდოდ, ისევე, როგორც ნებისმიერი ორგანიზმი, ნატოც მიისწრაფვის ზრდისაკენ. ამასთანავე, მან შეინარჩუნა იუგოსლავიის ომის პერიოდში გამომუშავებული რეფლექსი: არსებობს მოსაზრება, რომ რეგიონში მშვიდობისთვის საფრთხეს წარმოადგენს მხოლოდ სერბეთი, განსაკუთრებით, თუკი ის თავის ბედს რუსეთს დაუკავშირებს.

მიმდინარე მოვლენები მხოლოდ ხაზს უსვამს იმ იზოლაციას, რომელშიც სერბეთი იმყოფება (ეს ქვეყანა ალიანსის წევრი არ არის). ნატოცა და ევროკავშირიც ჩერნოგორიის მიმართ კეთილგანწყობილნი არიან, იმის მიუხედავად, რომ ქვეყანამ გადაუხვია დემოკრატიული გზიდან, მაღალია კორუფციის დონე და ბევრია ნაკლოვანება სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების მხრივ.

ბოლო 25 წლის განმავლობაში (რეკორდული მაჩვენებელი ევროპისთვის) ჩერნოგორიას ხელმძღვანელობს **მილო ჯუკანოვიჩი** — სერბი დიქტატორის სლობოდან მილოშევიჩის ყოფილი თანამებრძოლი, რომელთან ერთადაც მონაწილეობდა სამხედრო ეპოპეაში ხორვატიაში და ნაკლები დოზით — ბოსნიაშიც (მაგრამ დაშორდა მას 1999 წელს, კოსოვოში ნატოს ჩარევისას). ჯუკანოვიჩმა მეზობელ სერბეთთან კონფლიქტის გარეშე მოახერხა, ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მიეღწია.

მისი კლანის წარმომადგენლები, პირველ რიგში, და დაძმა ქვეყნის ყველაზე მდიდარი და გავლენიანი ადამიანების სიაში არიან. ჯუკანოვიჩმა, ფაქტობრივად, დაადუმა ოპოზიცია. ყველაზე მეტი მოხვდა ანტიკორუფციული ასოციაცია MANS-ის პრეზიდენტს — **ვანიე ჩელოვიჩს**, რომელიც შარშან ზოოფილიაში დაადანაშაულეს, მტკიცებულებად კი ყალბი ფოტო წარუდგინეს. პრემიერმა ჯუკანოვიჩმა საჭიროდ ჩათვალა, აღენიშნა, რომ აქტივისტს აკრიტიკებენ არა მისი საზოგადოებრივი საქმიანობის, არამედ „ამორალური ქმედებების“ გამო.

როგორც უნდა იყოს, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩერნოგორია წინ არ წავიდა. ევროკავშირელი და ნატოელი პარტნიორების ზეწოლით მან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზომები მიიღო. სამართალდამცავმა ორგანოებმა არცთუ დიდი ხნის წინათ საქმე აღძრეს სახელისუფლო პარტიის წევრების, ბარასა და ბუდვას მერების წინააღმდეგ, სადაც უძრავ ქონებასთან დაკავშირებით დიდი სკანდალები მოხდა. ოპოზიციის მცდელობებმა, გაეკრიტიკებინათ საარჩევნო ხმების ყიდვა ან მიეღწიათ საარჩევნო სისტემის რეფორმისთვის, შედეგი არ მოიტანა. ერთი თვის წინათ პოლიციამ მკაცრად დაარბია დემონსტრანტები, რომელთა შორის იყვნენ ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით გამოსული დეპუტატებიც.

თუკი ბოლო ათი წლის განმავლობაში ხელისუფლება ოპოზიციას პროსერბულს უწოდებდა, ახლა ის ჩაანაცვლეს ახალი იარლიყებით — პრორუსული და ანტინატოური. ამ პატარა სახელმწიფოს მოსახლეობას რუსეთის მიმართ ნამდვილად ტრადიციულად თბილი დამოკიდებულება აქვს. ამასთანავე, იმავე მოსახლეობის დამოკიდებულება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებაზე მკვეთრად გაყოფილია. ხალხი იხსენებს, როგორ დაეხმარნენ რუსი მეფეები პატარა სათავადოს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში XVIII და XIX საუკუნეებში. რაც შეეხება ჩრდილოეთში მცხოვრებ სერბებს, მათ ნატოს ვერ აპატიეს 1999 წლის დაბომბვები.

**რუსეთი, რომელსაც ჩერნოგორიასთან განვითარებული ეკონომიკური კავშირები აქვს, ამ სახელმწიფოს ნატოში მიწვევას „პროვოკაციას“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთით მორიგი გაფართოება მოსკოვისა და ალიანსის ურთიერთობებს დაარტყამს.**



ნატოს ჩერნოგორიის წევრად მიწვევის სერიოზული საბაბი ჰქონდა, ანუ მის სამხედრო უსაფრთხოებაზე, დამოუკიდებლობასა და საზღვრებზე პასუხისმგებლობის აღებისთვის. ეს საბაბი ადრიატიკის პატარა სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალი არ არის, რადგან ეს პოტენციალი ისე მცირეა, რომ მხოლოდ სიმბოლურად თუ გაზრდის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რესურსების მოცულობას. **ჩერნოგორიაში თავდაცვის ხარჯები (სამხედრო პოტენციალის საუკეთესო საზომი) წელიწადში, სულ რაღაც, 78,5 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, ანუ 134-ჯერ უფრო ნაკლებს, ვიდრე პოლონეთში (სტოკჰოლმის მსოფლიო პრობლემების კვლევის ცენტრის მონაცემები 2014 წლისთვის). მისი ნატოში მიწვევის მიზეზი ჩერნოგორიეს საზღვრებს სცილდება, ყოფილი უგოსლავიის, მთელი ბალკანეთისა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის საზღვრებსაც.**

მიზეზი გლობალურ გეოპოლიტიკასა და გეოსტრატეგიაში იმალება. **ჩერნოგორიის ნატოში შესვლა, ფაქტობრივად, დაასრულებს მასშტაბურ გეოპოლიტიკურ გეგმას. ატლანტიკისა და მეზობელი ხმელთაშუა ზღვის (რომელსაც თითქმის ოკეანეების თანასწორი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს) ევროპული სანაპირო მოკავშირეების ხელში აღმოჩნდება — ნორვეგიიდან თურქეთამდე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ჩრდილოეთის ზღვის ფრაგმენტი, მაგრამ შვედეთი კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით დასავლურ სამყაროს მიეკუთვნება, ევროკავშირის წევრია და სულ უფრო მეტად იხრება ნატოში გაწევრებისკენ, ხოლო ალიანსთან, უკვე დიდი ხანია, მჭიდროდ თანამშრომლობს.**

ბოსნიასა და ჰერცეგოვინას ადრიატიკის ზღვაში პატარა ყურე აქვს, მაგრამ მხოლოდ ხორვატიის ტერიტორიულ წყლებზე გავლის უფლებით, ეს წყლები კი,ფაქტობრივად, კეტავს ღია ზღვაში გასასვლელს. ახლო მომავალში ბოსნია და ჰერცეგოვინა ნატოსა და ევროკავშირში არ შევლენ. ევროპის ყველა კუნძულოვანი სახელმწიფო, რომლებიც ალიანსს არ ეკუთვნის, ევროკავშირის წევრია: ირლანდია ატლანტიკის ოკეანეში, მალტა და კვიპროსი ხმელთაშუა ზღვაში (გარდა ამისა, კვიპროსზე ბრიტანული და თურქული სამხედრო ბაზებია განთავსებული). ასე რომ, **ჩერნოგორიის გაწევრებით ნატო და ევროკავშირი ევროპის ატლანტიკური და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მფლობელები გახდებიან.**

wPolityce, Liberation

მოკლედ



## «ისლამური სახელმწიფო» ბრიტანეთში ტერაქტს გეგმავს

**„ისლამური სახელმწიფო“ გაერთიანებულ სამეფოში ტერაქტს გეგმავს. ვარაუდი ევროპის კონტრტერორისტული სამსახურებიდან ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ტერორიზმის საკითხების ანალიტიკოსმა პოლ კრუკშენკმა CNN-ის ეთერში გამოთქვა.** მისი განცხადებით, ბრიტანეთში დაბადებულ ჯიჰადისტებს, რომლებიც სირიაში გაემგზავრნენ, რათა ექსტრემისტების ჯგუფს შეერთებოდნენ, უკან დაბრუნება და პარიზის ტერაქტის მსგავსი თავდასხმის განხორციელება დაავალეს.

უსაფრთხოების ევროპულმა სააგენტოებმა დაზვერვის კონკრეტული მონაცემები მიიღეს, რომ დარტყმის შემდეგი ობიექტი ბრიტანეთია. რისკები კი მას შემდეგ გაიზარდა, რაც ქვეყნის პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ სირიაში საჰაერო იერიშების მიტანას დაუჭირა მხარი.



**რუსეთი აცხადებს, რომ გამოვლენილია „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ სირიიდან და ერაყიდან თურქეთში ნავთობის გადაზიდვის სამი მარშრუტი. დასავლურ მარშრუტს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე თურქულ პორტებამდე მივყავართ, ჩრდილოეთ მარშრუტს — თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ნავთობგადამამუშავებელ ქარხნამდე, ხოლო აღმოსავლეთ მარშრუტს — დასახლებულ პუნქტ ჯიზრაში მდებარე მსხვილ გამანაწილებელ ბაზამდე.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თურქეთის სანავთობო გარიგებები «ისლამურ სახელმწიფოსთან» და ბრძოლა ტერორის ფინანსების წინააღმდეგ

**რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა თურქეთ-სირიის საზღვრის ფოტოები, რომლებზეც ბენზინმზიდები და ავტოფურგონები ჩანს. გენშტაბი მიიჩნევს, რომ „ისლამური სახელმწიფო“ თურქეთს ყოველდღიურად 200 ათას ბარელ ნავთობს აწვდის.**



2 დეკემბერს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა ვიდეომასალა, რომელზეც ასახულია ნავთობის გადასაზიდი საავტომობილო ტექნიკის კოლონის მოძრაობა სირიისა და თურქეთის საზღვრის გავლით. როგორც რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბი ირწმუნება, ეს კადრები ამტკიცებს, რომ ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ აკონტროლებს სირიის რაიონებიდან თურქეთში ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებას. რუსეთის მონაცემებით, ამ გარიგებების შემოსავალს თურქეთის უმაღლესი ხელმძღვანელობა, მათ შორის პრეზიდენტი **რეჯეფ თაიფ ერდოღანი** და მისი ოჯახი იღებენ.

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის მოადგილემ **დიმიტრი რუდსკოიმ** მოსკოვში 2 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ვიდეოზე მშვენივრად ჩანს ავტოფურგონების მიერ საზღვრის დაუბრკოლებლად გადალახვა. რუდსკოიმ ხაზი გაუსვა, რომ ანალოგიური სურათია სხვა საზღვრისპირა რაიონებშიც.

რუსეთი აცხადებს, რომ გამოვლენილია „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ სირიიდან და ერაყიდან თურქეთში ნავთობის გადაზიდვის სამი მარშრუტი. დასავლურ მარშრუტს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე თურქულ პორტებამდე მივყავართ, ჩრდილოეთ მარშრუტს — თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ნავთობგადამამუშავებელ ქარხნამდე, ხოლო აღმოსავლეთ მარშრუტს — დასახლებულ პუნქტ ჯიზრაში მდებარე მსხვილ გამანაწილებელ ბაზამდე.

რუსეთის გენშტაბის მონაცემებით, სულ მცირე, 8,5 ათასი მანქანა დღეში 200 ათას ბარელამდე ნავთობის ტრანსპორტირებას ახორციელებს. როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროში დაითვალეს, ნავთობის არალეგალური გაყიდვიდან „ისლამური სახელმწიფოს“ შემოსავლები წელიწადში 2 მილიარდ დოლარს აღწევს.

სახსრები სირიაში ტერორისტებთან იარაღის, ტექნიკის შესყიდვის, დაქირავებულთა რეკრუტირებისთვის მიდის. ამის თაობაზე რუსეთის თავდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის ხელმძღვანელმა მიხაილ მიზინცევმა ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ნავთობპროდუქტების არალეგალური გაყიდვებიდან შემოსავლებს თურქეთის უმაღლესი ხელმძღვანელებიც იღებენ. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანატოლი ივანოვმა კი დასძინა, რომ თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი პირადად არის ჩართული მაქინაციებში, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ მიღებულ ნავთობს უკავშირდება.

**რუსეთის გენშტაბის მონაცემებით, სულ მცირე, 8,5 ათასი მანქანა დღეში 200 ათას ბარელამდე ნავთობის ტრანსპორტირებას ახორციელებს. როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროში დაითვალეს, ნავთობის არალეგალური გაყიდვიდან «ისლამური სახელმწიფოს» შემოსავლები წელიწადში 2 მილიარდ დოლარს აღწევს**

„ისლამური სახელმწიფოს“ ნავთობით დატვირთულ მანქანებს რომ დაუბრკოლებლად შეუძლიათ გადაადგილება თურქეთის ტერიტორიაზე, ბევრ რამეზე მეტყველებს. ერთი რამ ნათელია: ვისაც სურს ტერორზე გამარჯვება, მისი ფინანსური წყაროების ლიკვიდირება უნდა შეძლოს.

როგორ უნდა ებრძოლო ისლამურ ტერორს ისე, რომ არ შეილახოს უდანაშაულოთა ინტერესები? თუკი ტერორიზმს ფინანსურ ძალას გამოაცლიან, „ხალიფატი“ არ გაქრება, მაგრამ თუკი ტერორიზმის გლობალური ქსელი დაკარგავს დაფინანსების არსებით ნაწილს, ტერორისტები ნაკლებ იარაღს შეიძენენ, ნაკლებ ტერაქტებს განახორციელებენ, ნაკლებად გასწევენ პროპაგანდას.

გაურკვეველია, რატომ აქვს „ისლამურ სახელმწიფოს“ საშუალება, ინტერნეტში განათავსოს პროპაგანდისტული ფილმები, როცა უპილოტო საფრენ აპარატებს შეუძლიათ, სწრაფად მოუღონ ბოლო ამ ფილმებს?!

შეიძლება ისიც ვიკითხოთ, თუ რატომ მონაწილეობენ ევროპული ქვეყნები მძევლებთან დაკავშირებულ გარიგებებში, ან რატომაა, რომ ზოგიერთი არაბული, აფრიკული ან აზიური ქვეყანა არაფერს აკეთებს მონობის წინააღმდეგ.

დასავლეთმაც უნდა დაუსვას საკუთარ თავს უხერხული კითხვები: კიდევ შეიძლება იმის იგნორირება, როგორ კარგად აქვთ აწყობილი ბიზნესი იმ ქვეყნებს, რომლებიც მატერიალურ მხარდაჭერას უწევენ ტერორიზმს? საუდის არაბეთი ნოყიერ ნიადაგს ქმნის ტერორისათვის და ხელს უწყობს ექსტრემიზმის გაჩენას. ფედერალური სადაზვერვო სამსახური ამ ქვეყანას დესტაბილიზაციის ფაქტორად მიიჩნევს, მაგრამ საუდის არაბეთი რეგიონში აშშ-ის უმნიშვნელოვანესი მოკავშირეა. ის დასავლური თავდაცვითი კომპანიების მსხვილი კლიენტი და უდიდესი კონცერნების სასურველი ინვესტორია.

პოლიტიკოსებმა ეჭვქვეშ უნდა დააყენონ საბედისწერო კავშირი ფულსა და ტერორს შორის, მით უფრო, რომ არაბულ ნავთობზე დამოკიდებულება დღეს ნაკლებია, ვიდრე ადრე იყო. საერთაშორისო საზოგადოებამ შექმნა ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ფინანსური ზომების შემუშავების ჯგუფი, რათა მსოფლიო გათავისუფლდეს ტერორის დაფინანსების უბედურებისგან. საუდის არაბეთსა და ნიგერიას ამ ჯგუფის შემადგენლობაში შესვლა სურთ, მაგრამ არ ღირს, მგელს კრავი მივაბაროთ.

**Frankfurter Allgemeine Zeitung, Deutsche Welle**

# გუდბაი, ამერიკა! გუდბაი, ამერიკულო ოცნებავ!

**ოცნება რთულად განსახორციელებელი რამ არის, რაც მიწიერ სურვილებზე, მიზნებსა და მისწრაფებებზე მაღლა დგას. ეს არის რაღაც, რაც გარკვეულწილად გვეხმარება მიზნისკენ სწრაფვაში, მაგრამ შესაძლოა, ოცნება ბოლომდე არარეალიზებული დარჩეს. და, როდესაც ადამიანი ხვდება, რომ მის ოცნებას ახდენა არ უწერია, რაღაც მომენტში გამოიგონებს ახალ ოცნებას, უფრო რეალურს, მიწიერს და დაივიწყებს იმას, რაც ერთ დროს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესად მიაჩნდა. სწორედ ეს დაემართა ამერიკას და მის ამერიკულ ოცნებას...**



გაზეთმა The Washington Post-მა ჩაატარა კვლევა და გამოაქვეყნა გამოკითხვის შედეგები. 18-დან 34-წლამდე ასაკის მონაწილეებს უსვამდნენ შეკითხვებს, როგორ ესმოდათ ამერიკული ოცნება.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, აშშ-ის ნაციონალური იდეა დაასამარა 29%-მა (შედარებისთვის, ოცდაათი წლის განმავლობაში მათი რაოდენობა 12%-ით გაიზარდა. იმას, რომ იდეა მოკვდა, ეთანხმება ყოველი მესამე ახალგაზრდა მათგან, ვისაც უმაღლეს სკოლაში არ უსწავლია (წინა გამოკითხვაში ამ აზრს ყოველი მეხუთე იზიარებდა). როგორც გამოცემის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით მეტია იმედგაცრუება.

მათი რაოდენობა, ვინც გულმხურვალედ უჭერს მხარს ნაციონალურ იდეას, განახევრდა: 1986-ში ასეთი იყო 32%, ახლა კი 16%-ია. დანარჩენებმა განაცხადეს, რომ ოცნების განხორციელება გართულდა.

და ამერიკული ოცნება აღარ არის ის, რაც იყო: თუკი 1986-ში ამერიკელთა 80% აცხადებდა, რომ მათთვის მთავარი პოსტულატი იყო „თავისუფლება საკუთარი გზის არჩევაში“, 76% საკუთარ სახლზე ოცნებობდა, ხოლო 73% — შვილების კოლეჯში სწავლებაზე, ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა.

გზის არჩევაში არანაირ თავისუფლებაზე აღარაა საუბარი. ნუთუ ადამიანები შეეგუვნენ ყოფიერების გარდაუვალობას და იმას, რომ მათ ნაცვლად ყველაფერი უკვე დიდი ხნის წინათ გადაწყვიტეს, თუ მოსწონთ ზემოდან ვიღაცის მიერ მართვა და ამიტომაც გაცვალეს მორალური მატერიალურში?

მოკლედ, **ახლა ამერიკელთა 68% საკუთარ საქმეზე ოცნებობს, 67% — ბავშვებისთვის კოლეჯზე, 65% კი — კოლეჯზე თავისთვის.**

მაგრამ, როგორც გაზეთი აღნიშნავს, ყველაფერი არც ისე ცუდადაა. სიმდიდრის ძიება, როგორც ამერიკული ოცნების საკვანძო ელემენტი, ახალგაზრდებში მნიშვნელობას კარგავს. შესაძლოა, ილინოისის შტატის ხელისუფლებამ ამით ახსნას ის, რომ ლატარიაში გამარჯვებულს მოგებული ფული არ მისცა. დენი ჩასტინმა და მისმა მეგობარმა სიუზან რიკმა ივლისში შტატის ლატარიაში 250 ათასი დოლარი მოიგეს, მაგრამ თანხა ვერ მიიღეს, რადგან ილინოისში 25 ათასზე მეტ მოგებაზე მორატორიუმია დაწესებული. საქმე ისაა, რომ მთავრობამ ვერაფრით დაამტკიცა ბიუჯეტი, რომლის გამოც არავინ იცის, რისი ფული აქვს შტატს და რისი — არა. ლატარიის ორგანიზატორები ამბობენ, რომ შტატის ბიუჯეტზე არიან დამოკიდებულნი, ანუ ბილეთების გაყიდვა შეუძლიათ, მოგების გადახდა კი — არა, ან რა საჭიროა, „სიმდიდრე ხომ მთავარი არ არის“.

გამოკითხვის ავტორები დარწმუნებულნი არიან, რომ ამგვარი შედეგები, მათ შორის ფინანსური ნაწილიც, 2008 წლის ფინანსური კრიზისის შედეგებს უკავშირდება, რის გამოც ახლა 20 წლის ახალგაზრდისთვის რთულია სამუშაოს შოვნა.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ამერიკაში წარმოების შემცირება შეიძლება უმნიშვნელოდ ჩაითვალოს, მოქალაქეებს ამერიკული ოცნების ახდენა რეალური 30 წლის წინათ უფრო ეჩვენებოდათ.

ან რა ოცნებაზეა ახლა საუბარი, როდესაც თეთრი სახლის სურვილები საერთოდ არ ემთხვევა მოქალაქეებისას.

**cont.ws**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**23 სექტემბერს ევროკავშირის საგანგებო სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება ორი წლის განმავლობაში საბერძნეთსა და იტალიაში შესული 120 ათასი დევნილის ევროკავშირის 23 ქვეყანაში განსახლების თაობაზე, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. სად წაიყვანენ დანარჩენ ასიათასობით დევნილს, გაურკვეველია. მხოლოდ გერმანიამ იცის, რომ წლის ბოლომდე მილიონამდე მიგრანტ უნდა მიიღოს.**

# კომატოზური ევროპა

**მღელვარება, დაბნეულობა, უუნარობა, იმედგაცრუება — ამ სიტყვებით შეიძლება დახასიათდეს ის განწყობა, რომელიც ამჟამად ევროპაში სუფევს. ამ განწყობის გამოხატულებად იქცა ევროკომისიის თავმჯდომარის — ჟან-კლოდ იუნკერის აღიარება, რომ შენგენის შეთანხმება „კომაშია“.**




„კი, შენგენის სისტემა ხშირად ხვდებოდა კომატოზურ მდგომარეობაში. მაგრამ მათთვის, ვისაც ევროპის სჯერა, აუცილებელია, ეცადონ შენგენისთვის ახალი სიცოცხლის დაბრუნებას. თუკი შენგენი სამუდამოდ დაგვტოვებს და წავა ჩვენი გულებიდან, დავკარგავთ უფრო მეტს, ვიდრე შენგენის შეთანხმებაა. ერთიანი ვალუტა აზრს დაკარგავს, თუკი შენგენი მუშაობას შეწყვეტს“, — განაცხადა იუნკერმა რამდენიმე დღის წინათ ევროპარლამენტში გამოსვლისას.

**ის, რომ შენგენის ზონის შემთხვევაში „პაციენტი მკვდარი უფროა, ვიდრე ცოცხალი“, ევროპისთვის, უკვე დიდი ხანია, აღარ არის სიახლე. გამოცდილმა პოლიტიკოსმა, რომელიც, უკვე არაერთი წელია, სათავეში უდგას ევროჯგუფს, მხოლოდ ფაქტის კონსტატირება მოახდინა და გამოთქვა სუსტი იმედი კლინიკური სიკვდილის შემდეგ პაციენტის რეანიმირების შესაძლებლობაზე.**

1985 წელს შექმნილ შენგენის ზონაში ევროპის 26 სახელმწიფო შედის და მათი უმრავლესობა ევროკავშირის წევრია. მათ შორის დადებული შეთანხმება ითვალისწინებს სასაზღვრო კონტროლის გამარტივებას შიდა საზღვრებზე და თავშესაფრის მიცემის თაობაზე საერთო წესების დამყარებას.

ჯერ კიდევ აგვისტოში, როდესაც უკვე ნათლად იკვეთებოდა მიგრანტებთან დაკავშირებული კრიზისი, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა **თომას დე მეზიერმა** განაცხადა: „ჩვენ მხარს ვუჭერთ შენგენს... მაგრამ, თუკი კანონს არავინ იცავს, შენგენი საფრთხეშია“. დე მეზიერმა განმარტა: „მე თავისუფალი მიმოსვლის მომხრე ვარ, მაგრამ, თუკი ევროპის სხვა სახელმწიფოები არ იცავენ კანონს და დუბლინის სისტემა უკვე აღარ მუშაობს, მაშინ ჩვენ სხვა სისტემა გვჭირდება. საზღვრების დაუბრკოლებელი გადალახვა ვერ იარსებებს დევნილებისთვის თავშესაფრის მიცემის საკითხზე ევროპის ქვეყნების რეალური პოლიტიკის გარეშე“. დუბლინის შეთანხმების თანახმად, დევნილებმა თავშესაფრის მიღების მიზნით იმ ქვეყნის ხელისუფლებას უნდა მიმართონ, რომლის საზღვარიც გადაკვეთეს, მაგრამ ევროკავშირის წევრმა პერიფერიულმა ქვეყნებმა ამჯობინეს, მათთვის შემდგომი ტრანზიტის ნება მიეცათ, რომლითაც მიგრანტებმა სიხარულით ისარგებლეს, რათა შესულიყვნენ ევროპის ჩრდილოეთის მდიდარ ქვეყნებში, ძირითადად — გერმანიაში.

როდესაც 6 სექტემბერს გაზეთმა Frankfurter Allgemeine Sonntagszeitung-მა გაავრცელა ინფორმაცია, მეორე დღეს კი კანცლერმა მერკელმაც დაადასტურა, რომ ბერლინის საერთო დანახარჯები დევნილებზე 2015 წლისთვის დაახლოებით 10 მილიარდ ევროს შეადგენდა, გერმანიის უმაღლეს ეშელონებში კრიზისის ნიშნები გაჩნდა. ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მერკელის გადაწყვეტილება დევნილების ქვეყანაში შეშვების თაობაზე „ევროპისთვის არასწორი სიგნალია“. მისი პარტია მიიჩნევს, რომ აუცილებელია დევნილების შესვლის შეზღუდვა. ყველამ უნდა დაიცვას დუბლინის შეთანხმება.

**23 სექტემბერს ევროკავშირის საგანგებო სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება ორი წლის განმავლობაში საბერძნეთსა და იტალიაში შესული 120 ათასი დევნილის ევროკავშირის 23 ქვეყანაში განსახლების თაობაზე. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. სად წაიყვანენ დანარჩენ ასიათასობით დევნილს, გაურკვეველია. მხოლოდ გერმანიამ იცის, რომ წლის ბოლომდე მილიონამდე მიგრანტ უნდა მიიღოს.** ევროპული დიპლომატიის ხელმძღვანელის **ფედერიკა მოგერინის** თქმით კი, კრიზისი, საერთო ჯამში, 12 მილიონ ადამიანს შეეხება. „ჩვენ ვსაუბრობთ 40 ათასზე, ვსაუბრობთ 120 ათასზე. თუკი ამას დავუმატებთ სირიის მეზობელ ქვეყნებში მყოფ დევნილებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს, ვფიქრობ, საერთო ჯამში, 12 მილიონს მივიღებთ“, — განაცხადა მოგერინიმ.

ნოემბრის დასაწყისში ევროკავშირი დათანხმდა დაახლოებით 2 მილიარდი ევროს გამოყოფას აფრიკის ქვეყნებისთვის მიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო **24 ნოემბერს, სირიის ცაში თურქული სამხედრო საჰაერო ძალების მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებიდან რამდენიმე საათში, ევროკომისიამ საბოლოოდ დაადგინა თურქეთისთვის 3 მილიარდი ევროს გამოყოფა საკოორდინაციო მექანიზმების შესაქმნელად და თურქეთში „დევნილთა ყოველდღიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად“. გარდა ამისა, ბრიუსელმა დემონსტრაციულად მოინდომა ევროკავშირში თურქეთის გაწევრების თაობაზე უიმედო მოლაპარაკებების განახლება.**

**24 ნოემბერს, სირიის ცაში თურქული სამხედრო საჰაერო ძალების მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებიდან რამდენიმე საათში, ევროკომისიამ საბოლოოდ დაადგინა თურქეთისთვის 3 მილიარდი ევროს გამოყოფა საკოორდინაციო მექანიზმების შესაქმნელად და თურქეთში «დევნილთა ყოველდღიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად». გარდა ამისა, ბრიუსელმა დემონსტრაციულად მოინდომა ევროკავშირში თურქეთის გაწევრების თაობაზე უიმედო მოლაპარაკებების განახლება**




მაგრამ საეჭვოა, რომ ეს დაეხმაროს ევროპელებს მიგრაციული კრიზისის დაძლევაში, მით უფრო — ტერორიზმის მორიგ ამოფრქვევებთან გამკლავებაში. მიგრანტების ნაკადებთან ერთად ხომ იზრდება ევროპის ქვეყნებში შეღწეული რადიკალი-ექსტრემისტების რაოდენობაც და ახალჩასული მიგრანტების ჯიჰადის რიგებში გადაბირების საფრთხეც. გამოცემა The Lokal უსაფრთხოების სამსახურზე დაყრდნობით იტყობინება, რომ სექტემბრის განმავლობაში **გერმანიაში მყოფი სალაფიტების რაოდენობა 7,5 ათასიდან 7,9 ათასამდე გაიზარდა. ანალოგიური სურათია დევნილების მიმღებ სხვა ქვეყნებშიც.**

13 ნოემბერს პარიზში მეხი გავარდა: **საფრანგეთმა და „ალ ქაიდამ“ ვერ შეძლეს მშვიდობიანად გაეყოთ მალი. და რა გარანტიაა, რომ პარიზული ტრაგედია ნებისმიერ ევროპულ, და არამხოლოდ ევროპულ, დედაქალაქში არ განმეორდება? „ისლამურმა სახელმწიფომ“ ხომ თავისი მტრების სიაში 60 სახელმწიფო ჩაწერა, მათ შორის უკრაინაც, რომელიც ტერორისტებს გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით ამარაგებს.**

ახალ პირობებში ევროკავშირის როგორც დიდი, ასევე პატარა ქვეყნები, რომლებიც განსაკუთრებით არ ეყრდნობიან ბრიუსელის გადაწყვეტილებას, უსაფრთხოებისთვის ზომების მიღებას შეუდგნენ. **პატარა ქვეყნებს ეშინიათ, რომ დევნილთა მასები მათ მოსახლეობას შეერევიან და დაიკარგება ნაციონალურ-კულტურული იდენტობა, ხოლო დიდ ქვეყნებს მართვის შესუსტება და ქაოსის დამკვიდრება ადარდებთ ტერორიზმის საფრთხის ზრდის შემთხვევაში.**

ოქტომბრის ბოლოს უნგრეთმა დაასრულა ოთხმეტრიანი ღობის მშენებლობა სერბეთის საზღვარზე; სლოვენიამ 11 ნოემბერს ეკლიანი მავთული გააბა ხორვატიასთან საზღვარზე; მაკედონიამ ნოემბრის დასასრულს დაიწყო ლითონის ისეთივე ღობის მშენებლობა საბერძნეთთან საზღვარზე, როგორიც უკვე აქვს სერბეთისა და ხორვატიის საზღვრებზე; მაკედონიისა და სერბეთის ხელისუფლებებმა მიიღეს გადაწყვეტილება, საკუთარ ტერიტორიაზე გავლის უფლება მისცენ მხოლოდ სამი ქვეყნიდან — ერაყიდან, სირიიდან და ავღანეთიდან დევნილებს. **ევროპაში, როგორც ჩანს, დაავიწყდათ, რომ ჩინეთის დიდმა კედელმა, რომლის მშენებლობაშიც აღურიცხავი რაოდენობის სახსრები ჩაიდო, ვერავინ დაიცვა იმჟამინდელი მეომარი „მიგრანტებისგან“.**

კედლებისა და ღობეების მშენებლობის პარალელურად იხურება საზღვრები. სექტემბრის შუა პერიოდიდან ავსტრიიდან გერმანიაში წამსვლელებს საზღვართან მესაზღვრეები ელიან. ბავარიის ხელისუფლებაში კმაყოფილნი არიან: გერმანიის ყველაზე მდიდარი მიწა დაიცლება ყოველდღიურად რამდენიმე ათასი მიგრანტის მიღებით. „მოხარული ვარ, რომ ბავარიის თხოვნით სასაზღვრო კონტროლი შემოღებულ იქნა, — აღიარებს ბავარიის პრემიერ-მინისტრი ხორსტ ზეეჰოფერი, — ...ეს ძალზე მნიშვნელოვანი სიგნალია გერმანიისთვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც. ყოველთვის ვამბობდი, რომ სხვაგვარად გერმანია დევნილების ბანაკად იქცევა“.

შვედეთმა 12 ნოემბერს დანიასა და გერმანიასთან საზღვარი დააწესა. პარიზის ტრაგედიის შემდეგ საფრანგეთმაც ჩაკეტა საზღვრები. 17 ნოემბრიდან საზღვრების მოსალოდნელ ჩაკეტვაზე გამოცხადებულია სლოვენიასა და ავსტრიაშიც. ნორვეგიამ 26 ნოემბრიდან შენგენის ზონის სხვა ქვეყნებთან სასაზღვრო კონტროლი შემოიღო ჯერ მხოლოდ ათი დღით, მაგრამ შემდგომში გაგრძელების პერსპექტივით.

**„გაერთიანებული ევროპის“ ტიხრებად ქცეულ კედლებთან და საზღვრებთან დაკავშირებული „დომინოს ეფექტი,“ ფაქტობრივად, უკვე პარალიზებულს ხდის შენგენის ზონას. ბრიუსელში დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ეს გადამეტებული და დროებითი ზომებია, მაგრამ ყველას ესმის, რომ პროცესის საპირისპირო მიმართულებით შებრუნება რთული იქნება.** ევროჯგუფის თავმჯდომარე იერუნ დეისელბლუმი, აღიარებს რა, რომ დევნილების ჩასვლის ამგვარი დინამიკით შენგენის შენარჩუნება ვერ მოხერხდება, ევროპას სთავაზობს „მინი-შენგენს“ ნიდერლანდების, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, შვედეთის, ავსტრიისა და ბელგიის შემადგენლობით, მაგრამ ევროკავშირის პირველი და მეორე ხარისხის ქვეყნებად დაყოფა კავშირის დეზინტეგრაციისკენ მიმავალი პირდაპირი გზაა.

ბევრი ვარიანტი არ არის. შესაძლოა, ამჟამინდელი ელიტების ჩამნაცვლებელმა „ახალმა მემარჯვენეებმა“, რომლებიც მემარცხენე ფრონტზე გაგების მოპოვებას იწყებენ, კავშირი ჩვეულებრივი თავისუფალი ვაჭრობის ზონისკენ წაიყვანონ, განავრცონ აღმოსავლეთით, განამტკიცონ ნაციონალური სახელმწიფოების პოზიციები და შეწყვიტონ „დემოკრატიის“ ექსპორტი ცხელ წერტილებში. ამგვარი ვარიანტი აღნიშნავდა მარინ ლე პენის ცნობილი თეზისის ზეიმს: „პარიზში მეჩეთები შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მექაში კათოლიკური სამლოცველოები გაჩნდება“.

მეორე ვარიანტია, რომ ევროკავშირმა ნელ-ნელა ხრწნა დაიწყოს და საკუთარი ქვეყნების მოქალაქეებს ახალი ცვლილებები მოუტანოს. ათ ადამიანს ხომ ჯერ კიდევ შეუძლია ერთის ინტეგრირება, მაგრამ ერთი ვერ შეძლებს სხვა კულტურის მქონე ათი ადამიანის ინტეგრირებას. როდესაც საზღვრებს თავისუფლად კვეთს ასიათასობით ადამიანი, მიმღები ქვეყნისაგან დროთა განმავლობაში, შესაძლოა, მხოლოდ პარაგრაფიღა დარჩეს სასკოლო სახელმძღვანელოებში და ამგვარი რამ უკვე მომხდარა...

fondsk.ru

**ტრანსწყნარი ოკეანის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგაც კი მისი ტექსტი არ გამოქვეყნებულა, ხოლო ჟურნალისტების მიერ მოპოვებული დოკუმენტის ფრაგმენტები ცხადყოფს, რომ ეს შეთანხმება სულაც არ არის სავაჭრო. ის ითვალისწინებს ხელმომწერი ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნას (ანტიგლობალისტების აზრით, ეს „კორპორაციული გადატრიალებაა“). შეთანხმების 26 თავიდან მხოლოდ 2 უკავშირდება ვაჭრობას, დანარჩენი დიდი ნაწილი კი „ახალ უფლებებსა და პრივილეგიებს ანიჭებს გლობალურ კორპორაციებს“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ შეიძლება იქცეს ევროპა ამერიკის კოლონიურ პროვინციად

**დღეს ჩვენ თვალწინ იბადება ორი გლობალური კარტელი. გლობალური არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი პრეტენზიას აცხადებენ მსოფლიოს ყველა სასაქონლე ბაზრის კონტროლზე, არამედ იმიტომაც, რომ მათ გეგმებში შედის ტრანსნაციონალური კომპანიებისა და ტრანსნაციონალური ბანკების ძალაუფლების გავრცელება ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების ყველა მიმართულებაზე — ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, ინფორმაციაზე, მედიცინაზე, განათლებაზე. ფაქტობრივად, ეს არის იმ კონსტრუქციის ელემენტები, რომელსაც განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშეც შეიძლება ვუწოდოთ „მსოფლიო მმართველობის“ ძალაუფლების მექანიზმი.**



## ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში გაჩნდა საზოგადოებრივი მოძრაობა STOP TTIP («შეჩერდეს ტრანსატლანტიკური პარტნიორობა»). ევროკავშირის 23 ქვეყანაში ამ შეთანხმების წინააღმდეგ 3,2 მილიონი ხელმოწერა შეგროვდა




ორი კარტელიდან ერთ-ერთს ჰქვია ტრანსწყნარი ოკეანის პარტნიორობა, ხოლო მეორეს — ტრანსატლანტიკური პარტნიორობა. წყნარი ოკეანის პარტნიორობაში, რომლის შესახებაც შეთანხმება მიღწეულ იქნა 2015 წლის 5 ოქტომბერს ატლანტაში (აშშ), გაერთიანებულია 12 ქვეყანა (აშშ, იაპონია, მალაიზია, ვიეტნამი, სინგაპური, ბრუნეი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, მექსიკა, ჩილი და პერუ). ახლა რიგში დგას შეთანხმება ტრანსატლანტიკური პარტნიორობის თაობაზე, რომლის სრული სახელწოდებაა ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობა.

**ორივე გაერთიანების თავისებურება ისაა, რომ მათ შესახებ შეთანხმების დამუშავება მიმდინარეობდა (მეორეზე ამჟამადაც მიმდინარეობს) მკაცრი გასაიდუმლოების რეჟიმში.** შეთანხმებების მომზადების ინიციატორები და მონაწილენი არიან უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიები და ტრანსნაციონალური ბანკები. დოზირებული ინფორმაცია, რომელიც მედიასაშუალებებში მიდის, აუდიტორიას უქმნის მცდარ შთაბეჭდილებას, რომ შეთანხმებათა მთავარი საგანია საერთაშორისო ვაჭრობა, მთავარი მიზანი კი — მისი ლიბერალიზაცია საბაჟო გადასახადების შემცირებისა და არასატარიფო ბარიერების ლიკვიდაციის გზით. სინამდვილეში ეს ასე არ არის.

ტრანსწყნარი ოკეანის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგაც კი მისი ტექსტი არ გამოქვეყნებულა, ხოლო ჟურნალისტების მიერ მოპოვებული დოკუმენტის ფრაგმენტები ცხადყოფს, რომ ეს შეთანხმება სულაც არ არის სავაჭრო. ის ითვალისწინებს ხელმომწერი ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნას (ანტიგლობალისტების აზრით, ეს „კორპორაციული გადატრიალებაა“). შეთანხმების 26 თავიდან მხოლოდ 2 უკავშირდება ვაჭრობას, დანარჩენი დიდი ნაწილი კი „ახალ უფლებებსა და პრივილეგიებს ანიჭებს გლობალურ კორპორაციებს“. ამასთან, ტრანსწყნარი ოკეანის შეთანხმებასთან დაკავშირებით თამაში ჯერ არ დასრულებულა: ატლანტაში ხელმოწერილი დოკუმენტი რატიფიცირებულ უნდა იქნეს 12 ქვეყნის პარლამენტებში, ამ ეზოთერულ დოკუმენტს კი მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს.

პარალელურად ფორსირებულ რეჟიმში მიმდინარეობს ტრანსატლანტიკური პარტნიორობის შეთანხმების დამუშავება. აშშ-მა და ევროკავშირმა ამ თემაზე მორიგი რაუნდი 2016 წლის დასაწყისშივე უნდა გამართონ. მოლაპარაკებების მთელი პროცესის დასრულებას მხარეები ბარაკ ობამას საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე გეგმავენ. ეს იქნება ისტორიაში უდიდეში შეთანხმება, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური წარმოების დაახლოებით 60%-ს დააკავშირებს და თავისუფალი ვაჭრობის დერეფანს შექმნის ჰავაიდან ლიტვამდე. როგორც მედია ხსნის ტრანსატლანტიკური პარტნიორობის არსს, ფულის პატრონთა მიერ გაკონტროლებული პარტნიორობა მოწოდებულია ტარიფების შესამცირებლად და ბარიერების მოსახსნელად ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ს შორის ბიზნესებსა და ორ ეკონომიკურ სივრცეში კომპანიების მიმართ მოთხოვნების შედარებით უნივერსალურად ჩამოყალიბების მიზნით.

ტრანსატლანტიკური პარტნიორობის, ისევე, როგორც ტრანსწყნარი ოკეანის პარტნიორობის შემუშავებისა და განვითარების, კოორდინაცია დაიკისრა აშშ-მა, უფრო სწორად, თეთრმა სახლმა და აშშ-ის ხელისუფლებამ, ხოლო ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილების მიზნით აშშ-ის კონგრესი ყოველი შემთხვევისთვის განზე გაწიეს.

ამ შეთანხმების თაობაზე ევროპის საზოგადოება ბოლო ორი წლის განმავლობაში სერიოზულ შეშფოთებას გამოხატავს. საუბარი იმაზეც კი არაა, რომ შეთანხმების ხელმოწერა სავაჭრო ბალანსს აშშ-ის სასარგებლოდ შეცვლის და ევროპისთვის ეკონომიკურ დანაკარგებს მოიტანს. არსებობს სხვა მრავალი საფრთხეც.

მაგალითად, **საფრთხე ევროპელების ჯანმრთელობისათვის, რადგან ევროპას თავს მოახვევენ უკიდურესად ლიბერალურ ევროპულ სტანდარტებს ეკოლოგიისა და საკვების უსაფრთხოების სფეროებში.** აშშ-სა და ევროპაში განსხვავებულია სამომხმარებლო საქონლის წარმოებაში სხვადასხვა ქიმიური შენაერთების დაშვების ნორმები: აშშ-ში დაშვებულია ყველა იმ ნივთიერების გამოყენება, რომელთა მავნებლობაც ჯერ დამტკიცებული არ არის, ევროპაში კი ჯერ საჭიროა დამტკიცდეს ამა თუ იმ ნივთიერების უვნებლობა და მხოლოდ ამის შემდეგაა ნებადართული მისი გამოყენება. ამერიკელ ფერმერებს შეუძლიათ ევროპაში აკრძალული ჰორმონებისა და პესტიციდების გამოყენება; ევროპაში აკრძალულია ათასზე მეტი ნივთიერების გამოყენება კოსმეტიკაში, აშშ-ში — მხოლოდ რამდენიმე ათეულის და ა. შ.

მთავარი საფრთხე კი არის ის, რომ ტრანსატლანტიკური ალიანსი ევროპის დემოკრატიის ნარჩენებსაც მოუღებს ბოლოს. ტრანსნაციონალური კომპანიები შეძლებენ სასამართლოებში საკუთარი ინტერესების დაცვას, მიაღწევენ თვით სახელმწიფო კანონების გაუქმებასაც კი, თუკი ეს კანონები „კონკურენციის პირობებს“ აუარესებენ. ევროპულმა ინტეგრაციამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ისედაც წაართვა ნაციონალური სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ზენაციონალური სტრუქტურების სასარგებლოდ. ტრანსატლანტიკური ინტეგრაცია აღნიშნავს, რომ ევროპის ქვეყნების სუვერენიტეტის უკანასკნელი ნარჩენებიც ვაშინგტონში ან ნიუ იორკში მდებარე ზენაციონალურ ცენტრს გადაეცემა. ევროპა ახალი მსოფლიოს კოლონიურ პროვინციად იქცევა.

2015 წლის 11 ოქტომბერს ბერლინში ჩატარდა დიდი დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმაც — გერმანიის ყველა კუთხიდან ჩასულმა ადამიანებმა — მტკიცე „არა“ უთხრეს ტრანსატლანტიკური პარტნიორობის შეთანხმებას. პოლიციამ, რომელიც, როგორც წესი, ამცირებს რეალურ ციფრებს მასობრივი აქციების შემთხვევაში, ამჯერად გამოაცხადა, რომ მონაწილეთა რაოდენობა 150 000-ს შეადგენდა. აქციის ორგანიზატორები კი მილიონის მეოთხედზე საუბრობენ. დემონსტრაციაზე წარმოდგენილი ტრანსფარანტების უმეტესობით ხალხი ხელისუფლებას მოუწოდებდა, შეინარჩუნონ დემოკრატია და არ გადასცენ ხელისუფლება კორპორაციებს, პირველ რიგში, — ამერიკულ კორპორაციებს.

**ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში გაჩნდა საზოგადოებრივი მოძრაობა STOP TTIP („შეჩერდეს ტრანსატლანტიკური პარტნიორობა“). ევროკავშირის 23 ქვეყანაში ამ შეთანხმების წინააღმდეგ 3,2 მილიონი ხელმოწერა შეგროვდა.** ევროკავშირის მილიონ მოქალაქეს, რომლებიც შვიდ სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, შეუძლიათ ამა თუ იმ წინადადებით მიმართონ ევროკომისიას. ზემოხსენებული ხელმოწერები უკვე გადაეცა ევროკომისიას.

ეს უკანასკნელი უარს აცხადებდა საზოგადოების მოთხოვნის მიღებაზე, რადგან, მისი ლოგიკით, ტრანსატლანტიკური პარტნიორობა არა საკანონმდებლო, არამედ „ინსტიტუციათშორისი“ აქტია. მაშინ საზოგადოების მხრიდან შემდეგი ნაბიჯი გადაიდგა: აქტივისტებმა ევროპარლამენტის ხელმძღვანელ მარტინ შულცს გადასცეს პეტიცია, ევროპული საზოგადოების მასობრივ პროტესტთან დაკავშირებით ჩატარდეს საკითხის მოსმენა. ევროპარლამენტის მხრიდან პასუხი ჯერ კიდევ არ ისმის.

ამასთანავე, ტრანსატლანტიკური ალიანსის წინააღმდეგ პროტესტი სხვა დონეზეც გაჩნდა. გერმანიის ხელისუფლებამ ვაშინგტონში ელჩს დაავალა, საპროტესტო ნოტა გადასცეს აშშ-სა და ევროკავშირს შორის ტრანსატლანტიკური პარტნიორობის თაობაზე მოლაპარაკებებში აშშ-ის ოფიციალურ წარმომადგენელს, რადგან ამერიკული მხარე უარს აცხადებს გერმანელი პარლამენტარებისთვის შესაბამის დოკუმენტებთან წვდომის დაშვებაზე.

მოსალოდნელია, რომ ამ შეთანხმების წინააღმდეგ ევროპელების ბრძოლა უახლოეს თვეებში გაძლიერდება. ფსონზე ევროპული დემოკრატიის ნარჩენები დევს.

**fondsk.ru**



## დიდმა ბრიტანეთმა სირიაში საჰაერო შეტევა დაიწყო

**გაერთიანებულმა სამეფომ „ისლამურ სახელმწიფოზე“ პირველი საჰაერო შეტევა განახორციელა.**

ქვეყნის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ სირიაში „ტორნადოს“ ტიპის თვითმფრინავები გაუშვეს. ოთხი „ტორნადო“ კვიპროსში მდებარე სამხედრო ბაზიდან მას შემდეგ აფრინდა, რაც ქვეყნის პარლამენტის წევრები დაბომბვაზე შეთანხმდნენ. ავიაშეტევების ექვსი სამიზნე აღმოსავლეთ სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლს დაქვემდებარებულ ნავთობის საბადოზე იყო. გაერთიანებული სამეფოს მიერ სირიაში საჰაერო ოპერაციის დაწყებას ათსაათიანი მსჯელობის შემდეგ ქვეყნის პარლამენტის 397-მა წევრმა დაუჭირა მხარი 223 დეპუტატის წინააღმდეგ.



## აშშ ერაყში სპეცრაზმელებს გზავნის

**როგორც აშშ-ის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ეშტონ კარტერმა განაცხადა, ქვედანაყოფი სირიის ტერიტორიაზე მოქმედი ისლამისტების წინააღმდეგ ოპერაციებს ჩაატარებს.**

ამერიკელი სპეცრაზმელების ამოცანა რეიდების ჩატარება, ტყვეების გათავისუფლება და „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერების დაკავება გახდება. სააგენტო „დოიჩე ველე“ წერს, რომ ვაშინგტონის ამ გადაწყვეტილებას ერაყში მწვავე რეაქცია მოჰყვა. პრემიერმინისტრმა ჰაიდერ ალ-აბადიმ განაცხადა, რომ ერაყს უცხო ქვეყნის სახმელეთო ჯარები არ სჭირდება, ხოლო ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური შეიარაღებული ძალების განლაგება ან მათი მხრიდან სამხედრო ოპერაციების ჩატარება ოფიციალური ბაღდადის თანხმობის გარეშე დაუშვებელია. თავის მხრივ, ერაყში მოქმედმა შიიტურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, ამერიკული სპეცდანიშნულების ძალების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყონ.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ისლამური სახელმწიფოს“ ევროპასთან დამოკიდებულებას თუ გავაანალიზებთ, სწრაფვა ევროპისკენ საფრთხეს უქმნის საქართველოს და ჩვენი დაცვა რეალურად მხოლოდ რუსეთს შეუძლია, ჩვენი მთავარი მოკავშირეც რუსეთი უნდა იყოს, მაგრამ იგი ვალდებული არ არის, საქართველოს ჩასვრილ ხელისუფლებას ამერიკის გამოგზავნილი პამპერსები უცვალოს!**

# დასავლეთის დირექტივების შესრულებით ქართულ სუვერენულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ

> „ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
> როს მასა შვილის მის ბედკრულება?
> რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
> რის მეოხებით მისით თვით ჰრჩება“?
> ილია




**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველმა, გურჯაანელმა მეურნემ მერაბ ზურაბაშვილმა შეხვედრა მთხოვა და ქვეყნის ჭირ-ვარამზე მესაუბრა, რომ შარშან რუსეთმა შეისყიდა ყურძენი ჩვენთვის ხელსაყრელ ფასად და გლეხებმა ვენახების გაშენება დაიწყეს. წელს ხარჯი და ანაზღაურება გათანაბრდა და ვენახის გაშენებამ აზრი დაკარგა. თუ რუსეთი ჩვენს პროდუქტს შეისყიდის, ჩვენი ოჯახები წელში გაიმართება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, საქართველო უნდა გაძლიერდეს, საწარმოები უნდა გაიხსნას და ხალხი დასაქმდესო.**

კახელ მეურნეს გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ გზამკვლევად გაუხდია, ერეკლე მეფის ანდერძი გულში ღრმად ჩაუმარხავს, ილიას სიბრძნე სანთლად აუნთია და თანამოაზრეებს ეძებს — რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება ქვეყნის გადარჩენის წინაპირობად მიაჩნია. მისი თქმით, რუსეთმა წელს ყურძნის შესყიდვაზე უარი საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნის გამო თქვა. პოლიტიკური გზა, რომელიც ხელისუფლებამ აირჩია, ადამიანს ღირსებას აკარგვინებს და, თუ ასე გაგრძელდა, წინაპრებთანაც შერცხვენილნი წარვდგებით და მომავალ თაობასთანაც თავს ვერაფრით გავიმართლებთო, — დასძინა ბატონმა მერაბმა. ბოლოს ილიას „აჩრდილიდან“ ნაწყვეტი ზეპირად წამიკითხა და ენთუზიაზმით დამემშვიდობა.

ბატონო ბიძინა, ხედავთ განსხვავებას თქვენ მიერ შერჩეული „ღირსეული ხადურების“ ფერმის წარმომადგენელთა და ქართველი მამულიშვილის აზროვნებას შორის? — მხოლოდ მე არა, საქართველო უნდა გავაძლიეროთ და წინაპრებთან პირნათელი წარვდგეთო! სწორედ ასეთი აზროვნების მამულიშვილთა ერთობლიობა გადაარჩენს საქართველოს და არა დასავლეთის ინტერესების გატარება ქვეყანაში. **სუვერენული სახელმწიფოს მმართველობის სისტემა უნდა ეყრდნობოდეს ეროვნულ იდეოლოგიას და არა ევროამერიკულს, ხოლო ნებისმიერი გადახრა ამ იდეოლოგიიდან უნდა ითვლებოდეს დანაშაულად და არა სიტყვის თავისუფლებად.** დასავლეთმა თავისი ინტერესების გასამყარებლად შემოიტანა ქართული ლექსიკისთვის სრულიად უცხო ტერმინები – **„ფობიები“** თუ **„ჰომოები“**, რომლებსაც ქართველი ლიბერალ-დემოკრატები თავმომწონედ იმეორებენ და თავი ევროპულად „განსწავლულებად“ მიაჩნიათ. სინამდვილეში **იმას, რასაც დასავლეთი ჰომოფობიას უწოდებს, თვითონ დასავლელთა ფსიქიკასა და აზროვნებაში აქვს ფესვი გადგმული. ეს ერთუჯრედიანი პრიმიტივები ინდივიდებს სიძულვილის ენით საუბარს აბრალებენ, ხოლო თვითონ სიძულვილით აზროვნებენ.** ეს სიძულვილი შენიღბულია ადამიანის უფლებებისა თუ გამოხატვის თავისუფლებით, სინამდვილეში კი დასავლეთი ცდილობს, საკუთარ ინტერესებს დაუმონოს სხვა ქვეყნები. **გლობალისტები განსაკუთრებით ებრძვიან ეროვნულ ქვეყნებს. ცდილობენ, ხელიდან არ გაექცეთ ქვეყნის მართვის სადავეები. მათ მხოლოდ ჩვენი გეოპოლიტიკური სივრცე სჭირდებათ რუსეთის სახელმწიფოებრიობის შესასუსტებლად. სისტემა, რომელიც 1990-91 წლებში თავს მოგვახვიეს, ჩვენთვის დამღუპველი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ დაგვიმონეს და დაგვაკაბალეს, გვიწესებენ თავიანთ ღირებულებებს, რათა მათი კანონებით ვიცხოვროთ, ხოლო ჩვენს ხელისუფლებას, არათუ პოლიტიკური, კაცური ღირსებაც არ აქვს, ამას შეეწინააღმდეგოს.** საინტერესოა, თუ გამოიყენებს საქართველოს ხელისუფლება რუსეთ-თურქეთის კონფლიქტს იმისათვის, რომ რუსეთის ბაზარზე თურქული პროდუქტი ჩაანაცვლოს. სამწუხაროდ, **ეს ის ხელისუფლება არ არის, რუსეთს რომ დაელაპარაკება, ეს ის ხელისუფლებაა დასავლეთს უკანალს რომ უთამაშებს.**

## ეს ის ხელისუფლება არ არის, რუსეთს რომ დაელაპარაკება, ეს ის ხელისუფლებაა, დასავლეთს უკანალს რომ უთამაშებს

ხშირად ამბობენ, ივანიშვილს თუ ღარიბაშვილს ქართული სული აქვთო. მჯერა, რომ ასეა, მაგრამ ვის სჭირდება ისეთი სულიერება, რომელიც ქართულ სინამდვილეში ასახვას ვერ ჰპოვებს?! ერთი გენიალური ქართული ფილმის პერსონაჟისა არ იყოს — **რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძართან არ მიდის?**

**ხელისუფლებას აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანაც ვერ მოუხერხებია, მხოლოდ დააანონსა, მაშინ, როცა გამგებლის მოადგილეებზე 535 ათასია დახარჯული პრემიების სახით. თუ პრემიები 31 მილიონით შემცირდა, სამაგიეროდ, 51 მილიონით გაიზარდა სახელფასო დანამატები, 2016 წელს 57 მილიონით მოიმატებს სამთავრობო ხარჯები, პენსია კი — მხოლოდ 20 ლარით.** არ არსებობს კანონი ხელფასების შესახებ, რომ ანაზღაურება მხოლოდ მინიმალურის ზრდის პროპორციულად უნდა ხდებოდეს და არა პიროვნული ინიციატივით. ექსპრემიერის აზრით, მთავრობამ ყურად უნდა იღოს ევროსაბჭოსა და დიპლომატიური კორპუსის უმეცარი განცხადებებიც, რომლებმაც სოციალურ ქსელში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ვის სჭირდება ეს? ვაქოთ და ვადიდოთ იმის მიუხედავად, რომ სისულელეს ამბობენ? მსგავს შემთხვევებს ევროპელი მწერალი ასეთ შეფასებას აძლევს: „სულელს სულელი მაქებარი არ დაელევაო“ (ნიკოლა ბუალო, მე-17ს.). სოციალური ქსელებიდან დასავლელი „მეგობრების“ მიმართ უარყოფითმა განწყობამ ქუჩაშიც გადმოინაცვლა.

— როგორ ხარ? — ეკითხება ერთი კაცი მეორეს.

— აქლემივით, — პასუხობს მეორე.

— ეგ როგორ? — გაიოცა პირველმა.

— აქლემი იფურთხებაო, — დაუკონკრეტა კაცმა და დასავლეთის პოლიტიკასა და იდეოლოგიას კახური ტრადიციული „ლოცვა-კურთხევა“ გაუგზავნა. **ყველაფერი ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, რაც არ მოგვწონს, დასავლური პოლიტიკის, მათი დირექტივების შესრულების შედეგია. ჩემი საქართველო, ყვავილების ქვეყანა, ნაბიჭვრების ქვეყნად მიქციეს, ხოლო ამერიკელთა ძაღლიშვილები ღორისშვილებით ჩამინაცვლეს.** თუ ამ მიმართულებით ვივლით, ქართულ სუვერენულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. ამერიკელთა დირექტივების, ზნეობისა და მორალის დეფიციტზე, მათ იდეოლოგიაზე რომ არაფერი ვთქვათ, დანაშაულების თვალსაზრისით, ამერიკა მსოფლიოში ლიდერობს. **ქვეყანაზე, რომელშიც დედამიწის მოსახლეობის 5% ცხოვრობს, მსოფლიოში აღრიცხული სერიული მკვლელობების 75% მოდის.** ამერიკელი მკვლევარი და ჟურნალისტი **ჯეფრი სილვერმანი** ამერიკის ელჩს ბინძურ მოთამაშეს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ის აქ ხელისუფლების რეპუტაციის დასამხობად არის მოვლინებული, ხოლო ამერიკას აქ არც კანონი აინტერესებს და არც ქართველები, მას საკუთარი მოსახლეობაც არ აინტერესებს და ეს ქართველებს უნდა ახსოვდეთო. ამერიკელი ჟურნალისტი ყოველივეს, რაც ხდება, ასე აფასებს: **„მსოფლიო სავსეა იდიოტებით, რომლებსაც უნდათ, რომ ქვეყნის სათავეში ასეთივე იდიოტები ისხდნენ, მონსტრები, რომლებიც ხალხს ძარცვავენ“.**

გენიალური ფსიქოანალიტიკოსი **გრიგორი კლიმოვი** უფრო ღრმად აანალიზებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს: „მასონები ყურადღებით აკვირდებიან შესაძლო კანდიდატების ქცევას და, ძლიერი ჰომორადისტური მიდრეკილებების დადასტურების შემთხვევაში, იწყებენ მათ დაწინაურებას ძალაუფლების ბერკეტებისკენ“, — ხომ არ იფიქრეთ, რომ ეს თეზა სააკაშვილის მიმართ არის?

ხელისუფლება საზოგადოებისგან კრიტიკას იმსახურებს და უნდა ვაკრიტიკოთ, რათა შეცდომები დავანახვოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვა ხელისუფლება უკეთეს საქართველოს აგვიშენებს, თუ სისტემა და საგარეო პრიორიტეტები არ შეიცვალა.

„პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარემ ხელისუფლებას ისრაელთან მოკავშირეობისკენ მოუწოდა, რათა ამით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ურთიერთობა დასავლეთთან და ამერიკასთან(?!). სწორედ ამაზეა მორგებული ქართული ანდაზა — „სად ერეკლე და სად... ისრაელი?“ მოკლედ, ყველას უნდა ჩავეხუტოთ, გარდა რუსეთისა, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი დავითი ამერიკის პრეზიდენტს გაუნათლებელ და სააკაშვილის დონის სუბიექტად მიიჩნევს. რადგან ისრაელი ვახსენეთ, საზოგადოებას ძველ ებრაულ სიბრძნეს შევახსენებ: „ის კი არ არის ჭკვიანი, ვისაც კეთილის გარჩევა შეუძლია ბოროტისგან, არამედ ის, ვინც ორ ბოროტებას შორის უმცირესი ბოროტების ამორჩევა იცის“ (ალი ხაზარი, მე-13 ს.). უცნაურია, რომ ეს იდეა ჩნდება სწორედ ახლა, რუსეთის ზეობის პერიოდში, როცა ნატოს წევრი ქვეყანა, საბერძნეთი, ნდობას რუსეთს უცხადებს და ამერიკას — უნდობლობას. საფრანგეთიც რუსეთს მიმართავს, რათა მან მთავარი როლი ითამაშოს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთის ძლიერებამ მისი რეი- ▶

მსოფლიო



## ტენესის შტატში სამხედრო ვერტმფრენის კატასტროფის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა

**როგორც სააგენტო „ასოშიეითედ პრესი“ იტყობინება, ვერტმფრენმა „აპაჩიმ“ კატასტროფა გეგმური სასწავლო ფრენისას განიცადა. დაღუპულები ეკიპაჟის წევრები არიან.** საგანგებო სიტუაციათა სააგენტოს დირექტორ ჯერი ბუჩანანის ცნობით, სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა ვერტმფრენი მდინარეში იპოვეს. ადგილზე იმყოფებიან სამართალდამცველები და სამხედრო ბაზა ფორტ კემპბელის პოლიციელები. ვერტმფრენის ჩამოვარდნის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ეროვნული სახელმწიფოს აშენების გზა ევროკავშირზე არ გადის, ეს არის გაგრძელება იმ პოლიტიკური გზისა, რომელიც შევარდნაძის პოლიტიკიდან დაწყებული დღემდე ანგრევს ქვეყანას. ქვეყანას, სადაც რელიგიის წამბილწავი კარიკატურები ქვეყნდება და ამას ქვეყნის იდეოლოგია არ კრძალავს, პირიქით — გამოხატვის თავისუფლებად მიიჩნევს, მომავალი არ აქვს და ეს გამოჩნდა კიდეც – ამ ქვეყანაში მუსლიმთა რაოდენობა ქრისტიანების რაოდენობას მალე გადააჭარბებს.

ტინგი ევროპაში მნიშვნელოვნად გაზარდა და გააშიშვლა ამერიკა-ევროპის პოლიტიკა. **მივესალმები მართლმადიდებელი რუსეთის გაძლიერებას მასონური მახინჯი სისტემის წინააღმდეგ. მივესალმები იმასაც, რომ რუსეთი კავკასიიდან წასვლას არ აპირებს. რუსეთის ავტორიტეტმა 75%-ით შეამცირა ევროკავშირში გაერთიანების მსურველთა რაოდენობა.**

საინტერესოა ერთი გარემოებაც: გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ებრაელი გენერალი, რომელიც ლიბანში ომს აწარმოებდა, წვრთნიდა ქართულ ჯარს და მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი 2008 წლის ცხინვალის პროვოკაციულ ომში. დიდი ალბათობით, ებრაელებს დღესაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ქართულ ჯართან. ებრაელ მწერალსა და პუბლიცისტს მოჰყავს ციტატები თავისი წიგნიდან, სადაც წერს, რომ ებრაელები საქართველოს თავიანთ ტერიტორიად განიხილავენ.

როცა საქართველო იყო წარმატებული და აყვავებული ქვეყანა, არსებობდა თანხვედრა რუსეთისა და საქართველოს ინტერესებისა. ასეთი თანხვედრა არ არსებობს დასავლეთთან, რომელსაც მართვადი ქაოსი აძლევს ხელს თავისი მიზნების განსახორციელებლად და შედეგიც ნათელია. „ჩვენ ვირჩევთ ევროკავშირს“, — აცხადებს ირმა ინაშვილი, რაც სწორედ ეროვნულ ღირებულებებზე უარის თქმას ნიშნავს, ხოლო **ეროვნულობაზე საუბრით ეროვნულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ ან ვინ აგვაშენებინებს – ერთუჯრედიანთა კასტის წარმომადგენლებმა იციან კი, რა არის ეროვნულობა ან ამაზე ფიქრით დაიღლიან ტვინს? ეროვნული სახელმწიფოს აშენების გზა ევროკავშირზე არ გადის. ეს არის გაგრძელება იმ პოლიტიკური გზისა, რომელიც შევარდნაძის პოლიტიკიდან დაწყებული დღემდე ანგრევს ქვეყანას. ქვეყანას, სადაც რელიგიის წამბილწავი კარიკატურები ქვეყნდება და ამას ქვეყნის იდეოლოგია არ კრძალავს, პირიქით — გამოხატვის თავისუფლებად მიიჩნევს, მომავალი არ აქვს და ეს გამოჩნდა კიდეც — ამ ქვეყანაში მუსლიმთა რაოდენობა ქრისტიანების რაოდენობას მალე გადააჭარბებს.**

„ისლამური სახელმწიფოს“ ევროპასთან დამოკიდებულებას თუ გავაანალიზებთ, სწრაფვა ევროპისკენ საფრთხეს უქმნის საქართველოს და ჩვენი დაცვა რეალურად მხოლოდ რუსეთს შეუძლია, ჩვენი მთავარი მოკავშირეც რუსეთი უნდა იყოს, მაგრამ იგი ვალდებული არ არის, საქართველოს ჩასვრილ ხელისუფლებას ამერიკის გამოგზავნილი პამპერსები უცვალოს!

საქციელი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისა, რომლებიც ბრიუსელსა და ვაშინგტონში სენატორებს ერთგულებას ეფიცებიან, — ჩვენ უკეთ შევასრულებთ თქვენს დირექტივებსო და რუსეთს საერთაშორისო ბანდიტს უწოდებენ, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. **მათ არ გამოუხატავთ პროტესტი მძიმე სოციალური ფონის გამო, როცა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც შიმშილობს; არ გაუპროტესტებიათ სკოლებში უზნეობის სწავლების მეთოდიკა; სახელფასო ფონდის შეუსაბამოდ ფლანგვა; უცხოელების მიერ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევა.** თუ იმისთვის მოდიხარ ხელისუფლებაში, რომ ქართული სახელმწიფო აშენო, ამ მოვლენებს უნდა ეწინააღმდეგებოდე და ამაზე აწყობდე აქციებს, მაგრამ, თუ იმისთვის გინდა ხელისუფლებაში მოსვლა, რომ ევროკავშირი აირჩიო, ეს უკვე გავიარეთ და ანტიდისკრიმინაციული კანონიც მივიღეთ; და თუ ამასაც ეწინააღმდეგებით, **რატომ ირჩევ ევროკავშირს, რომელიც ინგრევა და ქრისტიანული აღარ არის? ამ ზღაპარს ქართველ ხალხს ნუ უყვებიან, მან არაერთი იმედგაცრუება განიცადა.**

„პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ხელისუფლების კრიტიკა დასავლეთის დირექტივების შესრულების შედეგზეა ორიენტირებული და არა დირექტივების ინიციატორებზე. ისინი თვითონ ილტვიან დასავლეთისკენ, რითაც პოლიტიკურ ქულებს იწერენ. აქცია, რომელიც გამართეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მოთხოვნით, მხოლოდ პოლიტიკაში მოსვლაზეა გათვლილი. ხელისუფლებას ჰყოფნის გონიერება, რომ რუსეთს „საერთაშორისო ბანდიტი“ არ უწოდოს და უკრაინაში მიმდინარე პროცესები მას არ დააბრალოს, „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელთა მსგავსად.

არის მოსაზრება, რომ ოპოზიციურ პარტიებს „სწორება“ დასავლეთზე იარლიყების მიწებების შიშით აქვთ და ამიტომ ეძებენ პოლიტიკურ მოკავშირეებს ბრიუსელსა და ვაშინგტონში(?!). მაშ, საზოგადოებამ რაზე გააკეთოს სწორება — რაც დეკლარირებულია თუ იმაზე, რასაც „ამირანი გულში მღერის“?

ჭეშმარიტად პატრიოტული გზა აფხაზეთზე, სამაჩაბლოსა და რუსეთზე გადის და არა უცხოეთის სენატორებთან ვიზიტებზე, ხოლო ჭეშმარიტად პატრიოტი იარლიყების მიწებებას არ შეუშინდება.

საგულისხმოა, რომ „ობიექტივში“, რომელიც ბევრ კარგ საქმეს აკეთებს, ყველაზე რეიტინგული გადაცემა — ვალერი კვარაცხელიას საავტორო გადაცემა — შეჩერებული იყო და მხოლოდ საზოგადოების მოთხოვნის შემდეგ აღადგინეს. **ვფიქრობ, არც ამ გადაცემაში მიწვეულ ექსპერტებს უყურებს მოწყალე თვალით ტელეკომპანია „ობიექტივის“ ხელმძღვანელობა.**

**აღმაშფოთებელი და სამარცხვინოა, როცა ქართულ პოლიტიკაში სალანძღავ სიტყვად იქცა „რუსი“. ანტიქართველი თინა ხიდაშელი და დასავლეთში „პოლიტიკური მოკავშირეების“ მაძებელი ე.წ. ქართული ძალა ირმა ინაშვილი ერთმანეთს ამუნათებენ — ვინ უფრო „რუსია“.** პატრიოტული ძალა ამას არ უნდა კადრულობდეს, ანტიქართველი ხიდაშელისგან განსხვავებით. **როდის გახდა რუსობა შეურაცხმყოფელი — მას შემდეგ, რაც დასავლეთმა დემოტრაკიული იდეოლოგია გადმოუნერგა საქართველოს?**

### სისტემა, რომელიც 1990-91 წლებში თავს მოგვახვიეს, ჩვენთვის დამღუპველი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ დაგვიმონეს და დაგვაკაბალეს, გვიწესებენ თავიანთ ღირებულებებს, რომ მათი კანონებით ვიცხოვროთ, ხოლო ჩვენს ხელისუფლებას, არათუ პოლიტიკური, კაცური ღირსებაც არ აქვს, ამას შეეწინააღმდეგოს



გავიხსენოთ საქართველოს ისტორია და ისიც, რატომ შეხვდა აღფრთოვანებით რუსის ჯარს მეფე და ერი 1799 წლის 26 ნოემბერს. **ილია ჭავჭავაძე** ამ დღეს ასე ახასიათებს: **„ამ ღირსსახსოვარი დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან, დაუდგა ახალი ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისთვის ჯვარცმულ საქართველოს, მეფე და ერი გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული“.**

რუსი ერი იყო იმ სახელმწიფოს ძირითადი ბირთვი, რომელმაც სტალინის მეთაურობით მსოფლიო ფაშისტური ჭირისგან იხსნა, ამიტომაც უწოდა სტალინმა დიდი რუსი ერი. დღეს სტალინიზმს ებრძვიან ერთუჯრედიანი პრიმიტივები. სტალინის კულტის შიშმა დასავლეთის ბინძური პოლიტიკა მთლიანად გააშიშვლა.

რაც შეეხება ირმა ინაშვილის ჟანა დ’არკობას, ამ ფრანგ ქალს დასაყრდენი სხვა ქვეყნებში არ უძებნია. ნდობა მოხერხებულობითა და ჭკუით დაიმსახურა, საფრანგეთის მეფემ შარლ VII ჯარების სარდლად დანიშნა და სამშობლოში სწორედ უცხო ქვეყნის ძალებს ებრძოდა.

დღეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაც და ოპოზიციაც დასავლეთიდან არის მართული და ამას უნდა შევეწინააღმდეგოთ. დეკლარირებულ ე.წ. დემოკრატიულ ლიბერალიზმს ეროვნული, სუვერენული პრინციპებით უნდა დავუპირისპირდეთ!

**იზა თამაზაშვილი**

**P.S. შეურაცხყოფილად ჩავთვლიდი თავს, ვინმეს ჩემთვის ევროპელობა და დასავლური უზნეო თავისუფლების იდეოლოგობა რომ დაებრალებინა.**

### აღმაშფოთებელი და სამარცხვინოა, როცა ქართულ პოლიტიკაში სალანძღავ სიტყვად იქცა «რუსი». ანტიქართველი თინა ხიდაშელი და დასავლეთში «პოლიტიკური მოკავშირეების» მაძიებელი ე.წ. ქართული ძალა ირმა ინაშვილი ერთმანეთს ამუნათებენ, ვინ უფრო «რუსია». პატრიოტული ძალა ამას არ უნდა კადრულობდეს... როდის გახდა რუსობა შეურაცხმყოფელი — მას შემდეგ, რაც დასავლეთმა დემოტრაკიული იდეოლოგია გადმოუნერგა საქართველოს?



## იმსჯელეს «მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ» კანონზე

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორებს შეხვდა. შეხვედრაზე სამინისტროს მიერ მომზადებული კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ განიხილეს და მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების კრიტერიუმზე იმსჯელეს.**

აღნიშნული კანონის მიხედვით, მაღალმთიან დასახლებად ითვლება ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან ზემოთ მდებარე დასახლება.

შეხვედრაზე სამინისტროს წარმომადგენლებმა რეგიონების რწმუნებულ-გუბერნატორებს ის 3 ძირითადი პარამეტრი გააცნეს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება:

**1. დემოგრაფიული** (მაღალმთიანის სტატუსი, შესაძლოა, მიენიჭოს დასახლებას, რომლის მოსახლეობის საშუალო წლოვანება 40 წელზე მეტია, რაც დასახლების დეპოპულიზაციას, ანუ მოსახლეობისაგან დაცლას იწვევს);

**2. სასოფლო-სამეურნეო** (მაღალმთიანის სტატუსი, შესაძლოა, მიენიჭოს დასახლებას, რომლის მოსახლეობის სასოფლო სამეურნეო ან სახნავ-სათესი ფართობების ნახევარზე მეტის დამუშავება შეუძლებელია სტანდარტული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, რომელიც გამოიყენება ბარის პირობებში);

**3. პერიფერიული** (ამ პარამეტრით მოხდება დასახლებების განსაზღვრა, რომელთა მოსახლეობისათვის ძირითად საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდული ან გაუარესებულია);

აღნიშნულის გათვალისწინებით, დასახლებას მაღალმთიანის სტატუსი მიენიჭება იმ შემთხვევაში:

* თუ ზღვის დონიდან 1000 მეტრზე ზემოთ მდებარეობს და აკმაყოფილებს დასახელებული სამიდან ერთ პარამეტრს;

* თუ დასახლება ზღვის დონიდან 800-დან 1000 მეტრამდე სიმაღლეზეა და აკმაყოფილებს დასახელებული სამიდან ორ პარამეტრს;

* თუ დასახლება ზღვის დონიდან 800 მეტრამდე სიმაღლეზეა და აკმაყოფილებს დასახელებულ სამივე პარამეტრს.

## ზურაბ ადეიშვილს პატიმრობა შეუფარდეს

**აკურის ღვინის ქარხნის იძულებით ჩამორთმევის საქმეზე იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილს პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა. ეს ინფორმაცია საქართველოს პროკურატურამ გაავრცელა.**

პროკურატურის ინფორმაციით, მოსამართლე გიორგი არევაძემ დააკმაყოფილა საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობა და საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა, ხოლო ამავე საქმეში წარმოდგენილი მეორე ბრალდებულის, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ივანე მერაბიშვილის მიმართ წინასასამართლო სხდომა 2016 წლის 12 იანვარს დანიშნა.



ნახევარდაშლის პერიოდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კარგად ვიცი, რომელი დღიდან და საათიდან დაიწყო მან სმა. ექვსი აგვისტო, საღამოს ათი საათი. ამ წუთამდე ჯოს ერთი წვეთიც არ დაულევია. ის კათოლიკე იყო. ფრონტზე ფიცი დადო, არ დაელია ომის დამთავრებამდე. ...ექვს აგვისტოს ჩამოაგდეს „გალეული“.**

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.

სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.

სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.

სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.

წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.

კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-44 (315-326)

ფრედი აშკარად „წითელია“.

ის ჩემი მეგობარია.

აბა, ერთი სცადე და გაერკვიე ამ საქმეში!

— აგიტაციას არ გიწევთ, — წყნარად ამბობს ფრედი, — ღმერთმა დამიფაროს, არ იფიქროთ, ჩემი სიტყვებით თავს მოგახვიოთ საკუთარი შეხედულება. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ „უორქერის“ გარდა არავინ დაიცავს თქვენს კონოლის, როცა არსებობს სენსაცია იმის შესახებ, რომ მერილინ მონროს ხელოვნური ბიუსტი ჰქონია. „ნიუ-იორკ პოსტი“ მხოლოდ მასზე წერს; ხან ამტკიცებს, რომ ეს ასეა, ხან კი უარყოფს.

— ყველა ბიუსტით როდია დაკავებული. დაუკავშირდით ჟურნალებს.

— ათას ორას ოცდაათი ჟურნალიდან ათას ასი პორნოგრაფიაზე წერს, დანარჩენი — ბომბზე.

სამწუხაროდ, ასეა. ეს ციფრები მე ადრეც შემხვედრია კონგრესის ოფიციალურ მოხსენებებში. **ამერიკა ისე შთანთქა ორმა პრობლემამ — სექსმა და ომმა, რომ დრო აღარ რჩება უსამართლობის გამო აღშფოთებისთვის.**

— ნუ იდარდებთ, — მეუბნება ფრედი, — შევეცდები, აქაური წესებით დავაინტერესო სამოქალაქო თავისუფლებათა დაცვის კავშირი. მან რაღაც იცის პირადად თქვენ შესახებ და შეუძლია დაგეხმაროთ.

დარბაზში გამეფებული გუგუნი დაარღვია ზარის მკვეთრმა ხმამ. ნახვის დრო ამოიწურა: ფრედი აჩქარებით და მოუხერხებლად მართმევს ხელს. ქურთუკის ჯიბეში აირინის წერილს მჩრის. როგორი ღორობაა? მის შესახებ ვერაფრის გამოკითხვა ვერ მოვასწარი.

მაპატიე, აირინ!

— პარასკევამდე, კლოდ.

რატომ პარასკევამდე? აჰ, მართლა! პარასკევს სასამართლოა.

— პარასკევამდე, ფრედ.

განყოფილებებში გვანაწილებენ.

პალატაში ლოგინზე ვემხობი. ჩემს თავში ბურუსია.

კვირა. ორშაბათი. სამშაბათი. ოთხშაბათი. ხუთშაბათი. ხუთი დღე-ღამე. როგორმე უნდა გავძლო.

## 10.

წმინდა ადგილი ცარიელი არ რჩება. ბერნსტაინის საწოლი ახალმა ავადმყოფმა დაიკავა. განყოფილებაში მისი მოსვლა ჩხუბით აღინიშნა. მესმოდა, როგორ ღრიალებდა და ღმუოდა იგი, როცა ცდილობდა, ხელიდან დასხლტომოდა სანიტრებს, რომლებმაც მიმღები პალატიდან მოიყვანეს. მე „ლაიფს“ ვკითხულობდი და არ მინდოდა პალატიდან გასვლა. ლარიმ ჯოკს უთხრა, მოემზადებინათ დამაწყნარებელი პერანგი. პალატებში მღელვარება მატულობდა; კონოლი დაიძაბა, ტუჩები აუთრთოლდა.

**„დამაწყნარებელი“ — ეს სიტყვა ოცდახუთივემ იცის, იმანაც კი, ვისაც ჯერ არ დავიწყებია დედის სახელი.**

დერეფანში მედიდურად მოაბიჯებს გორდონი.

განყოფილებაში მისი მკვეთრი ფალცეტი ისმის.

წესრიგი აღდგენილია; ახალმოსულს იზოლატორში ათავსებენ. იქვე ამწყვდევენ წყნარ პატ კანდინსკისაც — უდროო დროს ჩაუვარდა ხელში გორდონს.

ლარი შურდულივით შემოვარდა პალატაში.

— ნაცისტი, — ილანძღება იგი, — ნამდვილი ნაცისტი!

ამას იგი გორდონზე ამბობს.

ლარის მარცხენა ლოყაზე გრძლად გასდევს ახალი ნაკაწრი. ლარი მას ნერწყვით დასველებული ცხვირსახოცის კუთხით იზელს.

— მიიღე? — დავცინი მე; მინდა გავაბრაზო.

ამაო გარჯაა! ლარი ძალზე აღგზნებულია გორდონთან შეხლა-შემოხლითა და ახალბედასთან ბრძოლით, რომ კიდევ რამეზე მოახდინოს რეაგირება. ნაკაწრი ჩვენ თვალწინ სივდება, დასიებული ადგილი ფერს კარგავს.

— უნდა გამოირეცხო, — ვეუბნები მე.

კონოლის უკვე დიდი ხნის მომზადებული ყვირილი აღმოხდა.

ლარი ვერ ასწრებს ჩემთვის პასუხის გაცემას, სინანულთი იქნევს ხელს და ბილის საწოლზე ჯდება.

— გეყოფა, ბილი, — ამშვიდებს იგი, — რა მოგივიდა?

კონოლის ტუჩები ისევ უთრთის.

— ი-იქ...

— იქ ყველაფერი რიგზეა.

კონოლი ატირდა. ეს კარგია — შეტევა დამთავრდა.

დერეფანში გორდონი ჯოკს ტუქსავს. ლარი ჩემს ლოგინზე გადმოჯდა და ყურს უგდებს. იჭმუხნება. ამბობს:

— შენ მართალი ხარ: გორდონი მაინც არარაობაა. მე მას **ვაფრთხილებდი, რომ ტელევიზორი ბოლოს მოუღებს ავადმყოფებს. ერთი მხრივ — ამინაზინი, ემოციების ჩახშობა; მეორე მხრივ — მკვლელობებით სავსე „საშინელებათა სერია“. ჯანმრთელთა ნერვებიც კი დაუშვებლად გადაიტვირთება... ბერნსტაინი თუ არა, მაშინ ვინმე სხვა აღმოჩნდებოდა მის ადგილზე. გორდონმა ეს გვიან გაიგო და ახლა გაცოფებულია.**

— რაიმე უსიამოვნება ხომ არ ელის? — ვეკითხები.

— საეჭვოა, — მეუბნება ლარი, — ეს ხომ ფასიანი საავადმყოფო არაა. შეიძლება ძალიან გაბრაზდეს პოლკოვნიკი ან ბერნსტაინს ჰყავდეს გავლენიანი ნათესავები.

— არა მგონია, რომ ჰყავდეს.

შაბათს ბერნსტაინის ძმა ვნახე. ის დარბაზში იდგა დაბნეული და გორდონს უსმენდა. უფროსი ბერნსტაინი რაღაცით კონოლის დედასა ჰგავს. როგორც ჩანს, ადამიანები, რომლებიც ცუდად იკვებებიან და ბევრს მუშაობენ, ერთმანეთს ჰგვანან. ღატაკთა მსგავსებაა.

— ძმობილო, — რაღაც უცხო ხმით ამბობს ლარი, — შენ, მახსოვს, ამბობდი, რომ იცნობდი ჯო თეკერს? ახალმოსულს სწორედ ასე ჰქვია. ნახე, იქნებ სწორედ ის არის?

ახალმოსული იზოლატორშია.

ეს ჯოა.

ძველი ჯოს აჩრდილი, მისი ლანდი.

იგი ვერ მცნობს. სიცხიანი თვალებით იყურება ჩემს თავს ზემოთ, ძლივს ატრიალებს „ულლით“ შებოჭილ კისერს.

— ჯო! — ვეძახი.

— თავი დაანებე, — მეუბნება ლარი, — ის ვერ გაიგებს.

ჯოს წვერი ძალზედ გაზრდია. ძლიერ დანაოჭებული სახე შეშუპებია. დამაწყნარებელი პერანგიდან გამხდარი, ყვითელი ფეხისგულები გამოსჩრია; სხეული ერთიანად ეკრუნჩხება.

— შუქი... — ლუღლუღებს ჯო. — მტკივა... მილიონობით მზე... არაა საჭირო!

ლარიმ დერეფანში გამათრია.

— კლოდ, — მეუბნება იგი შეშფოთებით, — გონს მოდი, კლოდ. წამოდი, წამალს მოგცემ.

მას თითქმის თრევით შევყავარ კაბინეტში. მენზურას მთლიანად მივსებს.

— დალიე.

ვისკი.

პირი ჩამწვა, მაგრამ ნელ-ნელა გონს მოვდივარ.

— კიდევ დალიე, — მოლუშული მეუბნება ლარი.

— რა დაემართა?

— კორსაკოვის ფსიქოზი.

— ცუდია ეს?

— უიმედოა შეუქცევი მოვლენებითა და პროცესებით.

ლარი ფრჩხილით წკიპურტსა ჰკრავს მენზურას.

— ვისკიმ მოუღო მას ბოლო. ანამნეზშია: ორჯერ თეთრი ცხელება, თვითმკვლელობის მცდელობანი. სვამს ორმოცდახუთი წლიდან. აგვისტოდან თუ...

— არაა საჭირო, — ვამბობ, — ვიცი, როდიდანაცა სვამს.

არაფრის ახსნა არ მჭირდება. ყველაზე **კარგად ვიცი, რომელი დღიდან და საათიდან დაიწყო მან სმა. ექვსი აგვისტო, საღამოს ათი საათი. ამ წუთამდე ჯოს ერთი წვეთიც არ დაულევია. ის კათოლიკე იყო. ფრონტზე ფიცი დადო, არ დაელია ომის დამთავრებამდე.**

...ექვს აგვისტოს ჩამოაგდეს „გალეული“.

კაპელანმა დაუნიმ ჯოს უთხრა, რომ ის გმირია. იმ საღამოს კაპელანი ჩვენთან ერთად სვამდა. **იგი ჯოს „დამარტყმელ კორპუსს“ ეძახდა. თითოეულმა ჩვენგანმა 6 აგვისტოს იმდენი ადამიანი დახოცა, რომ მთლიანად შეცვალა კორპუსი თავისი დარტყმის ძალით.** ჯომ დაუნის არამზადა უწოდა.

— წავიდეთ აქედან, — თქვა ჯომ.

თითო ბოთლი ვისკი ავიღეთ და ჩვენს კარავს მივაშურეთ.

კარვის კალთა გადაწეული იყო; ბნელ ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდა. ჯო ლაპარაკობდა:

— და მაშინ მიუგო მას პეტრემ: აი, ჩვენ დავტოვეთ ყველაფერი და შენ გამოგყევით, რა გველის ჩვენ? ხოლო იესომ უპასუხა მათ: სიმართლეს გეტყვით, რომ თქვენ, ჩემი მიმდევრები, როცა ძე ხორციელი თავისი დიდების ტახტს მოიპოვებს, დასხდებით თორმეტ ტახტზე ისრაელთა თორმეტი შტოს გასასამართლებლად. და ყოველი, ვინც დატოვებს სახლში ან ძმებს, ან დებს, ან მამას, ან დედას, ან ცოლს, ან ბავშვს, ან მიწას ჩემი სახელის სადიდებლად, მიიღებს ასმაგად და მარადიულ სიცოცხლეს დაიმკვიდრებს.

ჯო ძლივს ატრიალებდა ენას.

— ეს სახარებაა, კლოდ, გესმის? **ჩვენ ყველაფერი დავტოვეთ და წავედით. ახლა ჩვენ ვასამართლებთ იმ თორმეტიდან ერთ-ერთ შტოს... მარადიული სიცოცხლე! ჰა! მიმიფურთხებია მისთვის. ჩვენ მთელი ქალაქი დავწვით. სად არის ღმერთი, თუკი იგი ასეთ მხეცობას დაუშვებს? შვებულება აიღო? თუ ზემოდან გვიყურებს და ა...ს ჩვენს მიწიერ მწუხარებებზე?**

ღამით ის დიდხანს წრიალებდა და არ მაძლევდა დაძინების საშუალებას. დილით დამშვიდობების გარეშე წავიდა საზღვაო ქვეითებთან და საღამოს უკვე გალეშილი მთვრალი იყო. პოლკოვნიკმა ბრძანა, კომენდატურაში ჩაემწყვდიათ იგი.

მე ჯო კარავში შევიყვანე და ნიშადურის სპირტი მივეცი. ღამით მას გული აერია.

**დღისით მწყობრში დაგვაყენეს და გენერალმა სპაატსმა მედლები გადმოგვცა.**

**სპაატსმა თქვა:**

**— „ენოლასა“ და „სთრეით ფლეშის“ ეკიპაჟებმა თავიანთი სახელები ცივილიზაციის ისტორიაში ჩაწერეს. მე მშურს თქვენი...**

— შეიძლება ადგილები გავცვალოთ, — თქვა ჯომ.

სპაატსმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ნათქვამი არ გაუგია.

— თქვენი დედები იამაყებენ თქვენით... დაიშალეთ!

კარავში ჯომ თქვა:

— საბედნიეროდ, მე ობოლი ვარ.

გამაცოფა მისმა ტონმა.

— შენ წუწუნა ხარ! — ვუთხარი, — მოსმენაც გულისამრევია.

— კარგი ერთი, — თქვა ჯომ, — წავიდეთ ბარში, მაიორო. ჩვენთან სან-ფრანცისკოში დასაფლავებაზე რომსა სვამენ. აქ იგი არ არის — დავლიოთ ვისკი, ყოფილხართ სან-ფრანცისკოში, მაიორო?

— მომეშვი, — ვუთხარი მე.

— მაშასადამე, არ ყოფილხართ. ამაოდ. ჩამოდით ჩემთან, როცა ყველაფერი ეს მორჩება. ხამანწკების დაჭერას გასწავლით. ოკლენდთან ახლოს არის ერთი კარგი ხამანწკების თავთხელი.

ჯოს ვუსმენდი და აირინზე ვფიქრობდი. მას უყვარდა ხამანწკების ჭერა. ლუსისაც უყვარდა: პატარა კუსავით დახოხავდა ქვიშაზე და ნიჟარებს ჩიჩქნიდა. ერთხელ ნიჟარამ თითი დაუწეწკა. ლუსი არ ტიროდა, გაკვირვებული უყურებდა უცნაურ ქვას, ასე მწარედ რომ იკბინებოდა, და ჩემგან ელოდა ახსნა-განმარტებას.

**დღისით მწყობრში დაგვაყენეს და გენერალმა სპაატსმა მედლები გადმოგვცა. სპაატსმა თქვა: — «ენოლასა» და «სთრეით ფლეშის» ეკიპაჟებმა თავიანთი სახელები ცივილიზაციის ისტორიაში ჩაწერეს. მე მშურს თქვენი...**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმების მებრძოლები შესანიშნავად არიან მომზადებულნი და სამხედრო ოპერაციების ფართო სპექტრის შესრულება შეუძლიათ. კერძოდ, დაზვერვა, ძირგამომთხრელი მუშაობა, დივერსიები, პარტიზანული ომი. სპეცდანიშნულების რუსული ელიტური ქვედანაყოფები ამჟამად ყველაზე დიდი საფრთხეა თურქეთისთვის.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 5 რუსული იარაღი, რომლებისაც თურქეთს უნდა ეშინოდეს

ამერიკულმა გამოცემა The National Interest-მა გამოაქვეყნა სია რუსეთის სამხედრო რესურსებისა, რომლებსაც თურქეთი ვერაფერს დაუპირისპირებს, თუკი რუსეთს „შეზღუდულ დაპირისპირებაში“ ჩაითრევს. სტატიის ავტორების — ბლედა კურტდარჩანისა და ბარინ კაიაოღლუს აზრით, რუსეთს დიდი უპირატესობა აქვს ავიაციის, საზღვაო ხომალდებისა და რადიოელექტრონული ბრძოლის სისტემების მხრივ.



## გამანადგურებელ-ბომბდამშენი Су-34

სიაში რუსეთის ყველაზე მომაკვდინებელ იარაღად დასახელებულია მრავალფუნქციური გამანადგურებელ-ბომბდამშენი Су-34 (ნატოს კოდიფიკაციით — Fullback — „მცველი“), რომელიც აღჭურვილია ფაზირებული საანტენო ცხაურითა და რადიოელექტრონული საშუალებების ჩამხშობი მძლავრი სისტემით. **თურქეთის ავიაციის განკარგულებაში არსებულ ამერიკულ F-16-თან (მრავალმიზნიანი გამანადგურებელი — F-16 FIGHTING FALCON) შედარებით СУ-34-ს შეუძლია ბორტზე გაცილებით მეტი ყუმბარა განათავსოს და მეტი საწვავი მოიხმაროს, რაც მას ფრენის სიშორის უპირატესობასაც აძლევს. ამჟამად რუსეთს აქვს 80 ერთეული СУ-34, მათგან 15 — სირიაში არსებულ ბაზაზე. ეს თვითმფრინავი მაღალი მანევრულობით გამოირჩევა და კარგად არის დაცული.**

ამასთანავე, Су-34 კიდევ უფრო მძლავრ საფრენ აპარატად შეიძლება განვიხილოთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის შეიარაღებულია „ჰაერი-ჰაერი“ კლასის საშუალო სიშორის რაკეტა — P-27 (ნატოს კოდიფიკაციით — AA-10 alamo)-ითა და PBB-AE-ით (ნატოს კლასიფიკაციით — AA-12 Adder). თურქებისთვის განსაკუთრებით სახიhფათოა რაკეტა PBB-AE, რომლის მოქმედების რადიუსი 100 კმ-ია, თურქული რაკეტისა კი — 50 კმ.

## რადიოელექტრონული ბრძოლის კომპლექსი «კრასუხა-4»



ექსპერტთა აზრით, **„კრასუხა-4“**-ს შეუძლია, მნიშვნელოვნად დააზიანოს მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული სისტემები.

სირიაში მოქმედ რუსეთის სამხედრო კონტინგენტი შეიარაღებულია „კრასუხა-4“-ით, რომლის მოქმედების რადიუსი 300 კმ-ია, სწორედ მოქმედების სიშორის გამო აქვს მას დიდი უპირატესობა რადიოელექტრონული ჩახშობის მიწისზედა სისტემა KORAL-ზე, რომლითაც თურქეთის არმიაა შეიარაღებული. რუსულ კომპლექსს, აგრეთვე, შეუძლია, „დააბრმავოს“ „ავაქსის“ სისტემით აღჭურვილი თურქული თვითმფრინავები და თურქულ სამხედრო-საჰაერო ძალებს მნიშვნელოვნად გაუძნელოს ინფორმაციის მიღება სირიიდან და ხმელთაშუა ზღვიდან.




## სარაკეტო კრეისერები

**პროექტ 1164 „ატლანტის“ (ნატოს კოდიფიკაციით — „სლავას“ კლასი) — ეს არის უმაღლესი დონის, ეფექტიანი პლატფორმა წყლის ზედაპირზე საომარი ოპერაციების ჩასატარებლად და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის.**

პროექტ „ატლანტის“ კრეისერები, რომლებსაც „მცურავ ციხესიმაგრეებს“ უწოდებენ, აღჭურვილია 16 ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა П-500 „ბაზალტით“, შორ მანძილზე მოქმედი 64-რაკეტიანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექს С-300ПМУ-2 „ფავორიტით“, მცირე მანძილზე მოქმედი „მიწა-ჰაერის“ კლასის რაკეტებიანი ორი მოწყობილობით — „ოსა-M“-ით, აღმოჩენისა და დაკვირვების სამკოორდინატიანი, აგრეთვე, ჰორიზონტს მიღმა ობიექტის აღმოჩენის რადიოსალოკაციო სადგურებით. სწორედ ასეთია ამ კლასის მეთაური კრეისერი „მოსკვა“, რომელიც ამჟამად სირიის ქალაქ ლატაკიის ახლოს იმყოფება.

თუმცა ამ კლასის კრეისერებს არ აქვთ ეფექტიანი საშუალებები უხმაურო წყალქვეშა ნავებისგან თავის დასაცავად.



## სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები

რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმების მებრძოლები შესანიშნავად არიან მომზადებულნი და სამხედრო ოპერაციების ფართო სპექტრის შესრულება შეუძლიათ. კერძოდ, დაზვერვა, ძირგამომთხრელი მუშაობა, დივერსიები, პარტიზანული ომი. სპეცდანიშნულების რუსული ელიტური ქვედანაყოფები ამჟამად ყველაზე დიდი საფრთხეა თურქეთისთვის.

## კიბერნეტიკული და ფსიქოლოგიური ომის წარმოების საშუალებები



ბოლო წლებში რუსეთმა ნათლად წარმოაჩინა კიბერნეტიკული და ფსიქოლოhგიური ომის წარმოების საშუალებებში თავისი უპირატესობა როგორც რაოდენობრივი, ასევე, ხარისხობრივი თვალსაზრისით. ასე მოხდა 2007 წლის ესტონეთთან ურთიერთობის კრიზისისა და 2014-2015 წლებში უკრაინის დასავლეთში მიმდინარე პროცესების დროს. ამ მხრივ რუსეთს თურქეთთან შედარებით უზარმაზარი უპირატესობა აქვს.

# ვინ ვისი მტერი და მეგობარია

## როგორი ურთიერთობა აქვთ ახლო აღმოსავლეთში სახელმწიფოებს

**ახლო აღმოსავლეთში არაბეთისა და ისრაელის დაპირისპირების მთავარი მიზეზი რელიგიაა.**

**რეგიონის მოსახლეობის უმეტესობა მუსლიმანია, მაგრამ ახლო აღმოსავლეთი იუდაიზმისა და ქრისტიანობის აკვანია. ამ კონფლიქტის გამწვავებას კი უდიდესი გავლენა ექნება რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ახლო აღმოსავლეთზე გადის აზიაში მიმავალი გზა ევროპიდან და აფრიკიდან.**

როგორი ურთიერთობა აქვთ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს ერთმანეთის მიმართ? — ამას ქვემოთ მოყვანილი ინფოგრაფიკიდან შეიტყობთ:

### ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ურთიერთობების რუკა



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიიღეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაცია. სწორედ ამ დოკუმენტის მიღების თარიღი აღინიშნება ყოველწლიურად, როგორც ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღე.**

# ზოგი რამ ადამიანის უფლებების შესახებ

**ადამიანის უფლებები — ეს არის კონცეფცია ადამიანების უნივერსალურ უფლებათა ან სტატუტის შესახებ, მიუხედავად იურისდიქციისა ან სხვა გარემოებებისა, როგორიცაა ეთნიკური წარმოშობა, ეროვნება და სქესი. ამ კონცეფციის მიხედვით, საზოგადოების თითოეულ წევრს, კანონით მინიჭებული უფლებების გარდა, აქვს ძირითადი უფლებები მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადამიანებად დაიბადნენ. ნებისმიერ ხელისუფლებას იმდენი უფლება აქვს, რამდენსაც მას კანონი ანიჭებს (შეზღუდული ძალაუფლების პრინციპი), ხოლო ადამიანს აქვს ყველა ის უფლება, რომელსაც არ უკრძალავს კანონი. ეს არის პიროვნების განუხრელი უფლებები და თავისუფლებები, რომლებსაც ინდივიდი დაბადებისთანავე იძენს. ის განსაზღვრავს მინიმუმს იმ პირობებისა, რომლებიც საჭიროა ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლის შესანარჩუნებად და დაკანონებულია გაეროს მიერ „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში“ (1948) გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, ორი საერთაშორისო კონვენციით, აგრეთვე, ევროპული კონვენციით, რომელიც მოქმედებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, და მრავალი ქვეყნის კონსტიტუციით.**

ადამიანის უფლებები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობს, მისი წყარო არ არის სახელმწიფო, კანონმდებლობა ან საზოგადოება. ეს უფლებები თანდაყოლილია. აქედან გამომდინარე, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ეს უფლებები კონსტიტუციაში ან სხვა საკანონმდებლო აქტებში ჩაწერილია თუ არა, რადგან ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ყველა კონსტიტუციასა და კანონმდებლობაზე მაღლა დგას.

ადამინის უფლებების არსებობა, მართებულობა და შინაარსი დღემდე დებატების საგანია ფილოსოფიასა და პოლიტიკურ მეცნიერებაში. **იურიდიულად ადამიანის უფლებები განისაზღვრება საერთაშორისო კანონითა და კონვენციებით, შემდეგ კი — სახელმწიფოთა ადგილობრივი კანონებით. მიუხედავად ამისა, მრავალი ადამიანისთვის ჰუმანურ უფლებათა დოქტრინა კანონის ფარგლებს სცილდება და ქმნის ფუნდამენტურ მორალურ ბაზისს თანამედროვე გეოპოლიტიკური წესრიგის რეგულირებისთვის. მათთვის ეს დემოკრატიული იდეალებია.**

ადამიანის უფლებათა წარმოშობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს: ძირითადი უფლებების საწყისების აღმოჩენა შეიძლება მე-13 საუკუნის დასაწყისის ევროპაში, შემდეგ კი ადგილი დაიმკვიდრა სხვადასხვა, ძირითადად, ევროპულ ფილოსოფიურ სკოლებში.

**ცნება — ადამიანის უფლებები — უკავშირდება კანონის უზენაესობის კონსტიტუციურ პრინციპს — აუცილებელ შეზღუდვებს სუვერენის ან პარლამენტის მიერ აბსოლუტური ძალაუფლების გამოყენებაზე. კანონის უზენაესობა, თავის მხრივ, უკავშირდება სამართლისა და რელიგიური დოქტრინების თეორიას. აქედან გამომდინარე, ზოგიერთის აზრით, ადრეულ რელიგიურ წყაროებში მოცემული საზოგადოების ქცევის წესები და მითითებები წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საფუძველს.**

ყველა სარწმუნოების ძირითადი დოგმები ადგენს ქცევის ნორმებს, ხშირად ეს ნორმები რელიგიურ ხასიათს ატარებს. ამგვარი ნორმების მრავალი ასპექტი დღესაც გამოიყენება – მაგალითად, **შარიათის სამართალი** მრავალ ისლამურ სახელმწიფოში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ წყაროებში განსაკუთრებით გამოიყოფა ვალდებულებები, პოლიტიკური და რელიგიური ტრადიციებით ხალხისთვის მსოფლიოში აღიარებულია ზოგიერთი უფლებაც. მაგალითად, **უფლება იმისა, რომ მმართველობა იყოს სამართლიანი და დასაბუთებული, მმართველის შეზღუდვა, ჩაერიოს მის ქვეშევრდომთა პირად ცხოვრებასა და საკუთრებით სარგებლობაში.** ინგლისში 1215 წლის „თავისუფლებათა დიდი ქარტია“ მოიცავდა მთელ რიგ პრინციპებს, რომლებიც ამჟამად მოქცეულია ადამიანის უფლებათა სამართლის საზღვრებში, კანონის წინაშე თანასწორობის, საკუთრების უფლებისა და რელიგიის თავისუფლების ელემენტების ჩათვლით, თუმცა მაშინ ასეთი უფლებები ვრცელდებოდა მხოლოდ დიდებულებზე. 1320 წლის **„არბროთის დეკლარაცია“ (შოტლანდია) კი პირიქით, საუბრობს თავისუფლების აბსოლუტურ უფლებაზე, რომელიც დიდებაზე, სახელსა და სიმდიდრეზე უფრო მაღლა დგას.**

ადამიანის უფლებებში ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: მატერიალურ და საპროცესო უფლებებს.

**მატერიალური უფლებები** მოიცავს პირად, ანუ სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

პირად, ანუ **სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს** მიეკუთვნება: ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე; მოქალაქეობის უფლება; სიცოცხლის, პატივისა და ღირსების, თავისუფლების ხელშეუვალი უფლებები; სიტყვის, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება და სხვ.

**პოლიტიკურ უფლებებს** მიეკუთვნება: ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება; საარჩევნო უფლება; პოლიტიკური პარტიის, პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში მონაწილეობის უფლება; მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარების უფლება და სხვ.

**ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს** მიეკუთვნება: შრომის უფლება; შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების უფლება; პროფკავშირების შექმნის უფლება; გაფიცვის უფლება; განათლების, ჯანმრთელობის უფლებები და სხვ.

**კულტურულ უფლებებს მიეკუთვნება:** საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება; სამეცნიერო პროგრესის შედეგებით სარგებლობის უფლება და სხვ.

**საპროცესო უფლებები** კი ადამიანისთვის მიკუთვნებული მოქმედების მეთოდები და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტებია, რომელთა დახმარებითაც ადამიანი დაცულია ხელისუფლების თვითნებობისგან.

ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცესო გარანტიებს მიეკუთვნება, აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლო, ომბუდსმენის (სახალხო დამცველი) ინსტიტუტი, რეფერენდუმის მოწყობის უფლება და ასე შემდეგ.




ელეონორა რუზველტი და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1949 წ.

ცნება — ადამიანის უფლებები — უკავშირდება კანონის უზენაესობის კონსტიტუციურ პრინციპს — აუცილებელ შეზღუდვებს სუვერენის ან პარლამენტის მიერ აბსოლუტური ძალაუფლების გამოყენებაზე. კანონის უზენაესობა, თავის მხრივ, უკავშირდება სამართლისა და რელიგიური დოქტრინების თეორიას. აქედან გამომდინარე, ზოგიერთის აზრით, ადრეულ რელიგიურ წყაროებში მოცემული საზოგადოების ქცევის წესები და მითითებები წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საფუძველს

**ადამიანის უფლებების ზოგადი პრინციპები:**

*ადამიანის უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სფეროს განეკუთვნება; ადამიანის უფლებები ინდივიდუალურია და არა კოლექტიური. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისია ხალხთა თვითგამორკვევის უფლება.

*ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ არის სახელმწიფოს მიერ ნაბოძები წყალობა, ისინი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობენ, ვინაიდან ჩვენ ადამიანებად დავიბადეთ; არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ჩაწერილია თუ არა ყველა ეს უფლება და თავისუფლება სახელმწიფოთა კონსტიტუციებსა და საკანონმდებლო აქტებში, ვინაიდან ადამიანის კუთვნილი უფლებები და თავისუფლებები ყველა კონსტიტუციასა და კანონმდებლობაზე მაღლა დგას.

*ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა წყარო არ არის სახელმწიფო. ეს უფლებები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობს, სახელმწიფო კი აღიარებს მათ არსებობას.

*სახელმწიფოს მოვალეობაა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, რადგანაც ის არსებობს ხალხისაგან და ხალხისთვის. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები უზენაესი ადამიანური ღირებულებებია. ამ უფლებათა და თავისუფლებათა არსებობა არ შეიძლება შემოიფარგლოს დროის რომელიმე მონაკვეთით და არ შეიძლება შეილახოს სხვა ღირებულებებით.

*ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, როგორც წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებები, ზღუდავს სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელებისას, ხელისუფლება შეზღუდულია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით.

**ადამიანის უფლებების ძირითადი პრინციპები:**

*ადამიანის უფლებები მას დაბადებიდანვე ეკუთვნის (თანდაყოლილია), ამიტომ ისინი ბუნებითია, განუყოფელია და ხელშეუვალია;

***ადამიანის უფლებები უმაღლესი ფასეულობაა, ხოლო მათი პატივისცემა, შესრულება და დაცვა — სახელმწიფოს მოვალეობაა;**

*ადამიანის უფლებები არის ძალაუფლების კონტროლის, სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობის შემზღუდავი საშუალება, რათა სახელმწიფომ არ გადალახოს ადამიანის უფლებებით შემოფარგლული თავისუფლების საზღვრები;

***უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფა შეუთავსებელია რაიმე ნიშნით დისკრიმინაციასთან;**

*ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არ უნდა არღვევდეს სხვა პირთა უფლებებს და თავისუფლებებს;

***ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ერთი უნდა იყოს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე;**

*ადამიანის უფლებები უნივერსალურია, დაფუძნებულია თანასწორობაზე, ისინი გარანტირებულია ყველასთვის, ვინც მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშაა;

***პირადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები და თავისუფლებები თანაბრად ფასეულია, მათ შორის არ არსებობს იერარქია;**

*კოლექტიური უფლებები განუყოფელია ინდივიდის უფლებებისგან. ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ინდივიდუალურ უფლებებს ან ზღუდავდეს პიროვნების უფლებრივ სტატუსს;

ადამიანის უფლებები რეგულირდება კანონით;

***ადამიანის უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს კანონით იმ ვითარებების საფუძველზე, რომლებიც მითითებულია კონსტიტუციებში და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, მაგალითად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისადმი მუქარის, კონსტიტუციური წყობისადმი საშიშროების, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობისადმი საფრთხის, სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისთვის საფრთხის შემთხვევაში.**

*ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დროებითი შეზღუდვა შესაძლებელია განსაკუთრებული ან საომარი მდგომარეობის შემთხვევაში. შეზღუდვები თანაზომადი და პროპორციული უნდა იყოს იმ სიტუაციისა, რომლის გამოც მოხდა შეზღუდვა და უნდა მოისპოს ვითარების ნორმალიზაციისდა მიხედვით.

**1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიიღეს ▶**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანის უფლებები არ არის ისეთი რამ, რასაც შეიძენ, დაიმსახურებ ან მემკვიდრეობით მიიღებ, მათ „ხელშეუხებელს“ უწოდებენ, ვინაიდან არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება, წაართვას ისინი რაიმე მიზეზით მეორე ადამიანს. ისინი საერთოა ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად რასის, ფერის, სქესის, ენის, სარწმუნოების, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონების, წარმოშობის თუ სხვა სტატუსისა.**

**ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაცია. სწორედ ამ დოკუმენტის მიღების თარიღი აღინიშნება ყოველწლიურად, როგორც ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღე.**

დეკლარაციამ სათავე დაუდო ადამიანის უფლებათა აღიარებისა და დაცვის თანამედროვე ისტორიის დასაწყისს. დეკლარაციის მიღების შემდეგ, იგი მსოფლიოში სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებები ქცევის სტანდარტად იქცა.

დეკლარაციამ ისეთი ფართო აღიარება მოიპოვა, რომ მისი საწყისი არასავალდებულო ხასიათი შეიცვალა და ახლა ხშირად ეყრდნობიან როგორც საერთაშორისო სამართლის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს. **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია შედგება პრეამბულისა და 30 მუხლისაგან, რომლებიც აყალიბებს ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, რომელიც აქვს ყველას, ვინც კი დედამიწაზე ადამიანად იბადება.**

მართალია, საყოველთაო დეკლარაცია არ არის იურიდიულად სავალდებულო და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, მაგრამ მისი დაცვა თითქმის ყველა ქვეყანამ მისთვის სავალდებულო ნორმების შემცველ საერთაშორისო ჩვეულებით სამართლად აქცია.

**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არის საერთაშორისო აქტი, რომელშიც გამოცხადებულია პიროვნების ძირითადი უფლებები — სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და თავშესაფრის, დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის, შრომის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების, დასვენების, განათლების, კულტურული ცხოვრებისა თუ მეცნიერულ პროგრესში მონაწილეობის და სხვა უფლებები. დეკლარაციით გამოცხადებულია ასევე: რელიგიისა და მრწამსის, კრებებისა და ასოციაციების თავისუფლება; აკრძალულია: მონობა, მონებით ვაჭრობა; ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის , სისხლის საპროცესო სამართლისა და საოჯახო სამართლის უმთავრესი ძირთადი დემოკრატიული პრინციპები.**

30 მუხლისგან შემდგარ დოკუმენტში წერია:

***ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.**

***ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.**

***არავინ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობით მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.**

*არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

*ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება, თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ.

*არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.




ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არის საერთაშორისო აქტი, რომელშიც გამოცხადებულია პიროვნების ძირითადი უფლებები — სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და თავშესაფრის, დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის, შრომის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების, დასვენების, განათლების, კულტურული ცხოვრებისა თუ მეცნიერულ პროგრესში მონაწილეობის და სხვა უფლებები. დეკლარაციით გამოცხადებულია ასევე: რელიგიისა და მრწამსის, კრებებისა და ასოციაციების თავისუფლება; აკრძალულია: მონობა, მონებით ვაჭრობა; ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის, სისხლის საპროცესო სამართლისა და საოჯახო სამართლის უმთავრესი ძირთადი დემოკრატიული პრინციპები

*ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

*არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

*ყოველ ადამიანს აქვს უფლება, დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში.

*ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ეძიოს დევნისაგან თავშესაფარი სხვა ქვეყნებში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.

*ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.

*არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

*სრულასაკოვნებას მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ, რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

*დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.

*ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

*ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა;

*ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა;

*ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.

*ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

*ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.

*ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

*ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება;

*ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

*ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალეობის უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შვებულების უფლების ჩათვლით.

***დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.**

***ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი — ერთაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარისამბერ.**

***ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ სოციალურ და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებშიც შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილი უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.**

***ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.**

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მათ შორის, ისეთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, როგორებიცაა: ხელშეკრულება საერთაშორისო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, რომლებიც 1966 წელს მიიღეს და ძალაში 1976 წელს შევიდა.

თითოეული ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების პატივისცემა მსოფლიოს უდიდეს რელიგიათა და ფილოსოფიურ მოძღვრებათა უმეტესობაში მოიძებნება. **ადამიანის უფლებები არ არის ისეთი რამ, რასაც შეიძენ, დაიმსახურებ ან მემკვიდრეობით მიიღებ, მათ „ხელშეუხებელს“ უწოდებენ, ვინაიდან არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება, წაართვას ისინი რაიმე მიზეზით მეორე ადამიანს. ისინი საერთოა ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად რასის, ფერის, სქესის, ენის, სარწმუნოების, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონების, წარმოშობის თუ სხვა სტატუსისა.**

ადამიანის უფლებები, ძირითადად, ცალკეულ ადამიანებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას ეხება. ეს უფლებები აკონტროლებს და არეგულირებს ადამიანების მიმართ სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენებას, კერძო პირებს თავისუფლებას ანიჭებს სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში და სახელმწიფოებისგან მათ იურისდიქციაში მყოფ ადამიანთა ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას მოითხოვს. უკეთესი გათვითცნობიერების მიზნით ეს უფლებები ასახულია საერთაშორისო ტექსტებში (ანუ დოკუმენტებში), რომლებზეც სახელმწიფოებმა შეთანხმებას მიაღწიეს და რომლებშიც ჩამოყალიბებულია სტანდარტები ადამიანის უფლებების თვალსაზრისით.

არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის არაერთი საერთაშორისო მექანიზმი. მათ შორის რამდენიმე უმთავრესია:

**ევროპის საბჭო** — საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს მიერ (ბელგია, დანია, გაერთიანებული სამეფო, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, საფრანგეთი, შვედეთი). მის შემადგენლობაშია 47 სახელმწიფო. ორგანიზაციის მიზანია ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დაცვა.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო** — 1950 წლის ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციით დაფუძნებული საერთაშორისო სასამართლო ორგანო, რომელიც განიხილავს კერძო პირების საჩივრებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიმართ, ამ კონვენციით გარანტირებული უფლებების სადავო დარღვევების შესახებ. სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება აქვთ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებსაც ერთმანეთის წინააღმდეგ.

**ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი** — ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნის გავრცელებასა და დაცვას ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოში. ადამიანის უფლებათა კომისრის თანამდებობა შეიქმნა 1999 წელს.

**ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ** — დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან შემდგარი კომისია, ევროპის საბჭოს ორგანო, რომელიც დაარსდა ვენის სამიტზე 1993 წელს. ის არის დამოუკიდებელი საზედამხედველო მექანიზმი, რომლის ამოცანაა ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოში ბრძოლა რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტისემიტიზმთან და შეუწყნარებლობასთან. კომისიის საქმიანობა მოიცავს რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი მიკუთვნების და ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან და უარყოფით წინასწარგანწყობასთან საბრძოლველად საჭირო ყველა ზომას.

**გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო** — ორგანო, რომელიც შეიქმნა გენერალური ასამბლეის 2006 წლის 15 მარტის რეზოლუციის საფუძველზე. იგი შედგება 47 წევრი სახელმწიფოსაგან და მდებარეობს ქალაქ ჟენევაში. ადამიანის უფლებათა საბჭო წარმოადგენს გაეროს მთავრობათაშორის ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობაზე. ამ მიზნით საბჭო განიხილავს ადამიანის უფლებათა დარღვევებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

**ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი** — ორგანო, რომელიც შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან და ზედამხედველობს წევრი სახელმწიფოების მიერ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესრულებას.

**ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი** — ორგანო, რომელიც შედგება 23 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან და ზედამხედველობს წევრი სახელმწიფოების მიერ ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესრულებას.

**კომიტეტი წამების წინააღმდეგ** — ორგანო, რომელიც შედგება 10 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან და ზედამხედველობს წევრი სახელმწიფოების მიერ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის შესრულებას.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე ცივი სოფელი

**იანვარში იაკუტიის სოფელ ოიმიაკონში საშუალო ტემპერატურა მინუს 50°-ია.** ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ დასახლებულ პუნქტს მსოფლიოში ყველაზე ცივი ადგილის სახელი აქვს. 1933 წელს ოიმიაკონში მინუს 67,7° დაფიქსირდა. იქ იშვიათად ხარობს რამე, ადგილობრივი მცხოვრებლები ძირითადად ირმისა და ცხენის ხორცს მიირთმევენ. სოფელში ერთადერთი მაღაზიაა, სოფლის ერთადერთი ადგილობრივი სკოლა მხოლოდ მაშინ იკეტება, როდესაც ტემპერატურა მინუს 52° -ზე დაბლა ჩამოდის. ოიმიაკონისკენ მიმავალ გზას „ძვლების გზა“ უწოდეს.



## საბჭოთა პლედები 2000 ევროდ

**ესტონელმა დიზაინერმა მარიტ ილისონმა ძველი საბჭოთა პლედებისგან მოდური ტანისამოსის კოლექცია შექმნა.**

ხაზს „ძილი მინდა“ უწოდა ჩეხოვის ამავე სახელწოდების მოთხრობის სახელწოდების მიხედვით. კოლექცია სხვადასხვა ფერის რამდენიმე მოდელის პალტოს მოიცავს. პალტოები ბისერებითაა (წვრილი მძივებით) გაფორმებული. ფასები 2000 ევროს აღწევს.



## მზემ, შესაძლოა, დედამიწა გადაწვას

**ასეთ კატასტროფულ სცენარს არ გამორიცხავენ მეცნიერები. ცოტა ხნის წინათ მათ შეამჩნიეს, რომ ეგზოპლანეტა კეპლერ 438b სიცოცხლისთვის გამოუსადეგარი გახდა მის ორბიტაზე მბრუნავი ვარსკვლავის აფეთქების გამო. აფეთქების სიძლიერემ 1000-ჯერ გადააჭარბა მზის აფეთქებებს.**

ახლა ასტრონომებმა მოულოდნელი აღმოჩენა გააკეთეს. ტელესკოპ კეპლერის დახმარებით ჩვენს გალაქტიკაში აღმოაჩინეს ვარსკვლავი KIC9655129, რომლის გამოსხივებაც მზისას ჰგავს.

თუ მზეზე სუპერნაპერწკალი გაჩნდება, ეს გამანადგურებელ შედეგს მოიტანს დედამიწაზე.

მეცნიერები აღიარებენ, რომ ამის შესაძლებლობა დაბალია, მაგრამ საფრთხე მაინც არსებობს.



## ყველაზე მსუქანი ქალი თხოვდება

**33 წლის სიუზენ ემანი 343 კილოგრამს იწონის. ის ოცნებობს, მსოფლიოში ყველა დროის ყველაზე მსუქანი ქალის სტატუსი მიიღოს. ამაში 35 წლის საქმრო პარკერ კლარკი ეხმარება, რომელიც შეფ-მზარეულად მუშაობს. სიუზენის წონა ამჟამად 3,5 ცენტნერს უახლოვდება.** წყვილმა ერთმანეთი გასულ წელს ინტერნეტში გაიცნო და ვნებიანი მიმოწერის შემდეგ გადაწყვიტეს, დაქორწინებულიყვნენ. „ჩვენი კავშირი შეიძლება იდეალურ კავშირად ჩაითვალოს. მე ჭამა მიყვარს, პარკერს კი — საჭმლის მომზადება. მე ძველებურად ვოცნებობ, ყველაზე მსუქანი ქალი გავხდე დედამიწაზე და ის ამაში ძალიან მეხმარება. მას დიდი ქალები მოსწონს“, — განაცხადა სიუზენმა.

# ვჭამოთ თუ არა 6-ის შემდეგ

**კვლევებით დადასტურებულია, რომ ადამიანთა უმრავლესობა დღიური საკვების 46%-ს საღამოს 5 საათის შემდეგ მოიხმარს და, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ამაში ცუდი არაფერია.**



მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომელ საათზე ვჭამთ, არამედ იმას, რა საკვებს ვიღებთ და რა რაოდენობით.

ხილი დაბალკალორიული პროდუქტია და გადასამუშავებლად მსუბუქი, გარდა საზამთროსი და ნესვისა, რომლებიც დიდი რაოდენობით სითხეს და ფრუქტოზას შეიცავს. პირველი მთელი ღამით ტუალეტში გარბენინებთ, ხოლო მეორე არანაკლებ დამღუპველად იმოქმედებს თქვენს ფიგურაზე, ვიდრე ჩვეულებრივი შაქარი.

სჯობს, ხილი მიირთვათ საუზმეზე ან დღის პირველ ნახევარში კვების შუალედებში და არა 6-ის შემდეგ, როგორც ამას ხშირად ამბობენ ხოლმე. საღამოს განსაკუთრებით უნდა შეზღუდოთ ბანანი, ყურძენი, მანგო და ვაშლიც კი. გაითვალისწინეთ, რომ, თუ ხილს უშუალოდ ძილის წინ მიირთმევთ, შედეგად შეიძლება მუცლის შებერილობაც მიიღოთ.

ამბობენ, რომ ვახშმად არც ცხელი საკვები ვარგა. სინამდვილეში **ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა რაოდენობის საკვებს მიირთმევთ და რამდენია მასში ცხიმებისა და შაქრის რაოდენობა. კარაქიანი ბუტერბროდი ლორით გაცილებით უარესად აისახება თქვენს ფიგურაზე, ვიდრე ცხელი წვნიანი, ბოსტნეული ან ორთქლზე მომზადებული ქათამი.**

დამკვიდრებული ცრურწმენით, საუკეთესო ვახშამი სალათებია. სინამდვილეში ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სალათს მიანიჭებთ უპირატესობას. ცეზარი, ოლივიე — ყველა მათგანი შორსაა დიეტურისა და მსუბუქისგან. თუ გსურთ, ღამით ზედმეტი კილოგრამები არ აკრიფოთ, სჯობს, ივახშმოთ უცხიმო იოგურტით შეზავებული ან ზეითუნის ზეთმოსხმული ჩვეულებრივი ბოსტნეულის სალათით.

**ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა რაოდენობის საკვებს მიირთმევთ და რამდენია მასში ცხიმებისა და შაქრის რაოდენობა. კარაქიანი ბუტერბროდი ლორით გაცილებით უარესად აისახება თქვენს ფიგურაზე, ვიდრე ცხელი წვნიანი, ბოსტნეული ან ორთქლზე მომზადებული ქათამი**

# გამელოტებისგან ყავა გიხსნით

**ჩვეულებრივი ყავა, არ აქვს მნიშვნელობა რომელი ფირმის, წლის თუ წარმოების, თურმე მარტივად ჩადის თმის ძირებამდე და ტესტოსტერონის მოქმედებას ანეიტრალებს, თმის ზრდას უწყობს ხელს.**



ამ დასკვნამდე მივიდნენ გერმანული ლიუბეკის უნივერსიტეტის მეცნიერები, რომლებმაც დაადგინეს, რომ ყავის ექსტრაქტის გამოყენების შედეგად თმა სწრაფად იწყებდა ზრდას. კვლევის შედეგები ბრიტანულ დერმატოლოგიურ ჟურნალში გამოქვეყნდა.

„თმას ბევრი ენერგია სჭირდება ზრდის ფაზაში და კოფეინი ამ ენერგიით ამარაგებს მას“, — ამბობს კვლევის ხელმძღვანელი, ექიმი კლენკი. მეცნიერები ამბობენ, რომ საკმარისია თმის ფოლიკულებზე კოფეინის წასმა. ეს დაგეხმარებათ, თმის ცვენა ოცი პროცენტით შეამციროთ.



**„იმისთვის, რომ თმამ კოფეინის აუცილებელი დოზა მიიღოს, საჭიროა მისი თავში შეზელვა. შეგიძლიათ, ისედაც სვათ, მაგრამ შედეგის მისაღებად მოგიწევთ დღეში ორმოცდაათი ჭიქის დალევა. ასეთი დოზა კი ორგანიზმისთვის ტოქსიკურია“,** — განაცხადა კლენკმა.

აგრეთვე, შესაძლებელია ყავის ექსტრაქტის შემცველი შამპუნის გამოყენება. თუმცა კოფეინი თმას ვერ ამოიყვანს, მაგრამ გამელოტების პროცესს შეაჩერებს.

# მეცნიერებმა ადამიანის «გაცოცხლების» ხერხი აღმოაჩინეს

**ამერიკული კომპანია „ჰუმაის“ სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ აპირებენ, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ადამიანები მკვდრეთით აღადგინონ — ადამიანის ტვინი გაიყინება, რის შემდეგაც მასში შეიყვანენ სპეციალურ ჩიპს. როდესაც ტექნოლოგიები საშუალებას მისცემენ, გაყინულ ტვინს ამოიღებენ კრიოკამერებიდან და ახალ ხელოვნურ სხეულში მოათავსებენ, ამ გზით დაუბრუნებენ ადამიანს სიცოცხლეს.**

სიკვდილამდე პაციენტს შეისწავლიან ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით: მისი სამეტყველო სტილი, ქმედებები, აზროვნების პროცესი, ჩვევები ჩაიწერება ჩიპზე და გარდაცვლილის ტვინში ინტეგრირდება.

„ჰუმაის“ დამაარსებელი **ჯოშ ბოკანეგრა** აცხადებს, რომ კომპანია აპირებს შეაგროვოს პაციენტების შესახებ ინფორმაცია გარდაცვალებამდე სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით, რომელიც შემუშავების სტადიაშია. **სიკვდილის შემდეგ ადამიანის ტვინი კრიოტექნოლოგიის მეშვეობით გაიყინება. როდესაც ტექნოლოგია დასრულებული იქნება, მეცნიერები დაიწყებენ ტვინის ხელოვნურ სხეულებში გადატანას.**



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## რამდენი კალორია უნდა მივიღოთ დღეში?

**იმისათვის, რომ კვირაში დაიკლოთ 0.5 კგ, ყოველდღე კალორიების მოხმარება უნდა შეამციროთ დაახლოებით 500 კკალორიით.** მაგრამ დღეში 1400 კკალ (ქალებისთვის) და 1800 კკალ (კაცებისთვის) მინიმუმია, უფრო ნაკლების მიღების შემთხვევაში ორგანიზმი დაიწყებს შიმშილს და გადავა ენერგიის მოხმარების საგანგებო რეჟიმში — ნივთიერებათა ცვლა შენელდება და ორგანიზმი შეეცდება, რაც შეიძლება ძნელად დახარჯოს ყოველი გრამი ცხიმი, შესაბამისად, წონის დაკლება ძალიან გართულდება.

# ცხოველები, რომლებიც ტემპერატურის მატებას შეეწირებიან



**როცა კლიმატის ცვლილებაზე მსოფლიოში მასშტაბური დისკუსიები მიმდინარეობს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ ადამიანებს არ უქმნის საფრთხეს გლობალური დათბობა. არსებობენ ცხოველებიც და მათ შორის ისეთები, რომლებიც ამჟამად გადარჩენისთვის იბრძვიან და რომელთა გადაშენების საფრთხეც საკმაოდ მაღალია.**

**ზღვის კუები** საფრთხეში არიან თევზაობის, ოკეანის დანაგვიანების და კლიმატის ცვლილების გამო. ოკეანის დონის მატება ხელს შეუშლის ზღვის კუებს გამრავლებაში, რადგან შესაჯვარებლად ისინი იმ ნაპირს ირჩევენ, სადაც თავად გაჩნდნენ. თბილი ქვიშა კი მათ კვერცხებს დააზიანებს.

დიდი ხანია, გადაშენების პირასაა **თოვლის ლეოპარდი.** ტემპერატურის მატებასთან ერთად მთების ეკოსისტემაც იცვლება. თოვლის ლეოპარდები ამჩნევენ, თუ როგორ კვდებიან ნელ-ნელა ცხოველები, რომლებზეც ისინი ნადირობენ, ამიტომ მალე ლეოპარდებიც შეიცვლიან საცხოვრებელს და ძალაუნებურად გადაეყრებიან ადამიანებს, რაც გამოიწვევს დაპირისპირებას და ფერმერები მათზე ნადირობას დაიწყებენ.

**ჩრდილოეთის ირმისთვის** ძალიან რთულია საკვების მოპოვება. ბოლო ხანებში არქტიკაში წვიმების გამო მიწები, რომელზეც მათი საკვები ბალახი ამოდიოდა, მოყინულია. ირმები ვეღარ ახერხებენ საკვების მარტივად მოპოვებას.

გლობალური დათბობა ყველაზე მეტად **პოლარულ დათვებს** უქმნის საფრთხეს. სავარაუდოდ, უახლოეს 35 წელიწადში მათი რაოდენობა 35%-ით შემცირდება.

ზღვის ყინულის შემცირება, პოლარული დათვების მსგავსად, **პინგვინებსაც** საფრთხეს უქმნის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მათი 19% ამ საუკუნეში გადაშენდება.

**კოალებისთვის** საფრთხის შემცველი ნახშირორჟანგის დონის მატებაა. ევკალიპტი, რომელზეც პირდაპირ არიან დამოკიდებული კოალები, კვებით ღირებულებას კარგავს, რაც ნიშნავს, რომ ამ ცხოველებში შიმშილი იზრდება. ცხელი ამინდები, აგრეთვე, გავლენას ახდენს ცხოველზე, რადგან ასეთ დროს ისინი ხიდან ჩამოდიან და მიწაზე ეძებენ წყალს, ეს კი მტაცებლების საკბილოდ აქცევს მათ.

# მსოფლიოს უმდიდრესი მონარქები

**მსოფლიოს უმდიდრესი მონარქების ათეულში დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II პირველ ადგილს იკავებს. 89 წლის მონარქი გაერთიანებულ სამეფოს 1952 წლიდან მართავს. მისი ქონება 60 მილიარდ გირვანქა სტერლინგად ფასდება, რაც დაახლოებით 94,8 მილიარდი აშშ დოლარია.**



მეორე ადგილზეა საუდის არაბეთის მეფე **აბდალა იბნ აბდელ აზიზ ალ-საუდი,** რომელიც იანვარში 89 წლისა გარდაიცვალა. საუდელი მონარქი ნავთობით მდიდარ ქვეყანას 2005 წლიდან მართავდა. მეფის ქონება 63,2 მილიარდ აშშ დოლარად ფასდება.

მესამე ადგილს აბუ-დაბის ემირი 67 წლის შეიხ ხალიფა **იბნ ზაიდ ალ-ნაჰაიანი** იკავებს 47,4 მილიარდი აშშ დოლარით. შეიხი არაბთა გაერთიანებული საემიროების მოქმედი პრეზიდენტიცაა.

ტაილანდის 87 წლის მეფე **ფხუმიპონ ადულიადეტი** კი ათეულში მეოთხე ადგილს იკავებს. ის ქვეყანას 1946 წლიდან მართავს და ამ პერიოდის განმავლობაში მისი ქონება 44,24 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. მონარქის კუთვნილი ძვირფასი ქვების კოლექცია მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

მეხუთე ადგილზეა დუბაის ემირი შეიხ **მოჰამედ იბნ რაშიდ ალ-მაკტუმი,** რომლის ქონებაც 39,5 მილიარდ აშშ დოლარად ფასდება. 66 წლის შეიხი არაბთა გაერთიანებული საემიროების პრემიერმინისტრის პოსტს იკავებს.

მეექვსე ადგილზეა ბრუნეის სულთანი **ჰასანალ ბოლკიაჰი** 37.92 მილიარდი აშშ დოლარით. 69 წლის მონარქი ქვეყანას 1967 წლიდან მართავს. ცნობილია სულთნის ავტომობილების კოლექცია, რომელიც 6 000-მდე მანქანას ითვლის. მისი სასახლე კი 200 000 კვადრატულ მეტრზეა აშენებული. უზარმაზარ რეზიდენციაში 1 788 აპარტამენტი და 257 აბაზანაა.

ნიდერლანდების მეფე **ვილემ-ალექსანდერი** ათეულში მეშვიდე ადგილზეა. 48 წლის მონარქი ქვეყანას 2013 წლიდან მართავს. მისი ქონება 15,8 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

მერვე ადგილზეა ქუვეითის ემირი **საბაჰ ალ-აჰმად ალ-ჯაბერ ას-საბაჰი,** რომლის ქონებაც 14,22 მილიარდ აშშ დოლარად ფასდება. 86 წლის მონარქი ქვეყანას 2006 წლიდან მართავს.

მეცხრე ადგილს იკავებს ომანის სულთანი **კაბუს ბინ საიდი,** რომლის ქონებაც 9,48 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. 71 წლის მონარქი ქვეყანას 1970 წლიდან მართავს.

ტოპ ათეულის ბოლო ადგილზეა ბაჰრეინის მეფე **იბნ ისა ალ-ხალიფა** 5,53 მილიარდი აშშ დოლარით. 62 წლის მონარქი სამეფოს 2002 წლიდან მართავს.



# ჰოლანდიაში სუპერავტობუსის პრეზენტაცია გაიმართა

**ჰოლანდიაში დაარეგისტრირეს ავტობუსი, რომელსაც საათში 250 კმ სიჩქარით გადაადგილება შეუძლია.** სარეგისტრაციო ნომრის გაცემის საზეიმო ღონისძიებაში ჰოლანდიის ინფრასტრუქტურისა და გარემოს მინისტრი მონაწილეობდა. ავტობუსს Wubbo Superbus ჰქვია. ასეთი ავტობუსები ქალაქში სპეციალურად გამოყოფილ საგზაო ზოლებზე ივლიან. სუპერავტობუსს 16 კარი აქვს და 23 მგზავრის კომფორტულად გადაყვანა შეუძლია.



# ყვავილი, რომელიც 3 000 წელიწადში ერთხელ ყვავის



**მსოფლიო სენსაციურმა სიახლემ მოიცვა: აყვავდა უდუმბარა, რომელიც 3 000 წელიწადში ერთხელ ყვავის.**

ბუდისტების რწმენით, ბოლოს ის ბუდას დაბადების წინ ყვაოდა. ბოლო 20 წლის განმავლობაში კი მის ყვავილობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აკვირდებიან. ამბობენ, რომ **უდუმბარას ყვავილობა ბრძენის ან განსაკუთრებული ცოდნითა და უნარებით დაჯილდოებული ადამიანის დაბადებას მოასწავებს.**

ამ პაწაწინა, არომატულ ყვავილს უთხელესი, მაგრამ მყარი ღერო აქვს. ის დიდხანს ყვავის და უშვებს არომატს. სიტყვა „უდუმბარა“ სანსკრიტის ენაზე ნიშნავს „ყვავილი ციდან“.

უდუმბარა პირველად 1997 წელს სამხრეთ კორეის ტაძარში, ბუდას ქანდაკებაზე აღმოაჩინეს. 2010 წელს კი ჩინურმა მედიასაშუალებებმა მსოფლიოს ამცნეს მისი ყვავილობა და მას ციური ყვავილი უწოდეს.

ბუდისტური ლეგენდის თანახმად, უდუმბარა „წმინდა მეფის“ მოსვლასა და გაბატონებას მოასწავებს. ის ყველა რელიგიის მიმდევარს დიდსულოვნად მიიღებს და ხსნას შესთავაზებს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*** 1989 წლის 15 დეკემბერს რუმინეთში დაიწყო რევოლუცია,** რომელიც ნიკოლაე ჩაუშესკუს რეჟიმის დამხობით და ცოლქმარ ჩაუშესკოების დახვრეტით (1989 წლის 25 დეკემბერი) დასრულდა. ამ რევოლუციამ 5 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



*** 1924 წლის 15 დეკემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში დაიბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი ანა კალანდაძე.**

საშუალო სკოლა დაამთავრა ქუთაისში 1941 წელს, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა კავკასიური ენების სპეციალობით 1946 წელს. 1952 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე — ეს წოდება სამეცნიერო ხარისხის დაუცველად მიენიჭა 1973 წელს ინსტიტუტის გადაწყვეტილებით. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი კომისიის წევრად, მწერალთა გამგეობის პრეზიდიუმისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

ანა კალანდაძემ ლექსების წერა 11 წლისამ დაიწყო. მისი პოეზია ყურადღებას იპყრობს ლექსის სინატიფითა და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „კარში გამო ჭიაჭია მაია“, „თუთა“, „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“, „ბეთანიის გზაზე“, „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“, „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“, „საქართველოო ლამაზო“, „მრავალჟამიერ“, „ფეხი დამადგით“ და სხვ.

ანა კალანდაძემ 1953 წელს გამოაქვეყნა ლექსების პირველი კრებული, რომელმაც პოპულარობა და საყოველთაო სიყვარული მოუტანა პოეტს. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, პოლონურ და სხვა ენებზე.

ანა კალანდაძე გარდაიცვალა 2008 წლის 11 მარტს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.



*** 1821 წლის 12 დეკემბერს რუანში დაიბადა ფრანგი პროზაიკოსი, XIX საუკუნის ევროპის გამოჩენილი მწერალი გუსტავ ფლობერი,** რომელმაც სახელი გაითქვა ნაწარმოებით „მადამ ბოვარი“. ამას გარდა, ფლობერის ცნობილი ნაწარმოებებია: „უგუნურის მემუარები“, „სალამბო“, „ნოემბერი“, „გრძნობების აღზრდა“, „სამი მოთხრობა“ და სხვ.

გუსტავ ფლობერი გარდაიცვალა 1880 წლის 8 მაისს.



*** 1898 წლის 10 დეკემბერს პარიზის სამშვიდობო შეთანხმებით დასრულდა ომი (1898 წლის 25 აპრილი 12 აგვისტო) ესპანეთსა და აშშ-ს შორის.** ესპანეთმა დაკარგა კოლონიები კარიბის ზღვის აუზსა და წყნარ ოკეანეში — კუბა, პუერტო-რიკო, გუამი, ფილიპინები.




*** 1971 წლის 13 დეკემბერს სსრკ-ის კინოეკრანებზე გამოვიდა რეჟისორ ალექსანდრე სერის კინოკომედია „იღბლიანი ჯენტლმენები“.** 1972 წელს ეს ფილმი 65 მლნ ადამიანმა ნახა. ფილმში მთავარ როლებს თამაშობენ **ევგენი ლეონოვი** (ევგენი ტროშკინი და დოცენტი), **გიორგი ვიცინი** (ხმირი), **საველი კრამაროვი** (კასოი), **რადნერ მურატოვი** (ვასილი ალიბაბაევიჩი). სცენარის ავტორები არიან **გიორგი დანელია** და **ვიქტორია ტოკარევა.** გიორგი დანელია ფილმის მხატვრული ხელმძღვანელიც იყო.



*** 1863 წლის 12 დეკემბერს ლეტენში (ნორვეგია) დაიბადა ნორვეგიელი ფერმწერი და გრაფიკოსი, ექსპრესიონიზმის წარმომადგენელი, ხელოვნების თეორეტიკოსი ედვარდ მუნკი.** მისი ცნობილი ფერწერული ნამუშევრებია: „მელანქოლია“, „სიცოცხლის ცეკვა“, „მადონა“, „სნეული გოგონა“, „ყვირილი“. მენკმა „ყვირილის“ 4 ეგზემპლარი შექმნა: ორი პასტელით, ორიც ზეთის საღებავებით. თავდაპირველად ნახატის სახელწოდება იყო „სასოწარკვეთა“.

ნახატის ერთ-ერთი ვარიანტი 2012 წელს გაიყიდა „სოფბის“ აუქციონზე 119,9 მლნ დოლარად. ჯერჯერობით ის ხელოვნების ყველაზე ძვირად ღირებული ნიმუშია, რომელიც კი ღია აუქციონზე ოდესმე გაყიდულა.

ედვარდ მუნკი გარდაიცვალა 1944 წლის 23 იანვარს.



*** 1911 წლის 14 დეკემბერს ნორვეგიელმა მკვლევარმა რუალ ამუნდსენმა პირველმა მიაღწია დედამიწის სამხრეთ პოლუსს.** აღსანიშნავია, რომ ამუნდსონი პირველი ადამიანია, რომელმაც პლანეტის ორივე პოლუსზე დადგა ფეხი.



*** 1867 წლის 16 დეკემბერს (ძვ. სტილით — 4 დეკემბერს) დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარისხევში (ან თანდილაანთკარი) დაიბადა ქართველი მწერალი შიო არაგვისპირელი (ნამდვილი გვარი დედაბრიშვილი).**

არაგვისპირელის ლიტერატურული მემკვიდრეობა მოცულობით დიდი არ არის. დაახლოებით 30 წლის წლის განმავლობაში შექმნა 80-მდე ნაწარმოები, მაგრამ ის ერთ-ერთი იყო, ვინც შემოიტანა და დაამკვიდრა პროზაული ჟანრის მცირე ფორმები — ფსიქოლოგიური ნოველა, ეტიუდი და ესკიზი.

მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „ესაა ჩვენი ცხოვრება!“, „ჩემო შვინდავ!“, „შემუსვრილი სამი მცნება“, „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“, „მიჯაჭვული ამირანი“, „სამარცხვინო ბოძთან“, „განძი“, „გაბზარული გული“ და სხვ.

შიო არაგვისპირელი გარდაიცვალა 1926 წლის 2 იანვარს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

*** 1901 წლის 10 დეკემბერს ნობელის პრემიის პირველი ლაურეატები** გახდნენ ფიზიკოსი **ვილჰელმ კონრად რენტგენი** (გერმანია), ქიმიკოსი **იაკობ ჰენდრიკ ვანტ-ჰოფი** (ჰოლანდია), მიკრობიოლოგი **ემილ ადოლფ ბერინგი** (გერმანია), მწერალი **ფრანსუა არმან სიული-პრიუდომი** (საფრანგეთი). მშვიდობის დარგში კი ნობელის პრემია გადაეცათ შვეიცარიელ **ანრი ჟან დიუნონსა** და ფრანგ **ფრედერიკ პარის.** პრემია დააწესა შვედმა მეწარმემ და გამომგონებელმა **ალფრედ ბერნჰარდ ნობელმა,** რომელიც სახელი დინამიტის გამოგონებით გაითქვა.




*** 1842 წლის 9 დეკემბერს ინგლისში მასობრივად გამოუშვეს პირველი საშობაო მისალოცი ბარათი, რომლის ნახატის ავტორია ჯონ ჰერსლი.**

საერთოდ კი პირველი საშობაო მისალოცი ბარათის შემქმნელად ითვლება ინგლისელი მხატვარი დობსონი. მან 1794 წელს მეგობარს აჩუქა ბარათი, რომელზეც გამოსახული იყო ზამთრის პეიზაჟი და ოჯახური სცენა ნაძვის ხესთან.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

11 დეკემბერს ახალმთვარეობაა — რთული პერიოდი მსოფლიოს გეოპოლიტიკაში. მოსალოდნელია ურთიერთობების დაძაბვა პარტნიორებს შორის. სასიკეთო პერიოდია ლომისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**9 - 15 დეკემბერი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

სასიამოვნო ცვლილებების პერიოდია. სამსახურში ეძებეთ ახალი თანამოაზრეები. კონფლიქტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პარტნიორებთან, დიპლომატიური მეთოდებით მოაგვარეთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი ან ძვირფასი საჩუქარი.

თუ გსურთ, შეინარჩუნოთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან, თავი დაანებეთ ეჭვიანობასა და აგრესიულ გამოხდომებს.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა. მოერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 15 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 დეკემბერი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა და მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე ფიქრი კარგს არაფერს მოგიტანთ. გათავისუფლდით ზედმეტი ვალდებულებებისგან და დასახულ მიზნებს იოლად მიაღწევთ.

მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები. უარი თქვით სარისკო კომერციულ პროექტებში მონაწილეობაზე.

საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. მოუწყვეთ მას სასიამოვნო სიურპრიზი ან ერთად წადით სადმე — წვეულებაზე, გამოფენაზე ან თეატრში.

განწყობის ასამაღლებლად კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 13 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 დეკემბერი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

დაძაბული პერიოდია, მაგრამ შეჩერება ან უკან დახევა კარგს არაფერს მოგიტანთ. გამოავლინეთ სიმშვიდე, მოთმინება და შეუპოვრად იარეთ დასახული მიზნებისკენ. შეიძლება სწრაფად არა, მაგრამ ყველაფერი გამოგივათ.

მარტოხელა ტყუპები შეიძლება, რთული არჩევანის წინაშე დადგნენ, რადგან მათ მიმართ საწინააღმდეგო სქესის 2 ან მეტი წარმომადგენელი გამოიჩენს ყურადღებას. გადაწყვეტილება ინტუიციით მიიღეთ.

შეიძლება შეგექმნათ ხერხემლის პრობლემა. მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 12 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 დეკემბერი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

მოგეცემათ შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსი, რაც უყურადღებოდ არ დარჩება და ხელმძღვანელობა ან დაგაწინაურებთ, ან პრემიით დაგაჯილდოებთ.

თუ იფიქრებთ, რომ უფრო მეტს იმსახურებთ და ემოციების ამოფრქვევა მოგინდებათ, თავი არ შეიკავოთ, ყველაფერზე გულწრფელად ისაუბრეთ, ოღონდ — თქვენდამი კეთილგანწყობილ ადამიანებთან.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სტაბილური არ იქნება — სხვადასხვა გარემოების გამო შეიძლება შეიცვალოს მისდამი თქვენი დამოკიდებულება.

მაღალია ფარისებრი ჯირკვლების დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 12 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 დეკემბერი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

მოიმატებს თქვენი თვითდაჯერებულობა და საქმეებს შესანიშნავად წარუძღვებით. თქვენმა იდეამ, შესაძლოა, დააინტერესოს გავლენიანი ადამიანები, რომლებიც ამ იდეის განხორციელებაში დაგეხმარებიან.

მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ხარჯები. გაითვალისწინეთ, რომ საყვარელ ადამიანს ამ პერიოდში თქვენი მხარში დგომა დასჭირდება, ამიტომ მეტი დრო და ყურადღება დაუთმეთ მას.

მაღალია ტრავმირების ალბათობა.

ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 15 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 დეკემბერი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

თუ დიქტატორული თვისებების გამომჟღავნებას დაიწყებთ, კოლეგები ან გარშემო მყოფები დაგიპირისპირდებიან. უთანხმოება კი თქვენი რეპუტაციის შელახვით დასრულდება.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ინტუიციის კარნახით მიიღეთ. კარგი პერიოდია ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად. საყვარელი ადამიანებისთვის კომფორტის შექმნა თქვენც სიხარულს მოგგვრით.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 13 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 10 დეკემბერი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

გააკონტროლეთ ემოციები. გადაწყვეტილებები მიიღეთ გონებით და არა — გულით. სხვების მიმართ გამოთქმულმა კრიტიკულმა შენიშვნებმა და საკუთარი შეცდომების დაუნახაობამ შეიძლება მიგიყვანოთ მწვავე კონფლიქტამდე, რომელიც უარყოფით შედეგებს გამოიწვევს.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ, ნურც ქათინაურებს დაიშურებთ. კარგი პერიოდია ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად.

გაფრთხილდით ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას. მაღალია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 11 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 დეკემბერი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ და რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას შეუდგებით. მაგრამ სჯობს, არ აჩქარდეთ და დასახული მიზნებისკენ ნელ-ნელა, მეთოდურად იაროთ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ, საწინააღმდეგო შემთხვევაში, მოგიწევთ ვალის აღება.

მარტოხელა მორიელებმა, შესაძლოა, გაიცნონ საპირისპირო სქესის წარმომადგენელი. და არ არის გამორიცხული, დაქორწინდნენ კიდეც.

ნერვული სისტემის გასამყარებლად კარგი იქნება, თუ ფოსფორითა და კალციუმით მდიდარ საკვებს მიიღებთ — ზღვის კომბოსტოს, თევზს, ხაჭოს.

**დადებითი დღე: 13 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 დეკემბერი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

კარგი პერიოდია. მკვეთრად მოიმატებს თქვენი ენერგია და მოინდომებთ ბევრი საქმის ერთდროულად კეთებას, გამოგივათ კიდეც, მაგრამ ამისთვის მუხლჩაუხრელი შრომა დაგჭირდებათ. პრობლემების მოგვარებაში ახლობლები დაგეხმარებიან.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობთ.

დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობა გაგიუარესდეთ. განსაკუთრებით მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 12 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 დეკემბერი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

თუ ვერ აგვარებთ პრობლემებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდით, ნუ დაღონდებით. ყველაფერი უახლოეს მომავალში გამოსწორდება, როცა მზე თხის რქის ზოდიაქოში გადავა.

რეკომენდებული არ არის ფინანსურ ოპერაციებსა და კომერციულ გარიგებებში მონაწილეობა.

მარტოხელა თხის რქებმა შეიძლება გაიცნონ საპირისპირო სქესის წარმომადგენელი, რომელიც შეიძლება მათი ცხოვრების თანამგზავრად იქცეს.

მაღალია ზედა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 11 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 დეკემბერი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

თუ იზარმაცებთ და ფონს გასვლას ეშმაკობით შეეცდებით, რეპუტაცია შეგელახებათ და კოლეგები ანგარებიან ადამიანად ჩაგთვლიან.

შეეცადეთ, ხელმძღვანელობის ყველა დავალება დროულად და პირნათლად შეასრულოთ.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გასაღრმავებლად. იზრუნეთ მასზე და არც ოჯახის უმცროსი წევრები დაივიწყოთ.

დიდია გულ-სისხლძარღვთა დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 10 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 15 დეკემბერი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

მოგიწევთ რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთება, რაც დაგღლით და გაგაღიზიანებთ. სხვისი შეცდომების გამოსწორება, რა თქმა უნდა, გამაღიზიანებელია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გექნებათ.

ნათესავს ან ახლობელს შეიძლება თქვენი დახმარება დასჭირდეს და უარს ნუ ეტყვით.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ.

დიდია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 14 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 დეკემბერი.**



დავით ბაქრაძე:

## საააკაშვილის შემცვლელის არჩევის საჭიროება არ გვაქვს

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერ დავით ბაქრაძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი მას შემდეგ, რაც საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთვა, ველარ განაგრძობს პოლიტიკურ საქმიანობას ქვეყანაში, შესაბამისად, ვერ დარჩება პარტიის თავმჯდომარედ. სწორედ ამიტომ „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტსაბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ პარტია გუნდურ მმართველობაზე გადადის, მას არ ეყოლება ერთი კონკრეტული თავმჯდომარე.**

მიხეილ სააკაშვილი აღარ არის „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე. 3 წელია, პარტია გადასულია გუნდურ მმართველობაზე, არსებობს პოლიტიკური საბჭო, პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე და გენერალური მდივანი და სწორედ ეს სტრუქტურები იღებს გადაწყვეტილებას პარტიაში, ამიტომ არანაირი საჭიროება და მიზანშეწონილობა არ არსებობს ახალი თავმჯდომარის არჩევის", — განაცხადა დავით ბაქრაძემ.



## საქართველოში თავშესაფრის მიღება 995 უცხოელს სურს

**„2015 წლის ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში თავშესაფრის მიღება 995 უცხოელს სურს. მათ შესაბამის უწყებაში საჭირო რეგისტრაცია უკვე გაიარეს. რაც შეეხება ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირებს, საქართველოში სულ საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი 1 192 პირი ცხოვრობს.**

მათი უმრავლესობა ერაყის, უკრაინის, რუსეთისა და სირიის მოქალაქეები არიან", — აღნიშნულია თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში.

## მიმართვა

**გახარიების გვარის სათათბიროს გადაწყვეტილებით, გვარის დღედ გამოცხადდა 17 დეკემბერი, წმინდა ბარბარეს დღე, რადგან გახარიები ოდითგანვე წმინდა ბარბარეს მიიჩნევდნენ თავიანთ მფარველ წმინდანად, ამიტომაც ჰქონდათ ცალკე სალოცავი ადგილი, სადაც პატივს მიაგებდნენ წმინდა ბარბარეს, ავედრებდნენ თავიანთ ოჯახებს, სთხოვდნენ შვილების სიმრავლესა და მათ ჯანმრთელობას.**

დღევანდელი გახარიების მიერ წმინდა ბარბარეს ხატის დაწერა, მისი კურთხევა და გვარის დალოცვა პატრიარქის მიერ — ეს არის საუკუნეების წინათ ჩვენი წინაპრების მიერ დაწყებული გზის გაგრძელება და მათი ხსოვნისადმი დიდი პატივისცემა.

ამიერიდან გახარიები მუხურში შევიკრიბებით ყოველ ბარბარობას, 17 დეკემბერს, დღის 12 საათზე. გამოვაბრძანებთ ჩვენი გვარის წარმომადგენელთა დიდი მონდომებით დაწერილ წმინდა ბარბარეს ხატს ეკლესიიდან, მოვაწყობთ მსვლელობას ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეების წინათ არჩეულ ადგილამდე, მოვილოცავთ, შევთხოვთ უფალსა და წმინდა ბარბარეს ჩვენი გვარის, ჩვენი ოჯახებისა და ჩვენი სამშობლოს, სრულიად საქართველოს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, მშვიდობასა და სიუხვეს.

**გვარის სათათბიროს სახელით,**
**ზაურ გახარია**

---

ნუგზარ ფოფხაძე და არმაზ სანებლიძე მწუხარებით ვიუწყებით, რომ ჩვენს მეგობარ ზურაბ ხონელიძეს გარდაეცვალა დედა

მარგო ხონელიძე

და გულწრფელად თანავუგრძნობთ მის ახლობლებსა და ოჯახის წევრებს.

პანაშვიდი 9 და 10 დეკემბერს, 17 საათზე.

მისამართი: ნინო რამიშვილის ქ. №27ა.

დაკრძალვა ქ. ფოთში. გამოსვენება წმინდა ნიკოლოზის ტაძრიდან 12 დეკემბერს, 14 საათზე.

---



## ლატვიის პრემიერმინისტრი თანამდებობიდან გადადგა

**ლატვიის პრემიერმინისტრმა ლაიმდოტა სტრაუიუმამ თანამდებობის დატოვების შესახებ განაცხადა.**

გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთებამდე ლატვიის პრემიერმა და პრეზიდენტმა შეხვედრა გამართეს, რომელზეც პრემიერის გადადგომის საკითხი განიხილეს.

პრეზიდენტმა დაადასტურა პრემიერის გადადგომა და მას მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისთვის. შეხვედრის შემდეგ მათ კონფერენცია გამართეს, რომელზეც პრემიერის გადადგომის შესახებ ისაუბრეს.

## ევროპარლამენტის დეპუტატმა ევროკავშირი ფარისევლობაში დაადანაშაულა

**ევროპარლამენტის დეპუტატმა საბერძნეთის პარტია „სახალხო ერთობიდან" — ნიკოს ხენტისმა ევროკავშირის პოლიტიკას თურქეთის, აგრეთვე, ტერორიზმთან ბრძოლისა და მიგრაციული კრიზისის მიმართ ფარისევლური უწოდა.**



„ევროკავშირში დევნილთა მოზღვავებით შექმნილი კრიზისის მოგვარების პოლიტიკა შეიძლება ერთი სიტყვით დავახასიათოთ — „ფარისევლობა". თურქეთში G20-ის შეხვედრის ჩატარება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და დევნილთა საკითხებზე ისე, რომ არ ილაპარაკო ამ პრობლემების შექმნაში თურქეთის როლზე, ფარისევლობაა. არ აღიარო, რომ დევნილები გაურბიან ომს, რომელშიც ჩვენ ვმონაწილეობთ ან რომელიც ჩვენი მოქმედებით არის გამოწვეული, ფარისევლობაა", — განაცხადა ნიკოს ხუნტისმა ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.


## სიახლე!

### ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- გასტრიტი, წყლული, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ბუასილი, ჭიებით ინვაზია
- იმპოტენცია, პროსტატიტი, გაძნელებული შარდვა, შარდ-კენჭოვანი დაავადება.
- ფიბრომა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უშვილობა, მასტოპათია, გართულებული კლიმაქსი.
- უძილობა, მეხსიერების და შრომის უნარის დაქვეითება, ნევროზი, შიშები, დეპრესია.
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, ოსტეოპოროზი, ართროზები, სკოლიოზი.
- წონაში დაკლება, სიმაღლეში ზრდა
- ალერგია
- ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია
- ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

მკურნალობის შერჩევა ინდივიდუალურად გენეტიკის, სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

☎ 599-54-18-30, 0790-98-63-33

## სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე:

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

**ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)**
**მის: აღმაშენებლის 154 «მწვანე ოფისი»**

## სიმაღლეში მომატება!



გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?

დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოღუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894